მონოთეიზმის
გზაზე
الفرقان
ალ-ფურყან

მონოთეიზმის გზაზე

14 შა'ბანი 1444 წ.ჰ. / 6 მარტი 2023 წ.გრ.

الفرقان
ალ-ფურყან

2023 - 1444

შენიშვნების შემთხვევაში მოხარული ვიქნებით თუ შეგვეხმიანებით ჩვენს ელფოსტაზე

alfurkan370@gmail.com


بسم الله الرحمن الرحيم

სარჩევი

სიკვდილი და სიკვდილის შემდგომი მოვლენები.....2

ერთღმერთიანობა (თავჰიდი) ყველაფერზე წინ.....11

რა უპირატესობა აქვს თავჰიდის შესწავლას?.....15

რაში გამოიხატება უზენაესი ალლაჰის ერთადერთობა და რამდენ ნაწილად იყოფა ის?.....26

რა მოწმობს ყოვლის შემძლე ალლაჰის არსებობას?.....35

ერთღმერთიანობა უფლობაში.....48

ერთღმერთიანობა ღვთაებრიობაში.....63

ერთღმერთიანობა სახელთვისებებსა და ატრიბუტებში.....72

სიკვდილი და სიკვდილის შემდგომი მოვლენები

ქება დიდება ალლაჰს, რომელსაც ჩვენ ვადიდებთ და რომელსაც შევთხოვთ დახმარებასა და პატიებას. ჩვენ მივეკედლებით ალლაჰს ყოველივე სიავისგან, საკუთარი სულისგან თუ სხვა საქმისგან. ვისაც ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზას მას არ მოენახოს გზის ამცდენი და ვისაც ალლაჰი ააცდენს ჭეშმარიტებას მას არ მოენახოს ჭეშმარიტ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი – მონამსახური და მოციქულია.

ყველა ადამიანმა იცის, რომ ყველა ქმნილებას აქვს ბოლო, ყველა სულიერს აქვს დასასრული, იცის ადამიანმა, რომ ყოველი სული იგემებს საბოლოოდ სიკვდილს. უზენაესმა ალლაჰმა ჩვენ შეგვქმნა და არ მიუტოვებივართ მას ასე უბრალოდ. ის ბრძანებს:

أَفَحَسِبْتُمْ أَنَّمَا خَلَقْنَٰكُمْ عَبَثًا وَأَنَّكُمْ إِلَيْنَا لَا تُرْجَعُونَ

23:115. ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?“

فَتَعَٰلَى ٱللَّهُ ٱلْمَلِكُ ٱلْحَقُّ ۖ لَآ إِلَٰهَ إِلَّا هُوَ رَبُّ ٱلْعَرْشِ ٱلْكَرِيمِ

23:116. ჭეშმარიტი მეუფე უზენაესი ალლაჰია! არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. (იგი) მეუფეა საუკეთესო ტახტრევანისა!

ესეიგი ჩვენ მისკენ მივიქცევით, და რა იქნება ამის შემდგომ? დიდებული ალლაჰი ასევე ბრძანებს:

أَمْ حَسِبَ ٱلَّذِينَ ٱجْتَرَحُواْ ٱلسَّيِّـَٔاتِ أَن نَّجْعَلَهُمْ كَٱلَّذِينَ ءَامَنُواْ وَعَمِلُواْ ٱلصَّـٰلِحَـٰتِ سَوَآءً مَّحْيَاهُمْ وَمَمَاتُهُمْ ۚ سَآءَ مَا يَحْكُمُونَ

45:21. ნუთუ ჰგონიათ, რომელთაც ჩაიდინეს სიავენი, რომ დავადგენთ მათ იმათ მსგავსად, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი და მათი სიცოცხლე და სიკვდილი თანასწორი იქნება? და რა საზიზღარია მათი განაჩენი!

ასევე ბრძანებს:

وَمَا خَلَقْنَا ٱلسَّمَآءَ وَٱلْأَرْضَ وَمَا بَيْنَهُمَا بَـٰطِلًا ۚ ذَٰلِكَ ظَنُّ ٱلَّذِينَ كَفَرُواْ ۚ فَوَيْلٌ لِّلَّذِينَ كَفَرُواْ مِنَ ٱلنَّارِ

38:27. და ჩვენ არ გაგვიჩენია ცა და მიწა და რაც მათ შორისაა ამაოდ. ეს ვარაუდია იმათი, რომელთაც უარყვეს. ვაი, ურწმუნოთა მდგომარეობას ცეცხლში!

أَمْ نَجْعَلُ ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ وَعَمِلُواْ ٱلصَّـٰلِحَـٰتِ كَٱلْمُفْسِدِينَ فِى ٱلْأَرْضِ أَمْ نَجْعَلُ ٱلْمُتَّقِينَ كَٱلْفُجَّارِ

38:28. ნუთუ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, ჩვენ დავადგენთ დედამიწაზე არეულობის მთესავთა დარად?! ნუთუ დავადგენთ ღვთისმოშიშთ ურწმუნოების დარად?

ესეიგი იქნება განკითხვა, ესეიგი ყველა უნდა განიკითხოს საშსკავროს დღეს და მე მინდა დასაწყიშივე დავიწყო ჰადისით რომელიც გადმოგვცა ალ ბარა იბნ იაზიბმა (رَضِي اَللهُ عَنْهُ[1]):

„ერთხელ ჩვენ გავემგზავრეთ წინასწარმეტყველთან (ﷺ) ერთად, ერთი მედინელი მუსლიმის დასასაფლავებლად. ჩვენ მივედით საფლავთან ჯერ კიდევ მაშინ როცა თხრიდნენ მას. ალლაჰის მოციქული (ﷺ) დაჯდა სახით

[1] رَضِي اَللهُ عَنْهُ – ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი

მექქას მიმართულებით, და ჩვენ დავჯექით მის ირგვლივ - ისე რომ გაქანებისაც კი გვეშინოდა. მას ხელში ეჭირა ჯოხი და თხრიდა (ჩიჩქნიდა) მიწას. შემდეგ უცებ შეხედა ზეცას, შემდეგ მიწას. სამჯერ მან ასწია მზერა და დახარა, ხოლო ამის შემდეგ თქვა: „ეძებეთ ალლაჰთან მფარველობა საფლავის სასჯელისაგან!"

- მან გაიმეორა ეს ორჯერ ან სამჯერ, რის შემდეგ განაგრძო:

„როცა მართლმორწმუნე მონა შორდება ამქვეყნიურ ცხოვრებას და იმყოფება მომავალი ცხოვრების კარიბჭეზე, მასთან ჩამოდიან ანგელოზები მზესავით ნათელი სახეებით. მათ მოაქვთ თან სამოსელი (ის რაშიც ასვენებენ გარდაცვლილს) და სურნელოვანი საშუალებები სამოთხიდან, და ჯდებიან მის შორიახლოს. შემდეგ მასთან მოდის სიკვდილის ანგელოზი (მშვიდობა მას)! და ჯდება მის თავთან და ამბობს:

„ო მომაკვდავო სულო, გამოდი ალლაჰის პატიებასთან და წყალობებთან შესახვედრად".

მართლმორწმუნის სული ტოვებს სხეულს, მსგავსად იმისა, როგორც წვეთი გამოედინება ჭურჭლის ყელიდან, და მაშინ ყველა ანგელოზი რომლებიც იმყოფება ცასა და მიწას შორის, და იმყოფება ზეცაში, ლოცავენ მას. მის წინაშე იხსნება ყველა ზეცის კარები, და ყველა ზეციური კარიბჭის მცველი ევედრება ალლაჰს, რომ ამ სულმა შევიდეს ზეცაში მათი კარებიდან. სიკვდილის ანგელოზი იღებს სულს და არ არის რამოდენიმე წამი გასული რომ სხვა ანგელოზები ღებულობენ მას და ახვევენ სამოსელში სურნელოვანი საშუალებებით. ამის შესახებ უზენაესმა ბრძანა:

„ჩვენი წარმოგზავნილები მიიბარებენ და მათ არაფერი გამოეპარებათ" (6/61)

ამის შემდეგ სული დაიწყებს კეთილსურნელების გამოფრქვევას, თითქოს გამოჰყოფს იმ საუკეთესო მუსქუსის არომატს, რომელიც კი შეიძლება მოიძებნოს დედამიწაზე.

შემდეგ ანგელოზები აიყვანებენ მას ზეცაში. როცა ისინი შეხვდებიან ანგელოზების ჯგუფს, ისინი ჰკითხავენ მათ:

„ვისია ეს ლამაზი სული?" ისინი პასუხობენ:

ამის, ამის და ამის შვილია. ისინი მოიხსენიებენ ალლაჰის მართლმორწმუნე მსახურს საუკეთესო სახელებით, რომელსაც უწოდებდნენ

მას სიცოცხლეში. ბოლოს ისინი მიაღწევენ პირველ ცამდე და სთხოვენ კარების გაღებას და კარიბჭეები გაიხსნება. ყოველი ცის ანგელოზი აცილებს სულს მომდევნო ცამდე, სანამ ის არ მიაღწევს მეშვიდე ცას. მაშინ უდიდესი და ძლევამოსილი ალლაჰი ამბობს:
„ აღწერეთ ამბავი ჩემი მონის შესახებ ღილლიიუნის მაღალ სამოთხეებში“.
ამ დროს წინასწარმეტყველმა (ﷺ) წაიკითხა ყურანის აიათები:

وَمَآ أَدْرَىٰكَ مَا عِلِّيُّونَ

83:19. რამ გამცნოს, რა არის „ღილლიიუნი“?

كِتَٰبٌ مَّرْقُومٌ

83:20. (იგი) დაბეჭდილი, დაცული წიგნია (პირადი საქმეა).

يَشْهَدُهُ ٱلْمُقَرَّبُونَ

83:21. მისი ნახვა მხოლოდ დაახლოებულებს (ანგელოზებს) შეუძლიათ.

მაცნემ (ﷺ) ისევ განაგრძო:

ამის შემდგომ ანგელოზები მის შესახებ ჩაწერენ ღილლიიუნში და მათ ებრძანებათ:

„დააბრუნეთ ჩემი მონა დედამიწაზე, რადგან მე მათ დავპირდი, რომ მისგან (მიწისგან) გავაჩინე ისინი და მასში დავაბრუნებ მათ და მისგან აღვადგენ მათ კიდევ ერთხელ“.
ანგელოზები დააბრუნებენ მართლმორწმუნის სულს დედამიწაზე, ისე რომ ის ბრუნდება სხეულში და ესმის ადამიანების ნაბიჯების ხმა.
შემდეგ მორწმუნესთან მოდის ორი ანგელოზი, რომლებიც უხეშად გამოაფხიზლებენ, დაჯდებიან და დაჰკითხავენ მას:
მან რობბუქ? – ვინ არის შენი ღმერთი?
ის პასუხობს: „რობბი ალლაჰ“ – ჩემი ღმერთი ალლაჰია.
მა დინუქ? – რომელია შენი რელიგია?
დინი ალ ისლამ – ჩემი რელიგია ისლამია.
რა ადამიანი იქნა გამოგზავნილი თქვენთან?

ეს იყო ალლაჰის მოციქული (ﷺ)
როგორ იქცეოდი შენ?
მე ვკითხულობდი ალლაჰის წიგნს, ვირწმუნე ის და მისი ერთგული ვიყავი.

ისინი აფხიზლებენ და ეკითხებიან მას:
ვინ არის შენი ღმერთი?
რომელია შენი რელიგია?
ვინ არის შენი წინასწარმეტყველი?

ეს არის ბოლო ცდუნება რომელიც ეწევა მართლმორწმუნეს. მასზედ თქვა უდიდესმა და ძლევამოსილმა ალლაჰმა:

يُثَبِّتُ ٱللَّهُ ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ بِٱلْقَوْلِ ٱلثَّابِتِ فِى ٱلْحَيَوٰةِ ٱلدُّنْيَا وَفِى ٱلْأَخِرَةِ ۖ وَيُضِلُّ ٱللَّهُ ٱلظَّـٰلِمِينَ ۚ وَيَفْعَلُ ٱللَّهُ مَا يَشَآءُ

„ალლაჰი განუმტკიცებს ჭეშმარიტებას, რომელთაც ირწმუნეს მტკიცე სიტყვით ამქვეყნიურადაც და იმქვეყნიურადაც.“ (14/27)

ამის მეშვეობით მორწმუნე პასუხობს რომ მისი ღმერთი ალლაჰია, მისი რელიგია ისლამია და მისი წინასწარმეტყველი მუჰამმადია. შემდეგ გაისმება ციდან ხმა:
„მართალია ჩემი მონა. განავრცეთ მისთვის სამოთხის სილამაზეები, ჩააცვით მას სამოთხის ტანისამოსი, გახსენით მისთვის სამოთხის კარიბჭეები“.
მას მოუტანებენ სამოთხის სიკეთეებსა და სურნელებს, და მისი საფლავი გაფართოვდება ისე ვრცლად, რომელსაც შეუძლია რომ მოიცვას მისი მზერა. მის წინაშე წარსდგება კაცი არაჩვეულებრივი სახით, საოცარი ჩაცმულობით, სასიამოვნო სურნელებით და ეტყვის:
„მე გაცნობებ შენ ისეთ რამეს რაც შენ გაგახარებს. იბედნიერე ალლაჰის სიკეთეებით და მარადიული ნეტარებით, სამოთხის ბაღებით. ეს დღე იყო შენზე დაპირებული“. მართლმორწმუნე ჰკითხავს მას:
„ვინ ხარ შენ, ალლაჰმა დაგაჯილდოვოს? შენს სახეს ახლავს სიკეთე, ვინ ხარ შენ“?

„მე შენი კეთილი საქმეები ვარ. ვფიცავარ ალლაჰს მე ყოველთვის ვხედავდი თუ როგორ მიისწრაფოდი შენ იმისკენ, რომ ყოფილიყავი ალლაჰის მორჩილი და გაურბოდი მისდამი დაუმორჩილებლობას. და აი ალლაჰმა დაგავალდოვა საპასუხოდ სიკეთით.“
შემდეგ მართლმორწმუნისთვის გაიღება სამოთხის და ჯოჯოხეთის კარები. მას ეტყვიან: „ეს იქნებოდა შენი სამყოფელი რომ გეურჩა ალლაჰის მიმართ, მაგრამ ალლაჰმა შეგიცვალა ის ამით (სამოთხით)“.
როცა ის ნახავს რა ელოდება სამოთხეში იტყვის:

ჩემო ღმერთო დააჩქარე საათის მოსვლა, რომ შევძლო ჩემს ოჯახთან დაბრუნება და რომ ისევ მივიღო ჩემი სიმდიდრე. მაშინ მას ეტყვიან:
შშვიდად იყავი!

და როცა ურწმუნო მონა (სხვა ვერსიაში ნათქვამია: „ცოდვილი“) შორდება მიწიერ ცხოვრებას და იმყოფება მომავალი ცხოვრების ზღუდეზე, მასთან ჩამოდიან ციდან ანგელოზები უხეში შავი სახეებით. ისინი მოიტანებენ ჯვალოს (ყველაზე უხეშ ნაჭერს) ჯოჯოხეთიდან და დაჯდებიან მის შორი-ახლოს. შემდეგ მასთან მიდის სიკვდილის ანგელოზი, დაჯდება თავთან და ეტყვის:
„ო ბინძურო სულო! გამოდი ალლაჰის მრისხანებასთან და უკმაყოფილობასთან შესახვედრად“.
იმ წამში ურწმუნოს სული დაიწყებს ძრწოლვას სხეულში, და სიკვდილის ანგელოზი ამოგლეჯს მას სხეულიდან სულს ისე, რომ გაწყდება სისხლძარღვები და ნერვები, მსგავსად იმისა როგორც ბევრ კბილებიანი შამფური ამოდის სველი ნაჭრიდან. ყველა ცასა და მიწას შორის და ზეცაში მყოფი ანგელოზი დაწყევლიან მას. მისთვის ზეცის კარები დაიხურება და ყველა ზეციური კარიბჭის მცველი შეევედრება ალლაჰს, რომ ამ სულმა არ გაიაროს მათ სიახლოვეს.
სიკვდილის ანგელოზი ამოიღებს მას (სულს), და არ იქნება წამებიც გასული რომ ანგელოზები გაახვევენ მის სულს ჯვალოში. ურწმუნოს სული დაიწყებს ყველაზე უსიამოვნო სურნელის გამოყოფას რომელიც კი შეიძლება მოიძებნოს დედამიწაზე. შემდეგ ანგელოზები აიყვანებენ მას ცაში. როცა მათ შეხვდებათ ანგელოზების ჯგუფი, ისინი ჰკითხავენ მათ:
ვისია ეს ბინძური სული? ანგელოზები მიუგებენ:

ამის, ამის და ამის შვილია.
ისინი მოიხსენიებენ უსამართლოს ყველაზე შემარცხვენელი სახელებით, რომელსაც კი მას მიწაზე ეძახდნენ. საბოლოოდ ისინი მიაღწევენ პირველ ცამდე და სთხოვენ კარების გაღებას, მაგრამ ის არ გაიღება.
შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ﷺ) წაიკითხა ყურანის აიათი:

إِنَّ ٱلَّذِينَ كَذَّبُواْ بِـَٔايَٰتِنَا وَٱسْتَكْبَرُواْ عَنْهَا لَا تُفَتَّحُ لَهُمْ أَبْوَٰبُ ٱلسَّمَآءِ وَلَا يَدْخُلُونَ ٱلْجَنَّةَ حَتَّىٰ يَلِجَ ٱلْجَمَلُ فِى سَمِّ ٱلْخِيَاطِ ۚ وَكَذَٰلِكَ نَجْزِى ٱلْمُجْرِمِينَ

„რომელთაც უარყვეს ჩვენი აიათები და ქედმაღლობდნენ მათ მიმართ, არ გაეხსნებათ მათ ზეცის კარები და ვერ შევლენ სამოთხეში, ვიდრე აქლემი არ გაძვრება ნემსის ყუნწში. (7/40)

მოციქულმა (ﷺ) განაგრძო თხრობა:
მაშინ უდიდესი და ყოვლისშემძლე ალლაჰი იტყვის:
„ჩაწერეთ ამბავი მის შესახებ სიჯიინში, რომელიც იმყოფება უმდაბლეს მიწაზე“.
შემდეგ ანგელოზებს ებრძანებათ: „დააბრუნეთ ის დედამიწაზე, რადგან მე მათ დავპირდი რომ მისგან გავაჩინე ისინი და მასში დავაბრუნებ მათ და მისგან აღვადგენ მათ კიდევ ერთხელ“.
ანგელოზები დააგდებენ ურწმუნოს სულს მიწაზე ისე რომ ის მოხვდება მის სხეულში. ამ დროს მოციქულმა (ﷺ) წაიკითხა აიათი ყურანიდან:

„და ის ვინც თანაზიარს უქმნის ალლაჰს, შეიქმნება ციდან დანარცხებულის მსგავსი, რომელსაც ჩიტები წარიტაცებენ, ან შორეთში ქარწაღებულის მსგავსი!“ (22/31)

– და თქვა: მისი სული ბრუნდება სხეულში ისე, რომ ესმის მისგან წასული ადამიანების ნაბიჯების ხმა.
შემდეგ ურწმუნოსთან მოდის ორი ანგელოზი, რომლებიც უხეშად აფხაზლებენ მას. ისინი ჯდებიან და ეკითხებიან მას:

მან რობბუქ? – ვინ არის შენი ღმერთი? ის ბუტბუტებს:

ჰა, ჰა, ლა ადრი – არ ვიცი...
მა დინუქ
რომელია შენი რელიგია?
ჰა, ჰა, ლა ადრი.
მე არ ვიცი...

რა იცი შენ ადამიანზე რომელიც გამოიგზავნა თქვენთან?
მაგრამ ურწმუნო ვერ შეძლებს სახელის დასახელებას, და მაშინ ანგელოზები დაიყვრებენ: – ეს მუჰამმადია!
ის შხოლოდ ბუტბუტებს: – მ–ემმ... არ ვიცი. მე შხოლოდ გავიგონე რომ ადამიანები ასე ამბობდნენ.
შენ არ იცოდი და არ გაჰყევი მას. მაშინ ციდან გაისმება ხმა:
„ის იტყუება! გაშალეთ მისთვის ცეცხლოვანი საწოლი, გახსენით მისთვის ჯოჯოხეთში კარები“.
მასთან მიაღწევს ჯოჯოხეთის მცხუნვარება და ცეცხლის ქარი სამუმი, და მისი საფლავი შევიწროვდება ისეთ დონეზე რომ მისი ნეკნები გადაეჭდომა ერთმანეთს. მაშინ მის წინაშე წარსდგება კაცი საზიზღარი სახით და ამაზრზენი ჩაცმულობით, რომელსაც ექნება ტალახის სუნი და ეტყვის:
მე შენ გამცნობ ისეთ რამეს რაც გაგანაწყენებს შენ. ეს დღე შენზე იყო დანაპირები. ურწმუნო ჰკითხავს: ალლაჰმა მომართოს შენს მიმართ ბოროტება, ვინ ხარ შენ? ვინა ხარ? შენს სახეს ბოროტება მოაქვს! ის ეტყვის: მე შენი ცუდი საქმეები ვარ. ვფიცავარ ალლაჰს მე ყოველთვის ვხედავდი თუ როგორ არ მიისწრაფოდი ალლაჰის მორჩილებისკენ და ჩქარობდი მისადმი ურჩობას. და აი ალლაჰმა გადაგიხადა ბოროტებით (სატანჯველით).
შემდეგ მასთან გამოგზავნიან ბრმას, ყრუ და მდუმარე ჯალათს, რომელსაც უჭირავს ხელში ურო. თუ ის ამ უროს დაარტყამს მთას, ის მტვრად გადაიქცევა. მაგრამ ის მას ურტყამს წამებულს და ის გადაიქცევა მტვრად და ალლაჰი ისევ გადააქცევს მას მსგავსად როგორიც იყო. ჯალათი მას ისევ ურტყამს და ის გამოსცემს ღრიალის ხმას, რომელი ხმაც ესმის ყველა არსებას ჯინებისა და ადამინების გარდა.
შემდეგ ურწმუნოსათვის გაიღება ჯოჯეხეთის კარიბჭეები, მისთვის გაშლიან ჯოჯოხეთის საწოლს და ის დაიყვირებს:
„ჩემო ღმერთო, არ მისცე საათს უფლება რომ დადგეს!“

(გადმოცემულია იმამ აჰმადის კრებულში, აბუ დავუდში, ან ნასაიში, იბნ მაჯაში ალ ჰაქიმში, ჰადისი არის საჰიჰი სანდო სარწმუნო.
(აჰმადი 4/284, აბუ დაუდი 2/281, ან-ნასაი 1/282, იბნ მაჯჯა 1/496, ალ-ჰაქიმი 1/37, აჭ-ჭაიალისი 753. ჰადისის სანდოობა (საჰიჰობა) დაამტკიცა იმამ ალ-ბაიხაყიმ „შუ'ბ ალ-იმანში" (1/300); აბუ ნუ'აიმმა, ალ-ჰაქიმმა, ალ-ასჰაბანიმ, იბნ თაიმიამ „მაჯმუ ალ-ფათავაში" (5/439) და „თალბის ალ-ჯაჰმიაში" (6/182); იბნ ალ-ყაიამმა „თაჰზიბ ას-სუნანში" (13/89) და „არ-რუჰში"; ას-სუიუტიმ „შარხ ას-სუდურში" (91); აჰმად შაქირმა „უმდათ ათ-თაფსირში" (2/22); ალ-ალბანი „საჰიჰ ათ-თარღიბ ვათ-თარხიბში" (3558); თახრიჯ მიშქათ ალ-მასაბიჰში" (1573); და „აჰქამ ალ-ჯანაიზში" (198); და ალ-ვადი'იმ „ას-საჰიჰ ალ-მუსნად მინ ასბაბ ან-ნუზულში" (150)).

ესეიგი პირველად იწყება ამ სამი კითხვით:
1. ვინ არის შენი ღმერთი
2. რა არის შენი რელიგია
3. ვინ იყო შენი მოციქული? რა იცი შენ მასზე?

თავჰიდი[2] ყველაფერზე წინ

ესეიგი, საფლავის პირველი კითხვა არის: „ვინ არის შენი ღმერთი“? ადამიანთა უმრავლესობა იფიქრებს, მე როცა მოვკვდები ვუპასუხებ, ალლაჰია ჩემი ღმერთი. მაშინ მათ მინდა ვკითხო, განა ალლაჰის მოციქული ტყუის? რათქმაუნდა არა! ამ სამყაროში მცხოვრები ადამიანები ყველა ამოწმებს, რომ ალლაჰია მათი ღვთაება, მაგრამ მათგან ზოგი ამბობს, მას ჰყავს შვილები, მას ჰყავს ძე, მას ჰყავს ქალიშვილები, ზოგმა მას აუყვანა თანაზიარი.

ყველა მუსლიმმა უნდა იცოდეს ვინ არის მისი ღმერთი. საიდან უნდა გავიგოთ ვინ არის ჩვენი ღმერთი? ეს შეიძლება გავიგოთ შემდეგ მეცნიერებაში რომელიც გახლავთ: „ათ თავჰიდ“.

გადმოცემულია იბნ 'აბბასისგან ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით და თავისი მამით, რომ ერთხელ ალლაჰის მოციქულმა (ﷺ) უთხრა მუ'აზს, რომელიც შემდგომ იემენში წარგზავნა:
„ო მუ'აზ, ჭეშმარიტად შენ მიხვალ ხალხთან რომლებიც არიან წიგნბოძებულები.[3] ასე რომ პირველი რითაც მათ მოუწოდებ, იყოს "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ", მტკიცებულება იმისა, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი, გარდა ალლაჰისა. (მუსლიმი 19)

განა ქრისტიანებმა და იუდეველებმა არ იცოდნენ, რომ არსებობს ღმერთი? რათქმაუნდა მათ ეს იცოდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა ალლაჰის მოციქულმა (ﷺ) თქვა რომ: პირველი რითაც შენ მათ მოუწოდებ უნდა იყოს "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" - არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება, ალლაჰის გარდა.
როგორ უნდა მოეწოდებინა მათთვის მუ'აზს ალლაჰმა შეიწყალოს ის? საუკეთესო მაგალითი მუ'აზისათვის და ჩვენთვის იყო და არის ალლაჰის მოციქული (ﷺ) იმიტომ, რომ უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

[2] თავჰიდი - მონოთეიზმი, ერთღმერთიანობა
[3] წიგნბოძებულები - ქრისტიანები და იუდეველები

لَّقَدْ كَانَ لَكُمْ فِى رَسُولِ ٱللَّهِ أُسْوَةٌ حَسَنَة

ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის (სურა ალ ჰაბ აიათი 21)

ახლავე ვნახოთ, როგორ მოუწოდებდა ალლაჰის მოციქული (ﷺ) ერთღმერთიანობაზე, "ლა ილლაჰა ილ ალლაჰზე" რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება, ალლაჰის გარდა.

ბევრმა არ იცის როდის გახდა უმმათისთვის სავალდებულო ლოცვა, ბევრმა არ იცის როდის გახდა უმმათისთვის სავალდებულო მარხვა, სავალდებულო მოწყალება/ზაქათი, პილიგრიმობა/ჰაჯი.
უზენაესმა ალლაჰმა წარგზავნა მოციქულად მუჰამმადი (ﷺ) ის იყო ამ დროს 40 წლის. ალლაჰი ბრძანებს:

وَلَقَدْ بَعَثْنَا فِى كُلِّ أُمَّةٍ رَّسُولاً أَنِ ٱعْبُدُواْ ٱللَّهَ وَٱجْتَنِبُواْ ٱلطَّـٰغُوتَ

ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტაღუთს (სურა ნაჰლი აია 36)

ესეიგი წარგზავნა ისინი "ლა ილაჰა ილლ ალლაჰის" მოწოდებისთვის.

როდის გახდა მუსლიმებისთვის სავალდებულო ლოცვა, მარხვა, ზაქათი და პილიგრიმობა?
მოციქულის (ﷺ) ქადაგების დაწყებიდან ათი წლის შემდეგ, როცა ის იყო ორმოცდაათი წლის, უზენაესმა ალლაჰმა ინება, რომ ჩვენი შუამავალი (ﷺ) ასულიყო მეშვიდე ზეცაზე, და ამ შემთხვევას ეწოდება "ალ ისრა ვალ მირაჯ", ყურანში მის შესახებ არსებობს სურა, რომელსაც ეწოდება "ალ ისრა".

ერთხელ მოციქული (ﷺ) როცა იმყოფებოდა მექქაში, უზენაესმა ალლაჰმა მთავარანგელოზი ჯიბრაილის მეშვეობით წარუგზავნა "ბურაყი"[4]. ამ ბურაყმა ის გადაიყვანა "ალ ყუდსში" დღევანდელ პალესტინაში. ამის შემდეგ მოციქული (ﷺ) ამაღლდა მეშვიდე ზეცაზე და იქ შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა სუბჰანა ჰუ ვათა'ალამ მას ამცნო უმმათისთვის ლოცვის შესრულების ვალდებულება.
ამით იმაზე მსურს გავამახვილო ყურადღება, რომ ლოცვა გახდა სავალდებულო ჩვენთვის, პირველი ზეშთაგონებიდან ათი წლის შემდეგ.
ახლა კი ვნახოთ მარხვა.

მარხვა გახდა სავალდებულო მეორე წელს ჰიჯრიდან, ანუ ორი წლის შემდეგ, როცა მოციქულმა (ﷺ) გადაიხვეწა მექქადან მადინაში. ბადრის ბრძოლის წინ მოუვიდა ალლაჰის მოციქულს
(ﷺ) ზეშთაგონება მარხვის შესახებ. უზენაესმა ალლაჰმა უბრძანა:

يَٰٓأَيُّهَا ٱلَّذِينَ ءَامَنُواْ كُتِبَ عَلَيْكُمُ ٱلصِّيَامُ كَمَا كُتِبَ عَلَى ٱلَّذِينَ مِن قَبْلِكُمْ لَعَلَّكُمْ تَتَّقُونَ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა მარხვა, როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენ უწინარეს იყო, ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისგან. (სურა ბაყარა აიათი 183)

ზაქათი - სავალდებულო მოწყალებაც, გახდა აუცილებელი მუსლიმებისთვის ამავე დღეებში ან ამის შემდეგ, ანუ ჰიჯრით მეორე წელს ესეც.

რაც შეეხება ჰაჯს - პილიგრიმობა, გახდა სავალდებულო ჰიჯრით მეცხრე წელს. უზენაესმა ალლაჰმა დაავალდებულა ჰაჯის შესრულება მათ, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს.
ლოცვის ვალდებულება გახდა პირველი ზეშთაგონებიდან 10 წლის შემდეგ, ხოლო მარხვა, ზაქათი და ჰაჯი უფრო გვიან.

[4] ბურაყი - ცხოველი რომელმაც გადაიყვანა მაცნე ﷺ მასჯიდულ ჰარამიდან მასჯიდულ აქსაში. ის იყო ვირზე დიდი და ჯორზე პატარა.

ახლა კი ვნახოთ რას აკეთებდა ალლაჰის მოციქული (ﷺ) მანამდე სანამ ამ „უმმასთვის[5]“ სავალდებულო გახდებოდა ლოცვა, მარხვა, ზაქათი და ჰაჯი? ამ დროში ალლაჰის მოციქული (ﷺ) მოუწოდებდა ადამიანებს, რომ მათ ერწმუნათ "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ", ის მოუწოდებდა თავჰიდზე- ერთღმერთიანობაზე. ამ ათი წლის განმავლობაში მოციქული უხსნიდა ხალხს, თუ რას ნიშნავდა "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" - ერთღმერთიანობა და თუ როგორ უნდა ეცხოვრათ ამით, როგორ მოეყვანათ ის პრაქტიკაში. მხოლოდ იმის შემდგომ, როცა ადამიანებმა გაიგეს რა იყო თავჰიდი, დაავალდებულა მათ ალლაჰმა ლოცვა, დაავალდებულა მარხვა, სავალდებულო მოწყალების გადახდა და ჰაჯი.
სწორედ ეს არის კარგი მაგალითი ჩვენთვის, რომ იმით დავიწყოთ საწყისი, როგორც დაიწყო ალლაჰის მოციქულმა (ﷺ) .

რით უნდა დავიწყოთ ჩვენ მოწოდება? პირველ რიგში უცოდინარ ხალხს ნაცვლად ერთღმერთიანობისა უნდა მოუწოდოთ როგორ შეასრულონ მათ ლოცვა? ან როგორ შეასრულონ ვუდუ[6]? არა! ჩვენ უნდა დავიწყოთ "თავჰიდით" ერთღმერთიანობით, უნდა დავიწყოთ "ლა ილაჰა ილლ ალლაჰის" ახსნით, უნდა დავიწყოთ ისე, როგორც დაიწყო ალლაჰის მოციქულმა (ﷺ). უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

لَّقَدْ كَانَ لَكُمْ فِى رَسُولِ ٱللَّهِ أُسْوَةٌ حَسَنَةٌ

ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის (სურა ალ ჰაჰაბ აიათი 21)

მან სწორად მიუთითა და ასწავლა რით უნდა დაეწყო მუ'ჰს მოწოდება იემენში, მან მიუთითა ის, რაც ალლაჰმა დაავალდებულა უპირველესად მას და რითაც მან დაიწყო ქადაგება, ეს იყო "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" - ანუ თავჰიდი, ერთღმერთიანობა.

---

[5] უმმა - საზოგადოება, ერი. ნაგულისხმებია მაცნე მუჰამმადის ﷺ მიმდევარი საზოგადოება.
[6] ვუდუ - ლოცვამდე შესასრულებელი მცირე განბანვა.

რა უპირატესობა აქვს თავჰიდის შესწავლას

რა სარგებელია თავჰიდის შესწავლაში?

I—პირველი სარგებელი რითაც მონა დაჯილდოვდება თავჰიდის სანაცვლოდ, ეს არის სამოთხე.

ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّهُۥ مَن يُشْرِكْ بِٱللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ ٱللَّهُ عَلَيْهِ ٱلْجَنَّةَ

უეჭველად ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუხდის, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე. (მაიდა/72)

როდის ასრულებს ადამიანი შირქს? მაშინ როცა მან არ იცის თავჰიდი. ასევე ალლაჰის მოციქული (ﷺ) ბრძანებს:
აბუ ჰურეირა გადმოგვცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ უთხრა მას: „წადი და ვინც არ უნდა ის შეგხვდეს შენ, რომელიც ამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა (ლა ილაჰა ილლ ალლაჰ) და რომლის გულსაც სწამს ეს, უმახარობლე მას სამოთხე.“ (მუსლიმი 31)

როგორ უნდა ვთქვათ „ლა ილაჰა ილლ ალლაჰ“ ჩვენ? რომელსაც ალლაჰის მოციქული 10 წლის განმავლობაში ქადაგებდა და უხსნიდა თანამიმდევრებს?

მოციქული ﷺ ბრძანებს:
“ვერ შევა სამოთხეში ვერავინ გარდა მორწმუნესი.” (მუსლიმ 114)

ესეიგი: რომელსაც სწამს და ამოწმებს „ლა ილაჰა ილლ ალლაჰს.

2—მეორე სარგებელია ის, რომ მონა თავჰიდით გადაირჩენს თავს ცეცხლისგან.

ამის შესახებ გადმოცემულია ჰადისში რომელიც მოგვითხრო მუ'ა̇ბ იბნ ჯაბბალმა და გადმოგვცა, რომ მოციქულმა ﷺ თქვა:

"ვინც ამოწმებს, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი მისი მოციქულია და ამის მიმართ არის გულწრფელი, მისთვის უზენაესმა ალლაჰმა აკრძალული ჰქმნა ჯოჯოხეთი."
(ალ ბუჰარი 128 მუსლიმ 32)

3—მესამე საბუთი მონებისთვის არის ის, რომ უზენაესი ალლაჰი მას ვინც მოკვდება თავჰიდით, აპატიებს ცოდვებს.

დიადი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ ٱللَّهَ لَا يَغْفِرُ أَن يُشْرَكَ بِهِۦ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَٰلِكَ لِمَن يَشَآ

უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. (ნისა/116)

ადამიანი რომელიც ცხოვრობს ერთღმერთიანად და ალლაჰს არ უჩენს თანაზიარს, მას საბოლოოდ ეპატიება ყველა ცოდვა. თუ ადამიანი სჩადის ცოდვას, მცირეს ვიდრე დიდ შირქს და დიდ ქუფრს, ის ალლაჰის სურვილისამებრ იგემებს სანაცვლოდ საზღაურს. თუ ალლაჰი მოისურვებს მას დასჯის ამისთვის და თუ არა აპატიებს მას.

ალლაჰის მოციქულმა ﷺ ბრძანა: დიადი ალლაჰი ამბობს:

"ო ადამის შვილი, თუ შენ წარსდგები ჩემს წინაშე დედამიწისოდენა ცოდვით და თუ შენ არ აგიყვანია ჩემთვის თანაზიარი, მე შენ დაგაჯილდოვებ ამდენივე მოწყალებით, პატიებით."
ეს ჰადისი არის სანდო. ალ ჯამიი ალ საღირ 4338.

4—მეოთხე საბუთი თავჰიდის ეს არის ის, რომ ერთღმერთიანობა საუკეთესო საქმეთაგანია.

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან, რომ ერთ დღეს ალლაჰის მოციქულს ჰკითხეს ﷺ:

ო ალლაჰის შუამავალო, რომელი საქმეა საუკეთესო? მან უპასუხა: რწმენა ალლაჰისა და მისი მოციქულისა. (ალ ბუჰარი 26)

5—მეხუთე საგებელი. ერთღმერთიანობა იქნება განკითხვის დღეს, სასწორზე სიმძიმის მიზეზი.

ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა, რომ მუსამ (ალლაჰის შშვიდობა მასზედ) თქვა:

"ო ჩემო ღმერთო შემასწავლე მე ის, რითაც მუდმივად გაგიხსენებ შენ და მოგმართავ შენ ვედრებით. თქვი ო მუსა, "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება გარდა ალლაჰისა. მუსამ წამოიძახა: ო ღმერთო, მაგრამ ამას ამბობს შენი ყველა მსახური. ალლაჰმა ბრძანა: ო მუსა, თუ სასწორის ერთ მხარეს იქნება შვიდი ზეცა თავისი მაცხოვრებლებით ჩემს გარდა და შვიდკეცა მიწა, და მეორე მხარეს იქნება სიტყვა "არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება გარდა ალლაჰისა», (ანუ ლა ილაჰა ილლ ალლაჰ), მაშინ სასწორის ის მხარე დასძლევს და იქნება მძიმე, რომელ მხარესაც იქნება ეს სიტყვები."

გადმოცემულია ან ნასაიში სუნან ალ ქუბრაში 10670, 10980, აბუ ია'ლა თავის მუსნადში, 1393, აბუ ნუ'აიმ ხილიასი, 8/328 იბნ ჰიბანში, ალ ქაჰიმ ალ მუსთადრაქში, 1/528, ბაიჰაყი ალ ასმაი ვა სსიფათში, 185 ალ ბაღავი შარხ ას სუნნა 1273.

ასევე გადმოცემულია 'აბდულლაჰ იბნ 'ამრისგან, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

როდესაც მოციქულ ნუჰს (ალლაჰის შშვიდობა მასზედ) მიუახლოვდა სიკვდილი, მან უთხრა თავის შვილს: მე გავალდებულებ შენ გაიმეორო სიტყვები "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ". ჭეშმარიტად შვიდკეცა ზეცას და შვიდკეცა მიწას თუ დავდებთ სასწორის ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს

სიტყვა ლა ილაჰა ილლ ალლაჰს, მაშინ გადასწონის ის მხარე სადაც არის ეს სიტყვები. და თუ შვიდი ზეცა და შვიდი მიწა წარმოადგენდა ბეჭედს, ეს სიტყვები მას უთუოდ დაამსხვრევდა.
აჰმად 2/169, ალ ჰაქიმ 1/148, ჰადისი არის სანდო.

ახლა კი ძალიან მნიშვნელოვანი ჰადისი რომელიც ყურადსაგდებია ყველა მორწმუნესათვის. მანამდე მსურს ავღნიშნო, რომ ბევრია ვინც ეთაყვანება ალლაჰს, მაგრამ როცა ისინი წარსდგებიან ალლაჰის წინაშე, მათი საქმეები იქმნება ფუჭი, თუ მათი საფუძველი არ იყო თავჰიდი. ხოლო არიან ხალხი, რომლებიც ალლაჰს არ ეთაყვანებიან ასე ხშირად, მაგრამ მათი რწმენის საფუძველი არის თავჰიდი, „ლა ილაჰა ილლ ალლაჰ," რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ალლაჰის გარდა, და ამის სანაცვლოდ ისინი მიიღებენ ალლაჰისაგან ჯილდოს და მათი საქმეები არ შეიქმნება იმ დღეს ფუჭი.

გადმოცემულია ‘აბდულლაჰ იბნ ამრისგან (رَضِيَ اَللهُ عَنْهُ) რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

განკითხვის დღეს ყველა ქმნილების წინ გამოიყვანებენ ერთ ადამიანს ჩემი უმმიდან და გადაიშლება მის წინ 99 ცოდვის წიგნი, რომელსაც მზერა ვერ მისწვდება. შემდეგ მას ჰკითხავენ: უარყოფ რა, შენ ამათგან რაიმეს? მოგექცნენ განა შენ უსამართლოდ ორი ანგელოზი?[7] ის უპასუხებს: არა, ო ალლაჰ. მას ჰკითხავენ: გაქვს შენ გამართლება ან კეთილი საქმე?
ეს ადამიანი უპასუხებს: არა, ო ალლაჰ. მაშინ მას ეტყვიან: არის! ჩვენ გვაქვს ერთი შენი კეთილი საქმე და დღეს შენ არ მოგექცევიან უსამართლოდ! მას მოუტანებენ მისი სიკეთეთაგან ფურცელს, რომელზეც იქნება სიტყვები: "მე ვამოწმე რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება გარდა ალლაჰისა და მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია". მაშინ ის იტყვის: ო ღმერთო! რას წარმოადგენს ეს ფურცელი ამ წიგნებთან შედარებით? მას ეტყვიან: დღეს შენს მიმართ არ იქნება უსამართლობა. შემდეგ დადებენ ცოდვის წიგნებს სასწორის ერთ მხარეს ფიალაზე და ფურცელს მეორეზე და ფურცელი აღმოჩნდება მძიმე წიგნებზე. და არ არსებობს რაიმე რაც ალლაჰის სახელს დასძლევს.

[7] ორი ანგელოზი – მარჯვნივ და მარცხნივ, სიკეთისა და ცოდვის აღმნუსხვნელნი

ათ თირმიზი 2639, იბნ მაჯა 4300, აჰმად 4/213, ალ ჰაქიმი 1/5. ჰადისი სანდოობა დაადასტურეს იმამ აბი ‘ისა ათ თირმიზმა, ალ ჰაქიმმა, ჰაფიზ ზ ზაჰაბმა.

რათქმაუნდა ეს ადამიანი იქნება ის, ვინც ამოწმებდა “ლა ილაჰა ილლ ალლაჰს” და ამავდროულად ხვდებოდა მის ზრს თუ რა იყო მისი მნიშვნელობა და სწამდა მისი გულით და არა მხოლოდ სიტყვებით მოწმობა, და ასრულებდა მის პირობებს პრაქტიკულად.

6—მეექვსე არის ის, რის გამოც შეიქმნენ ქმნილებები, ანუ ერთღმერთიანობისთვის. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

وَمَا خَلَقْتُ ٱلْجِنَّ وَٱلْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

51:56. და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის.

ესეიგი მათ რომ გაიცნონ ალლაჰი და შეიყვარონ ის დიდებული, და ეთაყვანონ მას და არ გაუჩნონ თანაზიარი.

7—მეშვიდე. ერთღმერთიანობა ეს არის ის, რისთვისაც წარიგზავნა ყველა მოციქული. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

وَلَقَدْ بَعَثْنَا فِى كُلِّ أُمَّةٍ رَّسُولاً أَنِ ٱعْبُدُواْ ٱللَّهَ وَٱجْتَنِبُواْ ٱلطَّـٰغُوتَ

და ვფიცავ! ჩვენ წარმოვგზავნეთ ყოველ ერთან შუამავალი, რათა ალლაჰისთვის ეცათ თაყვანი და განდგომოდნენ ტაღუთს. (16/36)

8—თავჰიდის მერვე საბუთია ის, რომ საქმეები მიიღება მხოლოდ ერთღმერთიანობით. ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّمَا يَتَقَبَّلُ ٱللَّهُ مِنَ ٱلْمُتَّقِينَ

,,ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს. (მაიდა/27)

სწავლულებმა თქვეს, რომ ღვთისმოშიშობაში აქ იგულისხმება ერთღმერთიანები, რომლებსაც ეშინოდათ მრავალღმერთიანობის, რომ არ აეყვანათ ალლაჰისთვის თანაზიარი.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

لَئِنْ أَشْرَكْتَ لَيَحْبَطَنَّ عَمَلُكَ

,,თუკი დაუდგენ (ალლაჰს) თანაზიარს, უთუოდ, ამაო გახდება შენი საქმენი. სურა (აზ ზუმარ/65)

ასევე ალლაჰი ბრძანებს:

فَمَن كَانَ يَرْجُواْ لِقَآءَ رَبِّهِۦ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَٰلِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِۦٓ أَحَدًۢا

მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“ სურა (ალ ქაჰფ/110)

9—მეცხრე საგებელი ერთღმერთიანობაში არის ის, რომ უზენაესი ალლაჰი პასუხობს ერთღმერთიანის ვედრებას.

ალლაჰი ბრძანებს:

وَمَا دُعَآءُ ٱلْكَٰفِرِينَ إِلَّا فِى ضَلَٰلٍ

და მეტი არაფერია ურწმუნოთა ვედრება, გარდა ცდომილებისა. სურა (არ რა'დ/14)

აქიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მორწმუნის დუ'ას ალლაჰი პასუხობს. ასევე ჰადისი:

ერთხელ ალლაჰის მოციქულმა ﷺ გაიგონა, ერთი ადამიანი თუ როგორ მოუხმობდა ვედრებით ალლაჰს, შემდეგი სიტყვებით:
"ო ალლაჰ, ჭეშმარიტად მე გთხოვ შენ იმით, რომ შენ ხარ ალლაჰი, ერთადერთი, (ალ ვაჰიდ) შენ ხარ თვითღირსი, (ას სამედ), (ٱلَّذِي لَمْ يَلِدْ وَلَمْ يُولَدْ) რომელიც არც შობილა და არც მშობელია, (وَلَمْ يَكُن لَّهُۥ كُفُوًا أَحَدُۢ) და არავინ არ არის მსგავსი ბადალი შენი, და ვერც იქნება! ო ალლაჰ მაპატიე ჩემი ცოდვები, ჭეშმარიტად შენა ხარ (არ რაჰმან) ყოვლადმოწყალე და (არ რაჰიმ) ყოვლადმწყალობელი!" რის შემდეგ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: „ჭეშმარიტად მას ეპატია, ჭეშმარიტად მას ეპატია, ჭეშმარიტად მას ეპატია."
იმიტომ რომ მან თხოვა ალლაჰს თავისი დიადი სახელებით. თუ ადამიანი რაიმეს ითხოვს ალლაჰისგან ამ სახელებით ის მიიღებს მას, და თუ შეევედრება ამ სახელებით, მიიღებს პასუხს მის ვედრებაზე.

ჰადისი სანდოა იხ. თახრიჯ მიშქან ალ მასაბიჰ 2229.

10—მეათე სარგებელი ერთღმერთიანობის არის ის, რომ დიდებული ალლაჰი თავის მონებს რომლებიც არიან მუვაჰიდები, იცავს მწუხარებისგან.

დიდებული ალლაჰი აღწერს მოციქული იუნუსის (ალლაჰის სალამი მასზედ) ამბავს. ერთხელ მოციქული იუნუსი გადაყლაპა თევზმა და ის აღმოჩნდა ამ თევზის მუცელში. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა მოუხმო ალლაჰს:

„ لَّآ إِلَٰهَ إِلَّآ أَنتَ سُبْحَٰنَكَ إِنِّى كُنتُ مِنَ ٱلظَّٰلِمِينَ

არ არსებობს ღვთაება, გარდა შენი! დიდება შენდა! უეჭველად, მე უსამართლოთაგანი ვარ!" სურა. (ალ ანბია/87)

რის შემდეგ დიდებულმა ალლაჰმა ბრძანა:

فَٱسْتَجَبْنَا لَهُۥ وَنَجَّيْنَٰهُ مِنَ ٱلْغَمِّۚ وَكَذَٰلِكَ نُـۨجِى ٱلْمُؤْمِنِينَ

ამგვარად, ჩვენ შევისმინეთ მისი ვედრება და ვიხსენით იგი მწუხარებისგან. და ასე დავიხსნით ჩვენ მორწმუნეებს! (ალ ანბია/88)

ასევე გადმოგვცემენ, რომ იბნ 'უმარმა ალლაჰი იყოს მისით და მამამისით კმაყოფილი თქვა, როგორ გაიგონა ალლაჰის მოციქულის ﷺ სიტყვები:

"ერთხელ სამი ადამიანი თქვენამდე გაემგზავრნენ გზაში და მანამ იარეს სანამ არ შეჩერდნენ ერთ გამოქვაბულში, რათა გაეთიათ ღამე. როცა ისინი შევიდნენ იქ, მთიდან შეირყა დიდი ქვა, რომელმაც ჩახერგა მათი გასასვლელი. მაშინ მათ უთხრეს ერთმანეთს: ჭეშმარიტად შველა შესაძლებელია ალლაჰზე თხოვნით, რომ მან გადაგვარჩინოს ჩვენი კეთილი საქმეებით. ამის შემდეგ ერთ-ერთმა შეევედრა ალლაჰს:
,,ო ალლაჰ, მე მყავდა მოხუცი მშობლები და საღამოობით არასდროს არ მიმიცია რძე მათზე წინ, არც ოჯახის წევრებისათვის და არც მონებისათვის. ერთხელ, ხის ძებნაში მოვშორდი სახლს დიდი მანძილით და როცა დავბრუნდი უკან, მშობლებს უკვე ეძინათ. მე მათ მოუტანე რძე და როცა ვნახე რომ მათ ეძინათ არ მსურდა ისინი გამეღვიძებინა და არც მათზე წინ მიმიწოდებია რძე ოჯახის წევრებისათვის და არც მონებისათვის და თასით ხელში ველოდებოდი დილამდე მათ გაღვიძებას. ო ალლაჰ, თუ მე ეს გავაკეთე მისწრაფებით იმისა, რომ მენახა შენი სახე, მაშინ გვიხსენი ამ მდგომარეობისაგან ჩვენ, რომელშიც ამ ქვის გამო აღმოვჩნდით აქ."
ამის შემდეგ შეირყა ქვა და გამოჩნდა გასასვლელი, მაგრამ არა იმდენად, რომ ისინი გაღწეულიყვნენ გამოქვაბულიდან გარეთ. მაშინ მეორემ შეევედრა ალლაჰს:
,,ო ალლაჰ, ჭეშმარიტად ჩემს ბიძას ყავდა ქალიშვილი, რომელიც მე მიყვარდა ისე, რომ მსგავსად არავინ მყვარებია ადამიანთაგან და სურვილი მქონდა მისი, მაგრამ ის იყო უარზე. ასე გაგრძელდა ეს, მანამ, სანამ არ მოვიდა სიცხიანი გვალვის წელი. ამ ძნელ მდგომარეობაში მყოფი ეს გოგო მოვიდა ჩემთან დახმარების სათხოვნელად. მე მას მივეცი 120 დინარი რათა ის დამმორჩილებოდა, რაზეც მან იძულებით დამთანხმდა. როცა მე მომეცა ამის შესაძლებლობა, მან მითხრა: გეშინოდეს ალლაჰის. შემდეგ მე დავფიქრდი, მსგავსად რომ მოვქცეულიყავი ჩავიდენდი ცოდვას და

დავტოვე ის, მიუხედავად იმისა, რომ მე ის ძალიან ძლიერ მიყვარდა ყველაფერზე მეტად, და დავტოვე თან მას ის ფული რომელიც მას მივეცი. ო ალლაჰ, თუ მე ეს გავაკეთე მისწრაფებით იმისა, რომ მენახა შენი სახე, მაშინ გვიხსენი ამ მდგომარეობისგან ჩვენ.“
ამის შემდეგ ქვა ისევ შეირყა, მაგრამ გასასვლელი ისევ არ იყო ისეთი ფართო, რომ მათ შეძლებოდათ თავის დაღწევა. ამ დროს მესამემ თქვა:
„ო ალლაჰ, ჭეშმარიტად ერთხელ მე დავიქირავე მუშები და ყველა მათგანს გადავუხადე მათი კუთვნილი თანხა, გარდა ერთისა, რომელმაც დატოვა მისი კუთვნილი გასამრჯელო და წავიდა, მე კი გამოვიყენე ეს ფული, რომელიც შემდგომ გამრავლდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ის მოვიდა ჩემთან და მითხრა: ო ალლაჰის მონავ, მომეცი მე ჩემი გასამრჯელო თანხა, რომელიც მე არ ამიღია მაშინ. მე მას ვუთხარი: შენი გასამრჯელო არის ეს ყველა აქლემები, ძროხები, ცხვრები და მონები რასაც შენ ხედავ. მან მითხრა: ო ალლაჰის მონავ, ნუ დამცინებ მე. მე ვუთხარი: ჭეშმარიტად მე არ დაგცინი შენ, რის შემდეგ მან წაიყვანა ყველაფერი ეს და წავიდა ისე, რომ არაფერი დაუტოვებია. ო ალლაჰ, თუ მე ეს გავაკეთე მისწრაფებით იმისა, რომ მენახა შენი სახე, მაშინ გვიხსენი ამ მდგომარეობისგან ჩვენ.“
ამის შემდეგ ქვა შეირყა ისე, რომ მათ შეძლეს თავის დაღწევა გამოქვაბულიდან და წავიდნენ.”

გადმოცემულია ალ ბუჰარში 3465 და მუსლიმში 2743

მიზეზი მათი გადარჩენისა იყო ერთღმერთიანობა. და თუ ჩვენ გვეწევა მსგავსი გამოცდა, როგორი კეთილი საქმეები გვექნება ალლაჰის წინაშე ჩადენილი გულწრფელად, როგორც ამ ხალხს? ასევე ამ ჰადისში ვხედავთ მათ ძლიერ მეგობრობას. ისინი იყვნენ მხოლოდ სამნი, მაგრამ იყვნენ მართლმორწმუნენი. როცა მათგან თითოეული ევედრებოდა ალლაჰს, ქვა ირყეოდა, რომ არ ყოფილიყო ერთ-ერთი მათგანი მართალი, მაშინ რა მოხდებოდა? ამიტომ საყურადღებოა ვინ გვყავს გვერდით მეგობრად. რადგან :

აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

„ადამიანი დგას იმ რელიგიაზე რაზეც თავისი მეგობარი. ამიტომ დააკვირდით ყველა თქვენთაგანმა ვინ არის თქვენი ახლო მეგობარი.“

აბუ დაუდ 4833, ათ თირმიზი 2378, იმამ ან ნავავიმ, ჰაფიზ იბნ ხაჯარმა, იმამ იბნ მუფლიყმა, ჰაფიზ ას სუიტმა დაადასტურეს ჰადისის სანდოობა.

რომელი პირობით მიიღება ჩვენი საქმეები დიდებული ალლაჰის წინაშე? რათქმაუნდა თავჰიდით. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

فَمَن كَانَ يَرْجُواْ لِقَآءَ رَبِّهِۦ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَٰلِحًا وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِۦٓ أَحَدًۢا

მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის!“ (ალ ქაჰფ/110)

იაჰია იბნ ქასირი, მუფასირი[8] ამბობს რომ: უზენაესმა ალლაჰმა ამ აიათში შეგვახსენა ორი პირობა რომლითაც მიიღება ჩვენი საქმეები:
1—საქმე უნდა შესრულდეს მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილებისთვის, და ამის მტკიცებულებაა მისი სიტყვა:

وَلَا يُشْرِكْ بِعِبَادَةِ رَبِّهِۦٓ أَحَدًۢا

და ნუ დაუდგენს ზიარად თაყვანისცემაში თავის ღმერთს ნურავის

2—საქმე უნდა შესრულდეს ალლაჰის მოციქულის ﷺ გზით. ამის მტკიცებულებაა:

فَمَن كَانَ يَرْجُواْ لِقَآءَ رَبِّهِۦ فَلْيَعْمَلْ عَمَلًا صَٰلِحًا

მაშ, ვინც სასოებს თავის უფალთან შეხვედრას, მაშინ მართალი საქმე აკეთოს.

[8] მუფასირი–ყურანის კომენტატორი, განმმარტებელი.

ეს არის სიბრძნე ერთღმერთიანობისა. ყველაზე დიდი სიბრძნე, ეს არის თავჰიდი და ზემოთხსენებული სარგებელნი საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანმა გაიგოს თუ როგორ, უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი ღმერთის შეცნობა, საკუთარი რელიგიის შეცნობა, მისი მოციქულის ﷺ გზის შეცნობა!

რაში გამოიხატება უზენაესი ალლაჰის ერთადერთობა და რამდენ ნაწილად იყოფა ის

დიდებულ ალლაჰს ვერავინ აღწერს და ვერავინ ისაუბრებს მის შესახებ იმაზე უკეთ, გარდა რასაც ის ბრძანებს ყურანში თავისი თავის შესახებ. როცა ერთხელ პოლითეისტებმა ჰკითხეს ალლაჰის მოციქულს ﷺ დიდებული ალლაჰის შესახებ, მან უპასუხა მსგავსად:

მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით!
თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია!
ალლაჰი „სამედია“ (ანუ ის არაფერზეა დამოკიდებული, პირიქით, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული)!
არ შობილა და არც უშვია (შშობელი არ ყოფილა)
და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!
სურა ალ იხლას I~4

ეს არის სურა ალ იხლასი რომელიც ალლაჰის სიდიადეს აღწერს, რომელი სიდიადეც უნდა გაიცნოს ყველა ადამიანმა რათა ღირსეული სათაყვანებელი გაიგოს და შეიცნოს თუ ვინ არის. თუ ადამიანი აღიარებს ალლაჰის ღვთაებრიობას, მან ასევე უნაკლოდ უნდა აღიაროს და შეიცნოს, რომ ის როგორც ერთი ღმერთია, ასევე ერთადერთია ღირსეული, რომელსაც ეკუთვნის ყველა თაყვანისცემის ფორმა. ეს არის თავჰიდი, რაც პირველ რიგში დაავალდებულა ალლაჰმა ადამიანებსა და ჯინებს და ამ ძვირფას სურაში ნათლად არის ეს აღნიშნული. სურა იხლასი იმდენად ძვირფასია, რომ გადმოცემულია მართლმორწმუნეთა დედამ 'აიშამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა:

“ერთხელ ალლაჰის მოციქულმა ﷺ გაგზავნა საბრძოლველად ხალხი, ერთი ადამიანის მეთაურობით, რომელიც ლოცვის დროს იყო იმამი და ის ყოველთვის კითხულობდა სურა ალ იხლასს. როცა ისინი დაბრუნდნენ უკან, ამის შესახებ უამბეს ალლაჰს მოციქულს ﷺ რომელმაც დასძინა: „ჰკითხეთ მას რატომ აკეთებს ის ამას?“ მას ჰკითხეს მის შესახებ, რაზეც

უპასუხა: "მასში მოხსენიებულია მოწყალის თვისებები და ამიტომ მიყვარს მისი კითხვა."
ამის შესახებ როცა გაიგო ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: უთხარით მას, რომ ალლაჰს უყვარს ის.
(ბუჰარი 7375, მუსლიმ 813)

ასევე:

"ერთხელ მაცხენემ ﷺ ჰკითხა მის საჰაბეებს: შეუძლია თუ არა რომელიმე თქვენთაგანს წაიკითხოს ყურანის მესამედი ერთ ღამეში? მათ ეს მოეჩვენათ ძნელი და დაიწყეს საუბარი: ვის შეუძლია ეს გააკეთოს, ო ალლაჰის მოციქულო? მაშინ მათ ალლაჰის მოციქულმა ﷺ უპასუხა: ალლაჰი ერთადერთია, ალლაჰი სამედია (სურა ალ იხლასი) ეს არის ყურანის მესამედი".
(ალ ბუჰარი 5015, მუსლიმ 811)

ეს ძვირფასი სურა რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ იწყება შემდეგი აიათით:

قُلْ هُوَ ٱللَّهُ أَحَدٌ

112:1. თქვი: ის, ალლაჰი ერთადერთია!

რას ნიშნავს მისი ერთადერთობა? ამ სიტყვას აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგანაც უზენაესი ალლაჰის ერთადერთობა გამოიხატება სამ რამეში:

1—უზენაესი ალლაჰი არის ერთადერთი, ყველაფრის შემქმნელი ~ რომელსაც ეწოდება (თავჰიდ არ რუბუბია)

2—უზენაესი ალლაჰი არის ერთადერთი, ვისაც ეკუთვნის ყველა თაყვანისცემა ~ ანუ (თავჰიდ ალ ულუჰია)

3—უზენაესი ალლაჰი არის ერთადერთი თავის სახელებსა და ატრიბუტებში ~ (თავჰიდ ალ ასმა ვა სსიფათ)

რა არის თავჰიდ არ რუბუბია?

–ეს არის აღიარება ალლაჰის ერთადერთობის თავის ღვთაებრიობაში. ანუ აღიარება ერთღმერთიანობისა ღმერთის სიდიადეში, აღიარება იმის რომ ის არის შემქმნელი, (ალ ხალიყ), მომაკვდინებელი (ალ მუმით), სარჩოს მომცემი (არ რაზაყ), მმართველი, ყოველი საქმის მომწყობი და ასე შემდეგ.

რა არის თავჰიდ ალ ულუჰია?

–აღიარება იმის, რომ ალლაჰია ერთადერთი რომელსაც ეკუთვნის ყოველი თაყვანისცემის ფორმა, რომელიც არის ყოველი თაყვანისცემის ობიექტი (მაღბუდ) და რომელიც არის ღირსეული სათაყვანებელი და არა სხვა.

რა არის თავჰიდ ალ ასმა ვა სსიფათ?

–აღიარება ალლაჰის ერთადერთობისა, თავის სახელებსა და ატრიბუტებში. დიდებული ალლაჰის სახელების აღიარება უნდა იყოს ისე, როგორც მან აღწერა მისი სიდიადე და როგორც მოციქულმა აღწერა ﷺ ის, ჩვენ მას არ უნდა მივამატოთ რაიმე და არც უნდა გამოვაკლოთ რაიმე.

ჩნდება კითხვა, განა ყველა ადამიანს სჯერავს და სწამს უზენაესი ალლაჰის? განა არის ადამიანი, რომელიც არ აღიარებს დიდებულ ალლაჰს? პასუხი არის შემდეგი: ყველა ადამიანს, დაწყებული ადამიდან (عليه السلام) დღემდე, სწამს ალლაჰის ღვთაებრიობა, მისი არსებობა, მისი ერთადერთობა.[9]
რატომ? თუ ვიკითხავთ ჩვენ, იმიტომ რომ დიდებულმა ალლაჰმა ყველა ადამიანს ეს გრძნობა თან დაუყოლა, რომ მათ ერწმუნათ ალლაჰის. პირველ რიგში სანამ დიდებული ალლაჰი შექმნიდა კაცობრიობას, მან შექმნა ადამი (عليه السلام) და შემდეგ გამოიყვანა მისი წელიდან ადამიანთა ყველა მოდგმა განკითხვის დღემდე. ჩვენ არ ვიცით როგორი ფორმით გამოიყვანა ისინი ალლაჰმა, მაგრამ ვიცით, რომ მან ყველა ადამიანისგან აიღო სიტყვა. როგორი სიტყვა აიღო მან?

وَإِذْ أَخَذَ رَبُّكَ مِنۢ بَنِىٓ ءَادَمَ مِن ظُهُورِهِمْ ذُرِّيَّتَهُمْ وَأَشْهَدَهُمْ عَلَىٰٓ أَنفُسِهِمْ أَلَسْتُ بِرَبِّكُمْ ۖ
قَالُوا۟ بَلَىٰ شَهِدْنَآ ۛ أَن تَقُولُوا۟ يَوْمَ ٱلْقِيَـٰمَةِ إِنَّا كُنَّا عَنْ هَـٰذَا غَـٰفِلِينَ

[9] საუბარია მათ ფიტრაზე–თანდაყოლილ ბუნებაზე.

7:172. აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა: „განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?“ უთხრეს: „დიახ, ვაღიარეთ ჩვენ.“ უეჭველად, ჩვენ არ ვუწყოდით ამას, რომ არ ეთქვათ აღდგომის დღეს.

ესეიგი როცა გარდავიცვლებით და წავრსდგებით მის წინაშე, ალლაჰი გვკითხავს ამ პირობის შესახებ რომელიც მას მივეცით, მაგრამ დღეს ბევრმა შეიძლება თქვას, რომ მე ეს არ მახსოვს, ამიტომ ყოვლისშემძლე ალლაჰმა ამის შესახებ მეორე პირობა აიღო ჩვენგან. მან ჩვენ შეგვქმნა ერთღმერთიანობის ბუნებით. ის ბრძანებს:

فَأَقِمْ وَجْهَكَ لِلدِّينِ حَنِيفًاۚ فِطْرَتَ ٱللَّهِ ٱلَّتِى فَطَرَ ٱلنَّاسَ عَلَيْهَاۚ لَا تَبْدِيلَ لِخَلْقِ ٱللَّهِۚ ذَٰلِكَ ٱلدِّينُ ٱلْقَيِّمُ وَلَٰكِنَّ أَكْثَرَ ٱلنَّاسِ لَا يَعْلَمُونَ

30:30. მაშ, მოაქციე შენი სახე ერთმორწმუნე სარწმუნოებისკენ, ალლაჰმა ასეთი თვისება თანდააყოლა ადამიანს დაბადებიდანვე. ალლაჰის გაჩენილს შეცვლა არ უწერია. ეს არის ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა არ უწყიან!

ასევე ამის შესახებ ნათქვამია ჰადისში რომელიც აბუ ჰურაირასგან (رَضِيَ اللهُ عَنْهُ) არის გადმოცემული, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:
“ყველა ახალშობილი იბადება მუსლიმი, ამის შემდეგ მისი მშობლები ხდიან მას იუდეველს, ქრისტიანს ან ცეცხლთაყვანისმცემელს. ისევე როგორც ცხოველები შობენ მთლიან (ნაკლის გარეშე, უნაკლო) პატარებს. გინახავთ განა თქვენ, რომ მათ ეშვათ ცხვირმოჭრილი პატარა?”

(ბუხარი 1359, მუსლიმ 2658)

ასევე მუსლიმის საჰიჰ ჰადისში, გადმოცემულია იადა უბნ ხამარას მიერ, რომ ალლაჰის მოციქულმა, ﷺ თქვა:

"უზენაესი ალლაჰი ამბობს: მე შევქმენი ჩემი მონები ერთღმერთიანებად, მაგრამ მათთან მივიდა შაიტანი და გამოიყვანა ისინი რწმენიდან! მათ აუკრძალეს ის რაც მე ნებადართულ ვჰყავი მათთვის და მოუწოდეს მათ, რომ აეყვანათ ჩემთვის თანაზიარი რომელზეც მე არ მომივლენია რაიმე მტკიცებულება" (მუსლიმ 2865)

ამიტომ ყველა სწავლული ერთხმოვანია იმაში და ამბობს, რომ თუ ახალშობილი ბავშვი დაიბადება რომელიღაც კუნძულზე, ის იქნება თავისი ფიტრათით, თანდაყოლილი ბუნებით ერთღმერთიანი.
ე.ი. მშობლები ხდიან ბავშვს ან ქრისტიანს ან იუდეველს ან ცეცხლთაყვანისმცემელს, მაგრამ როცა ალლაჰის მოციქული ﷺ ამბობდა მშობლებს, ის პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ მშობლებს არ გულისხმობდა, რადგანაც ბავშვი იზრდება მშობლებთან, ამიტომაც ისინი ხდიან მათ სხვა რწმენისას და თუ ბავშვი გაიზრდება ისეთ საზოგადოებაში, რათქმაუნდა ისინიც გახდიან მათ ან ქრისტიანს ან იუდეველს ან ცეცხლთაყვანისმცემელს, ან დემოკრატს, ან ლიბერალს და ა.შ.
ე.ი. ყოვლისშემძლე ალლაჰმა დაგვიდო მეორე პირობა, რომ ჩვენ, მან თანდაყოლილი ბუნებით გაგვაჩინა.

უზენაეს ალლაჰს ამ ორი პირობით არ დაუმთავრებია, ახლა კი
3—მესამე პირობა, ის რომ დიდებულმა ალლაჰმა წარგზავნა მოციქულები რათა ეს ორი პირობა უფრო გაემყარებინა. ის ბრძანებს:

رُّسُلاً مُّبَشِّرِينَ وَمُنذِرِينَ لِئَلَّا يَكُونَ لِلنَّاسِ عَلَى ٱللَّهِ حُجَّةُۢ بَعْدَ ٱلرُّسُلِۚ وَكَانَ ٱللَّهُ عَزِيزًا حَكِيمًا

(ჩვენ წავრგზავნეთ) შუამავლები მახარობლებად და შემგონებლებად, შუამავლების შემდგომ რომ არ ჰქონოდათ ადამიანებს მტკიცებულება ალლაჰის წინაშე. და ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.
(სურა ან ნისა 165)

ყოვლისშემძლე ალლაჰმა წარგზავნა შუამავლები, რათა მათ მოეწოდებინათ, შეეხსენებინათ ზემოთხსენებული 2 პირობა. მან წარგზავნა მოციქულები

სასწაულებით, რომლებიც მოწმობდნენ მათ მოციქულობას. ასეთი სასწაულების ჩადენა არ შეეძლოთ სხვას, გარდა მათი, რომელსაც ალლაჰის დახმარებით და მისი მეშვეობით ახდენდნენ. ვინც გაყვა მოციქულებს და მოკვდა ისე, ის მოკვდა ერთღმერთიანად, რადგან ყველა მოციქულის საერთო მოწოდება იყო ერთღმერთიანობა და ვინც იბრუნა პირი მათ მოწოდებაზე და დღესაც ვისაც შექცეული აქვს პირი მოციქული მუჰამმადის ﷺ გზაზე, ასეთ ადამიანებს როცა ეტყვიან: ვინ იყო შენი ღმერთი? ის უპასუხებს: ჰა ჰა ლა ადრი. მე არ ვიცი.

რომელი კატეგორიის ადამიანები არ მიეკუთვნებიან ამ მესამე პირობას? რაც შეეხება მათ, ვისთანაც არ მისულა მოციქულები, მათზე არის განმარტება. ან მცირეწლოვანი ბავშვი რომელიც გარდაიცვალა ისე, რომ არ იცოდა რა იყო ისლამი, ვინ იყო მოციქული, ან რა არის ყურანი, თუ ის იყო მუსლიმის შვილი, ის შევა სამოთხეში თავის მშობლებთან ერთად, ინ შა ალლაჰ. თუ ის იყო მრავალღმერთიანის შვილი, დიდებულმა ალლაჰმა ყოვლისმცოდნემ, უეჭველად იცის რისი მაქნისი იქნებოდა ის, როცა გაიზრდებოდა. ამიტომ საჰიჰ ბუჰარისა და მუსლიმის კრებულში გადმოცემულია ჰადისი რომელიც გადმოგვცა იბნ ‘აბბასმა ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით და თავისი მამით, რომ ერთხელ ალლაჰის მოციქულს ﷺ ჰკითხეს, მრავალღმერთიანი, პოლითეისტის შვილებზე, რაზეც მან უპასუხა:

“როგორც ალლაჰმა შექმნა ისინი, მან უკეთ იცის თუ რას გააკეთებდნენ შემდგომ (ბავშვები).” (ალ ბუხარი 1383, მუსლიმი 2660)

ეს რაც შეეხება ახირათის ჰუქმს, თუმცა ამ ქვეყნად მათი ჰუქმი მათი მშობლების ჰუქმია.

ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ არიან ისეთი ადამიანები რომლებთანაც არ მისულა მოწოდება. მათ შესახებ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

განკითხვის დღეს 4 კატეგორიას ექნება გამართლება.
1. ყრუ რომელსაც არაფერი ესმოდა,
2. შეშლილი,
3. ღრმად მოხუცებული და

4. ის ვინც მოკვდა მაშინ, როცა მასთან არ მისულა მოწოდება.
ყრუ იტყვის: „ო ღმერთო მოვიდა ისლამი, მაგრამ მე არაფერი მესმოდა!“
შეშლილი იტყვის: „ო ღმერთო როცა მოვიდა ისლამი ბავშვები მესვროდნენ მე ფეკალს!“
ღრმად მოხუცებული იტყვის: „ო ღმერთო, მოვიდა ისლამი მაგრამ მე ვერაფერი გავიგე!“
ხოლო ის ვისთანაც არ მისულა მოწოდება იტყვის: „ო ღმერთო, ჩემამდე არ მოსულა შენი მოციქული!“
რის შემდგომ მათთან წარიგზავნება შუამავალი (ეს იქნება ანგელოზი, შუამავლის სახით) რომელიც ეტყვის, რომ ისინი შევიდნენ ცეცხლში. და ვფიცავ მას ვის ხელთაცაა ჩემი სიცოცხლე, თუ ისინი შევლენ იქ, ცეცხლი იქნება მათთვის გრილი და მათთვის იქნება გადარჩენა, ხოლო ვინც არ შევა იქ, ის იქნება ჩაგდებული ჯოჯოხეთში.[10]

აჰმადი 4/24, იბნ ჰიბანი 1827, ატ ტაბარანი I/841. ჰადისი სანდოა.

ვინც გაყვება ამ შუამავალს იმ დღეს, ეს ის ხალხია ვინც ამ ქვეყნადაც გაყვებოდნენ ალლაჰის მოციქულებს. ხოლო, ვინც არ გაყვება შუამავალს იმ დღეს, ის ამ ქვეყნაზეც არ იქნებოდა გამყოლი ალლაჰის მოციქულებისა. ესეიგი ეს მათთვის იქნება გამოცდა.

რაც შეეხება ბავშვებს რომლებიც გარდაიცვალნენ ზრდასრულ ასაკამდე და რომლებიც იყვნენ მუსლიმების შვილები, ამაზე არის ერთხმოვანი აზრი, რომ ეს ბავშვები მოხვდებიან სამოთხეში.

[10] რაც შეეხება არსებულ ხადისს, ზოგი სწავლულის თანახმად, ეს არ არის სანდო ხადისი. ასევე მათი აზრის თანახმად სამჯავროს დღეს არ იქნება გამოცდა, რადგან ის არ არის გამოცდის ადგილი, არამედ იქ მიეზღვევათ ყველას თავისი საკადრისი. ამ ქვეყნად ნებისმიერი, ვინც სჩადის შირქს, მას ეწოდება პოლითეისტი (მუშრიქი). ასევე ამ ხადისის თანახმად არ გამართლდება დღეს მავანი. ხადისში საუბარია მოციქულის მოსვლის ყაზზე და იმ დროში არსებულ 4 კატეგორიაზე, ხოლო დღეს ვისაც მთელი ახალგაზრდობის ყაზს, ალლაჰის წიგნი ყურანი ედო გვერდით და არასდროს დაინტერესებულა მისით, ხოლო სიკვდილს მოახლოებული თუ გახდა ჭკუა ნაკლული, რა დროსაც მას უქადაგეს სწორი მრწამსი და მან ვერ გაიგო, მას არ ექნება გამართლება, რადგან მასთან უკვე იყო წარგზავნილი მტკიცებულება მისი სიცოცხლის ყაზს და ეს არის ყურანი. ალლაჰმა იცის უკეთ..

ე.ი. ალლაჰმა აიღო პირობა როცა მან გვამოწმებინა, რომ განა არავარ თქვენი ღმერთი მე? რაზეც დავამოწმეთ: „დიახ ვაღიარეთ ჩვენ, და ეს არის პირველი პირობა.“
ასევე მან აიღო მეორე პირობა როცა გაგვაჩინა ერთღმერთიანობით თანდაყოლილი ბუნებით.
მესამე პირობა, მან წარგვიგზავნა მოციქულები, რაც არის დიდი წყალობა. განა ის ვინც გვაჯილდოვებს სამოთხით და გვიხსნის სამუდამო ტანჯვისგან თავჰიდის სანაცვლოდ, ეს არ არის წყალობა? ვფიცავარ ალლაჰს ეს წყალობაა. ჩვენ ამ ქვეყნად ვინმე ადამიანი გაგვიკეთებს სიკეთეს და როგორი მადლიერნი ვართ მისი და განა ყოვლად მოწყალისგან არ უნდა ვიყოთ მადლიერნი? რომელმაც ამდენი წყალობა მოიღო ჩვენზე? რათქმაუნდა უნდა ვიყოთ მადლიერნი, და გვიყვარდეს დიდებული ალლაჰი სათანადოდ, მაგრამ სამწუხაროდ დღეს ბევრს არ უყვარს ის და ვერ აფასებენ სათანადოდ მის სიდიადეს.

4—რაც შეეხება მეოთხე პირობას, ეს პირობა გახლდათ მხოლოდ მოციქულებთან, ანუ ეს პირობა მხოლოდ მათ ეხებოდათ.
ა). პირველ რიგში მოციქულებს უნდა გაევრცელებინათ ალლაჰის რელიგია. (მათი რისალათი.)
ბ). მეორე ის, რომ ყველა მოციქულს უნდა ერწმუნა მათ უწინ მყოფი სხვა შუამავლების და მათზე გარდმოვლენილი წიგნების. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

وَإِذْ أَخَذْنَا مِنَ ٱلنَّبِيِّـۧنَ مِيثَـٰقَهُمْ وَمِنكَ وَمِن نُّوحٍ وَإِبْرَٰهِيمَ وَمُوسَىٰ وَعِيسَى ٱبْنِ مَرْيَمَ ۖ وَأَخَذْنَا مِنْهُم مِّيثَـٰقًا غَلِيظًا

და აკი, ავიღეთ შუამავალთაგან აღთქმანი: შენგან, ნუჰისგან, იბრაჰიმისგან, მუსასგან და ისასგან, მარიამის ძისგან. დიახ, ჩვენ ავიღეთ მათგან მტკიცე აღთქმა! (სურა ჯჰაბ 7)

3. და მესამე, დიდებულმა ალლაჰმა აიღო მათგან აღთქმა, რომ როცა მოვიდოდა მოციქული მუჰამმადი ﷺ მათ უნდა ერწმუნათ მისი

მოციქულობის და ერწმუნათ მისი ჭეშმარიტი ქადაგების და უნდა ყოფილიყვნენ მისი შემწენი. ამის შესახებ დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَإِذْ أَخَذَ ٱللَّهُ مِيثَٰقَ ٱلنَّبِيِّـۧنَ لَمَآ ءَاتَيْتُكُم مِّن كِتَٰبٍ وَحِكْمَةٍ ثُمَّ جَآءَكُمْ رَسُولٌ مُّصَدِّقٌ لِّمَا مَعَكُمْ لَتُؤْمِنُنَّ بِهِۦ وَلَتَنصُرُنَّهُۥ ۚ قَالَ ءَأَقْرَرْتُمْ وَأَخَذْتُمْ عَلَىٰ ذَٰلِكُمْ إِصْرِى ۖ قَالُوٓا۟ أَقْرَرْنَا ۚ قَالَ فَٱشْهَدُوا۟ وَأَنَا۠ مَعَكُم مِّنَ ٱلشَّٰهِدِينَ

და აკი, აღთქმა აიღო ალლაჰმა შუამავალთაგან: „აჰა, გიბოძებთ თქვენ წიგნსა და სიბრძნეს.“ მერე მოვა თქვენთან შუამავალი, დასტურად იმისა, რაც არის თქვენთან. უეჭველად, უნდა გჯეროდეთ მისი და შემწენი იყვნეთ მისი! უთხრა (ალლაჰმა): „ხართ თანახმა და ღებულობთ ამაზე ჩემს პირობას?“ მიუგეს: თანახმა ვართ! უთხრა: „დაამოწმეთ და მეც თქვენთან ერთად მოწმეთაგან ვიქნები.“ (სურა ალ იმრან 81)

ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ ვინც სათანადოდ არაფასებს ალლაჰს, მან უნდა იცოდეს, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰი არის „ალ-ხაალიყ“ - (ყველაფრის არ არსებობისას გამჩენი) და ის არის „ალ-მუთაქაბბირ" – (ყველაფერსა და ყოველ საქმეში დიადი და უზენაესი. სიდიადეში ბადალის არ მყოლი.) და ის არის „მაალიქულ-მულქ" (მთელი სამყაროს ერთადერთი მფლობელი).

რა მოწმობს ყოველს შემძლე ალლაჰის არსებობას

ყველაზე საუკეთესო მოწმობა იმის, რომ ძლევამოსილი ალლაჰი არსებობს ეს ყურანია. სწორედ ის გვასწავლის ჩვენ, რომ დავფიქრდეთ და მოვუხმოთ გონებას უზენაესი ალლაჰის შესაცნობად. დიდებულ ალლაჰს მოჰყავს ყველაზე ძლიერი არგუმენტი შემქმნელზე რაზეც ის ბრძანებს:

أَمْ خُلِقُواْ مِنْ غَيْرِ شَيْءٍ أَمْ هُمُ ٱلْخَٰلِقُونَ

თუ გაჩნდნენ გამჩენის გარეშე? ან იქნებ თავად არიან გამჩენები? (ატ ტური 35)

გადმოცემულია, რომ ჯუბაირ ბინ მუტ'იმმა ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი თქვა: ერთხელ მე გავიგონე მაღრიბის (საღამოს) ლოცვაზე მოციქული მუჰამმადი ﷺ კითხულობდა სურა ატ ტურს. და როცა მან წაიკითხა ის აიათები სადაც ნახსენებია:

أَمْ خُلِقُواْ مِنْ غَيْرِ شَيْءٍ أَمْ هُمُ ٱلْخَٰلِقُونَ

52:35. თუ გაჩნდნენ გამჩენის გარეშე? ან იქნებ თავად არიან გამჩენები?

أَمْ خَلَقُواْ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَۚ بَل لَّا يُوقِنُونَ

52:36. ან იქნებ მათ გააჩინეს ცანი და ქვეყანა? არა, მათ ნამდვილად არ სჯერათ!

أَمْ عِندَهُمْ خَزَآئِنُ رَبِّكَ أَمْ هُمُ ٱلْمُصَيْطِرُونَ

52:37. ნუთუ მათთანაა შენი ღმერთის საუნჯენი? ან იქნებ თავად არიან ხელმწიფენი? (სურა ატ ტური 35-37)

ამ დროს ჩემი გული მზად იყო, რომ გამსკდარიყო.
(მუსლიმ, ალ ბუხარი 4854.)

თავჰიდ არ რუბბიას, ანუ ერთღმერთიანობას ალლაჰის უფლობასა და ბატონობაში, აქვს სამი პირობა:

I. **ყველა საქმეს ჰყავს მოქმედი პირი.**

რომელი საქმეც არ უნდა შესრულდეს, მას სჭირდება მოქმედი პირი. მაგალითად არის პიროვნება რომელიც ამბობს, რომ შესაძლებელია ადამიანის წინ გაჩნდეს არაფრისგან ასი კილოგრამი ფორთოხალი. ასეთ რამეს თუ გავიგონებთ, მსგავს პიროვნებას რომელიც ამოწმებს ამას მივიჩნევთ, რომ მას აქვს ჯროვნებაში პრობლემა, ვიტყვით რომ ის შეშლილია. ფორთოხალი რომ გაჩნდეს, ამისათვის საჭიროა ვინმემ ის მოიტანოს, ის რათქმაუნდა თავისით არ გაჩნდება. და თუ ვინმე იტყვის, რომ ფორთოხალმა თავისი თავი თავად გაიჩინაო, ამჯე რას ვიტყვით? ვიტყვით იგივეს, რომ ეს კაცი არ არის საღ ჭკუაჯე. ამიტომაც ალლაჰი ბრძანებს:

أَمْ خُلِقُواْ مِنْ غَيْرِ شَيْءٍ أَمْ هُمُ ٱلْخَـٰلِقُونَ

თუ გაჩნდნენ გამჩენის გარეშე? ან იქნებ თავად არიან გამჩენები?
(ატ ტური 35)

აქიდან გამომდინარე

أَمْ خُلِقُواْ مِنْ غَيْرِ شَيْءٍ

თუ გაჩნდნენ გამჩენის გარეშე?

ვინც იტყვის ადამიანები გაჩნდნენ თავისით, ჩვენ მას ვუპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია.

أَمْ هُمُ ٱلْخَـٰلِقُونَ

ან იქნებ თავად არიან გამჩენები?

ასევე შეუძლებელია ისიც, რომ ადამიანებს შეექმნათ საკუთარი თავი, როგორც ამ ფორთოხალს. ჭეშმარიტად ადამიანებს ჰყავთ გამჩენი, შემქმნელი, თავისით არაფერი არ ჩნდება და არ იქმნება. ვინც დაფიქრდება ამ პირობაზე, ის გაიგებს ყველაფერს ჭეშმარიტად, აქ გაუგებარი არაფერია. ე.ი. პირველი პირობაა "ყველა საქმეს ჰყავს მოქმედი პირი". ახლა კი გადავიდეთ მეორე პირობაზე.

2. **მოქმედ პირს შესწევს ძალა და თვისებები.**

მოვიყვანოთ ასევე მაგალითი. წარმოვიდგინოთ ჩვენს წინაშეა ასი კილოგრამი ფორთოხალი, ესეიგი ის ვიღაცამ მოიტანა. აქიდან გამომდინარე ჩვენ ამ ქმედებას მივაწერთ მას, ვინც ეს მოიტანა. ასევე ვიცით, რომ არ არის ადვილი ადამიანისათვის აწიოს ასი კილოგრამი. ანუ ჩვენ ვხდებით, რომ მან ეს მოიტანა ტრანსპორტით. ასევე აქიდან გამომდინარე, ამ ადამიანს ჰქონდა მისი საყოფისი თანხაც, რითაც მან იყიდა ეს ფორთოხალი. ასევე მან იცოდა სად იყიდებოდა ეს ფორთოხალი და ასე შემდეგ და შემდეგ ბევრი რამ, რაც შეიძლება დაუკავშიროთ იმ პიროვნებას ვინც მოიტანა ეს ფორთოხალი. არამგონია იყოს ვინმე ვინც არ დაეთანხმება ამ თეორიას. ე.ი. მეორე პირობაა "მოქმედ პირს აქვს ძალა და თვისება." ახლა კი მესამე პირობა.

3. **არ უნდა მივაწეროთ არავის ის საქმე, რომელსაც ძალა არ შესწევს მასზე.**

ამ შემთხვევაშიც დავუბრუნდეთ ფორთოხლის მაგალითს. მაგალითისთვის ვიღაცამ თქვა, რომ ეს ასი კილოგრამი ფორთოხალი მოიტანა ორი წლის ბავშვმა, ჩვენ რას ვიფიქრებთ ამ დროს? ეს შეუძლებელია. ორი წლის ბავშვი ვერანაირად ამას ვერ შეძლებდა, რომ მოეტანა ასი კილოგრამი ფორთოხალი. ე.ი. მას მოიტანდა შესაბამისი პიროვნება, ვინც ამ საქმეს შეძლებდა. ანუ ჩვენ გვაქვს სამი პირობა:

1. **ყველა საქმეს ჰყავს მოქმედი პირი;**
2. **მოქმედ პირს შესწევს ძალა და თვისებები;**
3. **არ უნდა მივაწეროთ არავის ის საქმე, რომელსაც ძალა არ შესწევს მასზე.**

რატომ მოვიყვანეთ ეს მარტივი მაგალითები? იმიტომ, რომ ამ პირობებიდან გამომდინარე, ყოვლის შემძლე ალლაჰი მიმართავს ადამიანებსა და ჯინებს:

قُلِ ٱلْحَمْدُ لِلَّهِ وَسَلَٰمٌ عَلَىٰ عِبَادِهِ ٱلَّذِينَ ٱصْطَفَىٰٓ ۗ ءَآللَّهُ خَيْرٌ أَمَّا يُشْرِكُونَ

27:59. თქვი: „დიდება ალლაჰს და მშვიდობა მის რჩეულ მსახურთ! ალლაჰი უკეთესია თუ ისინი, რასაც თანაზიარად უხდიან?“

أَمَّنْ خَلَقَ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَ وَأَنزَلَ لَكُم مِّنَ ٱلسَّمَآءِ مَآءً فَأَنۢبَتْنَا بِهِۦ حَدَآئِقَ ذَاتَ بَهْجَةٍ مَّا كَانَ لَكُمْ أَن تُنۢبِتُوا۟ شَجَرَهَآ ۗ أَءِلَٰهٌ مَّعَ ٱللَّهِ ۚ بَلْ هُمْ قَوْمٌ يَعْدِلُونَ

27:60. ვინ გააჩინა ცანი და ქვეყანა და გარდმოავლინა თქვენთვის ზეციდან წყალი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ აღმოვაცენეთ მშვენიერი ბაღები? თქვენ ვერ გაზრდიდით მათში ხეებს. მაშ, არის ღმერთი ალლაჰთან ერთად? არამც და არამც, მაგრამ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც აცდენენ ჭეშმარიტებას!

თუ არსებობს ზეცა და მიწა, ე.ი. მას ჰყავს შემქმნელი და ეს არის პირველი პირობა: “**ყველა საქმეს ჰყავს მოქმედი პირი**”, და რათქმაუნდა არსებობს და რათქმაუნდა ჰყავს შემქმნელი.
ე.ი. თუ არის შემქმნელი, მას შესწევს მისი შექმნის ძალა, აი ეს კი არის მეორე პირობა რომელიც გაბლავთ: “**მოქმედ პირს შესწევს ძალა და თვისებები**” რაზეც ყოვლის შემძლე ალლაჰმა ბრძანა:

أَمَّنْ خَلَقَ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَ وَأَنزَلَ لَكُم مِّنَ ٱلسَّمَآءِ مَآءً فَأَنۢبَتْنَا بِهِۦ حَدَآئِقَ ذَاتَ بَهْجَةٍ مَّا كَانَ لَكُمْ أَن تُنۢبِتُوا۟ شَجَرَهَآ ۗ

ვინ გააჩინა ცანი და ქვეყანა და გარდმოავლინა თქვენთვის ზეციდან წყალი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ აღმოვაცენეთ მშვენიერი ბაღები? თქვენ ვერ გაზრდიდით მათში ხეებს.
(სურა ნამლ 60)

ადამიანებს არ შეუძლიათ, რომ გაზარდონ ერთი ხეც კი. ვინც არ უნდა იყოს ის, თუნდაც ის იყოს შუამავალი, ანგელოზი, 'ისა მარიამის შვილი (ალლაჰის სალამი მასზედ) ან რომელიმე კერპი. განა მათ შეუძლიათ, რომ გაზარდონ ხე? ვის შესწევს მასზე ძალა, ვინ ავლენს ზეციდან წვიმას, რათქმაუნდა ის, ყოვლის შემძლე ალლაჰი.

أَفَرَءَيْتُم مَّا تَحْرُثُونَ

56:63. რას იტყვით იმაზე, რასაც თესავთ?

ءَأَنتُمْ تَزْرَعُونَهُۥٓ أَمْ نَحْنُ ٱلزَّٰرِعُونَ

56:64. განა თქვენ აღმოაცენებთ მას თუ ჩვენ ვართ აღმომცენები?

მავანს შეუძლია თქვას, რომ: კი მაგრამ, ხე ზრდება იმიტომ, რომ ჩვენ დავრგეთ ის. არა, ჩვენ მხოლოდ ჩავრგეთ თესლი, და ვინ გაზარდა ის? ვინ აღმოაცენა ამ თესლისგან ყლორტი? განა ჩვენ გავხსენით მიწა და ყლორტი ამოვიყვანეთ? თუ ის აღმოაცენა დიდებულმა ალლაჰმა? უნდა დავფიქრდეთ ამაზე. ყოვლის შემძლე ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ فِى خَلْقِ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضِ وَٱخْتِلَٰفِ ٱلَّيْلِ وَٱلنَّهَارِ لَءَايَٰتٍ لِّأُو۟لِى ٱلْأَلْبَٰبِ

3:190. უეჭველად, გაჩენა ცათა და ქვეყნის და მონაცვლეობა ღამისა და დღისა სასწაულებია ბრძენკაცთ, ჭკუასაკითხთათვის.

განა ალლაჰი არ ბრძანებს?

أَفَلَا يَتَدَبَّرُونَ ٱلْقُرْءَانَ أَمْ عَلَىٰ قُلُوبٍ أَقْفَالُهَآ

47:24. ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?

ჩვენ უნდა გავიაზროთ ყურანი ისე, როგორც გაიაზრეს მართლმორწმუნე ხალხმა მისი სიბრძნე, როგორც გაიგო პირველ რიგში მოციქულმა ﷺ და მის თანმხლებლებმა (ალლაჰი იყოს ყოველივე მათგანით კმაყოფილი).
შემდეგ გავნაგრძოთ ისევ, როგორ აღწერს უდიდესი ალლაჰი თავის სიდიადეს:

61. ვინ დაადგინა დედამიწა საცხოვრებლად, გაიყვანა მის ღარებში მდინარეები, დაადგა მასზე ურყევი მთები და დაადგინა საზღვარი ზღვებს შორის? განა არის ღმერთი ალლაჰთან ერთად? არამც და არამც, მაგრამ უმრავლესობამ არ იცის ეს!

62. ვინ შეისმენს შევიწროებულისას, როცა ის შეჰღაღადებს მას, აშორებს ავს და დაგადგენთ ქვეყნის მემკვიდრეებად? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? რაოდენ ცოტას შეიმეცნებთ!..

63. ვინ დაგადგენთ სწორი გზით ხმელეთისა და ზღვის წყვდიადში და გიგზავნით ქარს მახარობლად მისი წყალობისა? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? ალლაჰი დიადია იმაზე, რასაც უხდით თანაზიარად!

64. ვინ გააჩინა პირველად და მერე ვინ დააბრუნებს. და ვინ ასაზრდოებს ციდან მიწას? განა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა? უთხარი: „მოიტანეთ თქვენი მტკიცებულება თუკი ხართ მართალნი!“ (სურა ნამლი 61-64)

ალლაჰი ცხადჰყოფს ამ აიათებით, რომ ის არის ყველაფრის შემქმნელი და მას შესწევს მხოლოდ ამის ძალა, ის ამ აიათებით ცხადჰყოფს იმ სამ პირობას, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და რომელიც, არის — თავჰიდ არ რუბუბიას პირობები.
ასევე შემქმნელის არგუმენტებით ჩვენ ვხედავთ, რა პერიოდს გადის ადამიანი, როგორ იქმნება ის. ადამიანი უპირველესად იყო ერთი წვეთი, შემდეგ გახდა შედედებული სისხლი, შემდეგ ხორცის ნაჭერი, შემდეგ კი მას მიეცა სული. ეს არის ჭეშმარიტება და ჭეშმარიტად ალლაჰია ყველაფრის შემქმნელი, ის ბრძანებს:

وَلَقَدْ خَلَقْنَا ٱلْإِنسَـٰنَ مِن سُلَـٰلَةٍ مِّن طِينٍ

12. და ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი ტალახის არსისგან!

ثُمَّ جَعَلْنَـٰهُ نُطْفَةً فِى قَرَارٍ مَّكِينٍ

13. მერე იგი დავადგინეთ წვეთად საიმედო ადგილას!

ثُمَّ خَلَقْنَا ٱلنُّطْفَةَ عَلَقَةً فَخَلَقْنَا ٱلْعَلَقَةَ مُضْغَةً فَخَلَقْنَا ٱلْمُضْغَةَ عِظَـٰمًا فَكَسَوْنَا ٱلْعِظَـٰمَ لَحْمًا ثُمَّ أَنشَأْنَـٰهُ خَلْقًا ءَاخَرَ ۚ فَتَبَارَكَ ٱللَّهُ أَحْسَنُ ٱلْخَـٰلِقِينَ

14. მერე ვჰქმენით წვეთისგან სისხლის კოლტი, მერე სისხლის კოლტიდან ვქმენით ხორცის ნაჭერი, ამის შემდეგ ხორცის ნაჭრიდან ვქმენით ძვლები, მერე ძვლებს შევასხით ხორცი, მერე გამოვსახეთ იგი სხვა ქმნილებად. რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია! (სურა 23:12-14)

ამის შემდეგ ადამიანი იბადება, შემდეგ იწყებს ქალაქების შენებას, მართავს გემებს, თვითმფრინავებს, ავტომობილებს. ის ვინც გაჩნდა ერთი წვეთისგან, მან შეიძლება ააშენოს ქალაქი, და ვინც გაჩნდა ერთი წვეთისგან, მან შეიძლება დაანგრიოს მთლიანი ქვეყანა და ბევრი და ბევრი. საბოლოოდ კი ის არის ალლაჰის, ქება დიდება მას, ქმნილება.

ყოვლის შემძლე ალლაჰმა შექმნა ყველა ქმნილება წყვილებად და ეს მიუთითებს მის ძალაუფლებაზე. ყველაზე პატარა ელემენტი, ატომიც კი შედგება პროტონისა და ნეიტრონისგან. უზენაესმა ალლაჰმა შექმნა დღე და ღამე, დღეები ყოველთვის თანასწორია ერთმანეთთან. არასდროს არ ყოფილა ისე, რომ ერთი დღე იყოს 25 საათი ხოლო მეორე 23 საათი. მან გააჩინა პლანეტები რომლებიც დაცურავენ თავის ორბიტაზე, და ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ ალლაჰს შესწევს იმის ძალა, რომ გააჩინოს და გაანადგურის! მან შექმნა წყალი, ზღვები, რომლებზეც დაცურავენ გემები მისი ნებით. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ فِى ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضِ لَأَيَٰتٍ لِّلْمُؤْمِنِينَ

3. უეჭველად, ცათა შინა და ქვეყანასა ზედა სასწაულებია მორწმუნეთათვის.

وَفِى خَلْقِكُمْ وَمَا يَبُثُّ مِن دَآبَّةٍ ءَايَٰتٌ لِّقَوْمٍ يُوقِنُونَ

4. თქვენს გაჩენასა და იმაში, რაც მიმოასახლა ცოცხალი არსებებისგან, სასწაულებია იმ ხალხისთვის, ვინც ჭეშმარიტების შეცნობას ელტვის.

وَٱخْتِلَٰفِ ٱلَّيْلِ وَٱلنَّهَارِ وَمَآ أَنزَلَ ٱللَّهُ مِنَ ٱلسَّمَآءِ مِن رِّزْقٍ فَأَحْيَا بِهِ ٱلْأَرْضَ بَعْدَ مَوْتِهَا وَتَصْرِيفِ ٱلرِّيَٰحِ ءَايَٰتٌ لِّقَوْمٍ يَعْقِلُونَ

5. ღამისა და დღის ცვლაში და მასში, რაც გარდმოავლინა ალლაჰმა ზეციდან სარჩოდ, რისი მეშვეობითაც გააცოცხლა მიწა სიკვდილის მერე, ასევე ქართა მონაცვლეობაში სასწაულებია იმ ხალხისთვის, რომელნიც გონებას მოუხმობენ.

تِلْكَ ءَايَٰتُ ٱللَّهِ نَتْلُوهَا عَلَيْكَ بِٱلْحَقِّ ۖ فَبِأَىِّ حَدِيثٍۭ بَعْدَ ٱللَّهِ وَءَايَٰتِهِۦ يُؤْمِنُونَ

6. აი, ესაა ალლაჰის აიათები, რომელთაც ჭეშმარიტებით გიკითხავთ შენ. მაშ, ისინი ალლაჰის აიათების შემდგომ სხვა სიტყვას ირწმუნებენ?
(სურა ალ ჯასია 3-6)

უზენაესმა ალლაჰმა დაუმორჩილა გარემო ადამიანებს. მცირეწლოვან ბავშვსაც კი შეუძლია მართოს აქლემი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ არ არსებობს ძალა და ძალაუფლება ალლაჰის გარდა? მან შექმნა სხვადასხვა ენები. ადამიანებს აქვთ ორი ფეხი, ორი ხელი, ერთი თავი, ორი თვალი, ორი ყური, ერთი ცხვირი და ერთი პირი, მაგრამ მათ აქვთ განსხვავებული კანის ფერი, განსხვავებული თვალის ფერი და ასე შემდეგ. ყველა ადამიანი არის ინდივიდუალურად შექმნილი, რომელსაც არაჰყავს ორეული ზუსტად ისეთი როგორიც მან არის, და არასდროს განმეორდება მისი შექმნა. მან შექმნა ძილი, და მან შექმნა სიზმრები რითაც ჩვენ ვღებულობთ დასვენებას. ის

აცოცხლებს წყლით მიწას, რომელიც არის გამომშრალი, მკვდარი, და წყალით რომელსაც არა აქვს არანაირი გემო, მისით ამოჰყავს მცენარეები ნაირნაირი რომლებიც ისხამენ ნაყოფს ტკბილს, მჟავეს, მწარეს, განა მათ რომელიმე აძლევს შაქარს რადგან გამოიღოს ამ მცენარემ ტკბილი ნაყოფი? ეს ხომ თავისით ხდება ჩვენს თვალწინ და ჩვენ არაფერ შუაში ვართ ამასთან. მან შექმნა ჰაერი, რომელზეც ჩვენ არც კი ვფიქრობთ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ცხოვრებისთვის, ადამიანი ხარბი ქმნილებაა და მას უყვარს გადაჭარბებული სიყვარულით მიწიერი ცხოვრება,

وَتُحِبُّونَ ٱلْمَالَ حُبًّا جَمًّا

და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით. (სურა ფაჯრი 20)

ჩვენ ვფიქრობთ კარგ ტრანსპორტზე, კარგ სახლზე, ცოლებზე, შვილებზე, განა გვიფიქრია ჰაერზე, რომ მის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე? მაგრამ ყველა ეს ჯაჭვური სიცოცხლის წყარო გააჩინა ვინ? ყოვლად ქებულმა ალლაჰმა და ქება დიდება მხოლოდ მას და მას შესწევს ძალა ყველაფრისა და ის არის ყველაფრის არ არსებობისაგან გამჩენი.

განა ეს ყველაფერი არ მიუთითებს დიდებულ ერთადერთ შემოქმედზე? რათქმაუნდა მიუთითებს და ამ ბუნებას ყველა ადამიანი აცტარებს ფიტრათით. ყველა ამოწმებს მის სიდიადეს, ოღონდ სხვადასხვა სახელებით, მაგალითად ათეისტები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი შექმნა ბუნებამ, ისინი თავიანთი თანდაყოლილი ბუნებით აღიარებენ, რომ ამ ყველაფერს ჰყავს ისეთი შემოქმედი, რომელსაც შესწევს მის შექმნაზე ძალა, განა ეს არ მოწმობს ალლაჰის თვისებებს? რათქმაუნდა! მაგრამ მათ შემოქმედს უწოდეს ბუნება. მათმა ენებმა უარყვეს როგორც უარყო ფარაონმა, როცა მას მოუწოდა მუსამ თავისი ძმის ჰარუნის თანმხლობით. მაგრამ ფარაონს გულში სჯეროდა ამ ჭეშმარიტების. საიდან ვიცით ფარაონის გული ჩვენ?

ალლაჰი დიდებული ბრძანებს ყურანში:

وَجَحَدُواْ بِهَا وَٱسْتَيْقَنَتْهَآ أَنفُسُهُمْ ظُلْمًا وَعُلُوًّاۚ فَٱنظُرْ كَيْفَ كَانَ عَـٰقِبَةُ ٱلْمُفْسِدِينَ

უსამართლოდ უარყვეს ისინი, ამპარტავნობით, თუმცა გულში დარწმუნებულნი იყვნენ მათ ჭეშმარიტებაში. ნახე, რა ბედი ეწიათ ბოროტების გამავრცელებელთ! (სურა ნამლი 14)

ფარაონის უარყოფა ეს მისი სიამაყისგან იყო.
ასევე მოციქულები ამტკიცებდნენ ალლაჰის არსებობას ამ პირობით, ისინი ამბობდნენ:

أَفِى ٱللَّهِ شَكٌّ فَاطِرِ ٱلسَّمَـٰوَٰتِ وَٱلْأَرْضِ

„ნუთუ ეჭვი გეპარებათ ცათა და დედამიწის გამჩენ ალლაჰში? (სურა იბრაჰიმი 10)

ასევე დიდებულმა ალლაჰმა აგვიღწერა თუ როგორ უთხრა იბრაჰიმმა ნამრუდს:

أَلَمْ تَرَ إِلَى ٱلَّذِى حَآجَّ إِبْرَٰهِـۧمَ فِى رَبِّهِۦٓ أَنْ ءَاتَىٰهُ ٱللَّهُ ٱلْمُلْكَ إِذْ قَالَ إِبْرَٰهِـۧمُ رَبِّىَ ٱلَّذِى يُحْىِۦ وَيُمِيتُ قَالَ أَنَا۠ أُحْىِۦ وَأُمِيتُ ۖ قَالَ إِبْرَٰهِـۧمُ فَإِنَّ ٱللَّهَ يَأْتِى بِٱلشَّمْسِ مِنَ ٱلْمَشْرِقِ فَأْتِ بِهَا مِنَ ٱلْمَغْرِبِ فَبُهِتَ ٱلَّذِى كَفَرَ ۗ وَٱللَّهُ لَا يَهْدِى ٱلْقَوْمَ ٱلظَّـٰلِمِينَ

განა არ გინახავს, ვინც იბრაჰიმს ედავებოდა მისი ღმერთის გამო, რომელმაც მას (ნემრუდს) ხელმწიფება უბოძა? აი, უთხრა იბრაჰიმმა: ჩემი ღმერთი ისაა, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს! თქვა (ნემრუდმა): მეც ვაცოცხლებ და ვკლავ! იბრაჰიმმა უთხრა: უეჭველად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, მაშ, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუვარდა), რომელმაც უარყო. და არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს! (სურა ბაყარა 258)

ასევე ამ გზაზე იდგნენ მყარად უდიდესი სწავლულები.

ერთხელ ათეისტები ინდოეთიდან მივიდნენ იმამ აბუ ჰანიფასთან ალლაჰმა შეიწყალოს ის, იმისათვის, რომ მასთან ეკამათათ ალლაჰის არსებობის შესახებ. აბუ ჰანიფა იყო ძალიან ჭკვიანი სწავლული. მან შესთავაზა მათ, რომ ისინი შეხვედრილიყვნენ რამოდენიმე დღეში, რაზეც ათეისტებმა დათანხმდნენ. შემდეგ როცა ისინი მოვიდნენ შეხვედრაზე, იმამმა დააგვიანა მისვლა, რაზეც ათეისტები განრისხდნენ და უსაყვედურეს და ჰკითხეს სწავლულს სად იმყოფებოდა. აბუ ჰანიფამ მიუგო მათ: ,,მე ვნახე სასწაული და მას ვუცქერდი. მე ვნახე ერთ გემი, რომელიც იყო სავსე ტვირთით. ამ გემმა შემოცურა ზღვაში და მოდიოდა მანამ, სანამ მან არ მოაღწია ნაპირს და როცა სანაპირზე შემოვიდა, ის გაჩერდა და მისგან ტვირთმა დაიწყო ჩამოცლა ისე, რომ გემზე არავინ იმყოფებოდა, არც კაპიტანი არც მტვირთავი არავინ, ტვირთი კი თავისით იცლებოდა.“ ათეისტებმა უთხრეს: შენ ნამდვილად ასე ფიქრობ? სწავლულმა უპასუხა დიახ! მაშინ მათ მიუგეს, შენ არ გქონია ჭკუა! როგორ შეიძლება გემი მოცურდეს თავისით და როგორ შეიძლება ტვირთმა თავისით ჩამოიცალოს? აბუ ჰანიფამ მათ უპასუხა, "და სად არის თქვენი ბრეგონება? ეს ზეცა, ეს მზე, მთვარე, ვარსკვლავები მთები და ადამიანები არსებობენ, განა მათ არა ჰყავთ გამჩენი?!"

რათქმაუნდა არ იარსებებს არაფერი თუ არა ალლაჰის ნება მაზე და ვერ იქმნება შექმნილი ვერაფერი, რომელიც შეიქმნის თავისით თავს და არანაირი ევოლუცია და ბუნება არ ქმნის მზეს, ვარსკვლავებს, მთვარეს, ადამიანს, ნუთუ არ დაფიქრდება ადამიანი?!

ასევე იმამ მალიქს ალლაჰმა შეიწყალოს ის ჰკითხეს, ალლაჰის არსებობას როგორ დაამტკიცებდა. მან რა უპასუხა? მან უპასუხა რომ: ,,დააკვირდით ხმების განსხვავებას, ტონალობას და ენის სხვაობას და თქვენ ჭეშმარიტად გაიგებთ, რომ ამ ყველაფერს ჰყავს გამჩენი, შემოქმედი.“

ერთხელ იმამ აშ შაფი'ის ალლაჰმა შეიწყალოს ის ჰკითხეს: “ო იმამ, რით დაამტკიცებ შენ ალლაჰის არსებობას? მან ახლოს, ხისგან მოწყვეტა ფოთოლი, გადასცა მავანს და უთხრა: ,,ეს ფოთოლი არის მტკიცებულება იმისა, რომ დიდებული ალლაჰი არსებობს.“ მავანი დიდხანს უცქერდა ფოთოლს, მაგრამ ვერ მიხვდა ამით რისი თქმა სურდა იმამ აშ შაფი'ის, ამ დროს იმამმა შეასრულა ლოცვა და როცა დაამთავრა, მავანმა ჰკითხა მას: ო იმამო, ვერ გავიგე ეს როგორ მოწმობს ალლაჰის არსებობას? რაზეც აშ შაფი'მა უპასუხა: ,,როცა ფოთოლს ჭამენ ბატები, მათგან გამოდის ბურდღა,

როცა მას დაეწაფება ფუტკარი, მისგან გვაქვს თაფლი, ხოლო მას როცა ჭაშს ძროხა ის გვაძლევს რძეს.“

ასევე იმამ აჰმად იბნ ჰანბალი როგორ ხსნიდა ალლაჰის არსებობას? ის ამბობდა: „დააკვირდით კვერცხს, მასში არ შედის საჭმელი და არც წყალი, თუ მას გავტეხთ, მისგან გამოვა სითხე, ხოლო თუ ცოტახნით გავაჩერებთ სითბოში, მისგან გამოიჩეკება მამალი, რომელიც გაზრდება და ექნება ლამაზი ხმა.“

სუბჰან ალლაჰ, ნუთუ ეს არ მოწმობს, რომ ალლაჰია ყველაფრის შემქმნელი? კვერცხი საიდანაც გამოდის სითხე, და რომელშიც არ შედის არც წყალი არც საკვები, მისგან იჩეკება ქათამი, მამალი, ბატი, იხვი და ასე შემდეგ. როგორ მოაწყო ძლევამოსილმა ალლაჰმა ეს სამყარო, დავაკვირდეთ ჭიანჭველებს, ფუტკრებს.

ასევე ერთ არაბს, უბრალო მწყემსს უდაბნოში, ჰკითხეს: რით დაამტკიცებ ალლაჰის არსებობას? რაზეც მან მოიყვანა მაგალითი:

„ცა მოჭედილი ვარსკვლავებით, დედამიწა არსებული უდაბნოებით, და ზღვა არსებული ტალღებით, ეს ყველაფერი არის კვალი და თუ არსებობს კვალი, ესეიგი არსებობს ის, ვინც ეს კვალი დატოვა.“

ამ უბრალო მწყემსმა იცოდა და ხვდებოდა როგორ აეხსნა ალლაჰის არსებობა, რომ ის არის ყველაფრის შემოქმედი, ხოლო დღეს რომლებიც უწოდებენ თავს დოქტორებსა და პროფესორებს, ისინი უარყოფენ ამას. და ვინ ითვლება მათ შორის ჭკვიანად?

ასევე ერთ-ერთი სწავლული ამბობს, გინახავთ ოდესმე ორი თხა ერთ ბაზე ერთმანეთს ეჯახებოდეს? რათქმაუნდა მსგავსი არ არსებობს, მათ იციან მათი ბა, ისინი ასე გააჩინა ალლაჰმა, ხოლო ჩვენ გვაქვს ჭკუა, ადამიანებს და რამდენი ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება მიუხედავად ამისა.

დავაკვირდეთ მეგობრებო ცას, ღრუბლებს, ვარსკვლავებს, მზეს, მთვარეს ეს არის საოცრება, ეს ალლაჰის ქმნილებებია და ცხადყოფს მის სიდიადეს, იქ ალლაჰის კანონი მოქმედებს, ამიტომაც არასდროს არ გვინახავს ზეცაში არეულობა, ხოლო შემდეგ დავაკვირდეთ მიწის მკვიდრნს, რომელთაც არ გულისხმაჰყვეს ალლაჰის სიდიადე და გაუჩინეს მას თანაბიარი და გაუჩინეს მის სიტყვას თანაბიარი კანონი, აქ რა ხდება? ყველგან არეულობაა, ვიღაც უწყლოდ კვდება, ვიღაც შიმშილით კვდება, ვიღაც კიდე ზედმეტი წონით კვდება და მრავალი ასეთი მაგალითი...

როგორი სიბრძნით დაავჯილდოვა ეს ხალხი დიდებულმა ალლაჰმა, როგორი იგავები მოიყვანეს მათ და დავფიქრდეთ, რომ ეს ადამიანებიც ისევე როგორც ჩვენ, ვართ გაჩენილები ერთი წვეთისგან, რომელიც შექმნა და გააჩინა დიდებულმა, ყოვლისშემძლემ, ბრძენთაბრძენმა ალლაჰმა და უეჭველად ამას შეიმეცნებს ბრძენვაცნი ჭკუასაკითხნი!..

ერთღმერთიანობა უფლობაში

(თავჰიდ არ რუბუბია)

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ თავჰიდ არ რუბუბიაზე, რომ ალლაჰია ყველაფრის შემქმნელი. როგორც ჩვენ ვამბობთ დღეში მინიმუმ 17 ჯერ, ეს შნოლოდ სავალდებულო ლოცვების დროს სიტყვა:

ٱلْحَمْدُ لِلَّهِ رَبِّ ٱلْعَٰلَمِينَ

ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს

ის არის ღმერთი-ალლაჰ, ის არის შემქმნელი-ალ ხაალიყ, ის არის სარჩოს მომცემი-არ-რაზზააყ, ის არის მეუფე-ალ მალიქ, ის არის სიცოცხლის გამჩენი-ალ-მუჰიი და ის არის მომაკვდინებელი-ალ-მუმიით.

თავჰიდ არ რუბუბია დგას ორ ბურჯზე, რომელიც უზენაესმა ალლაჰმა აგვიღწერა ყურანში, ამბავი მუსასი და ფარაონის. როდესაც მუსა თავისი ძმის, ჰარუნის ერთად მივიდა ფარაონთან, მათ მოუწოდეს ალლაჰის შესახებ. ფარაონი გულის სიღრმეში ალლაჰის არსებობას აღიარებდა, თუმცა ის მაინც ამბობდა, რომ "მე ვარ ღმერთი", ის უარყოფდა ალლაჰს მისი სიამაყის გამო. უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

قَالَ فَمَن رَّبُّكُمَا يَٰمُوسَىٰ

უთხრა „ვინ არის თქვენი ღმერთი, ჰეი მუსა?" (სურა ტაჰა 49)

მუსამ (ალლაჰის შშვიდობა მასზედ) პასუხად მიუგო:

قَالَ رَبُّنَا ٱلَّذِىٓ أَعْطَىٰ كُلَّ شَىْءٍ خَلْقَهُۥ ثُمَّ هَدَىٰ

მიუგო „ჩვენი ღმერთი იგია, რომელმაც ყოველივეს სახე მიანიჭა, მერე კი სწორ გზაზე დაადგინა!“ (სურა ტაჰა 50)

ესეიგი თავჰიდ არ რუბუბია შედგება ორი ბურჯისგან:

1) **„მხოლოდ ალლაჰია შემქმნელი“.**
2) **„ალლაჰი არის ერთადერთი, ვინც განაგებს.“**

ალლაჰის დახმარებით ამას უფრო კონკრეტულად ავხსნი, თუ ეს ვინმესთვის გაუგებარია.

როგორც ვთქვით პირველი ბურჯია თავჰიდ არ რუბუბიასი - ანუ ერთღმერთიანობა ბატონობაში, „მხოლოდ ალლაჰია შემქმნელი.“

1— პირველი—ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ თავჰიდ არ რუბუბიას საამ პირობაზე. პირველი იყო ის, რომ ყველა საქმეს ჰყავს მოქმედი პირი, ანუ თუ არსებობს ზეცა, თუ არსებობს მიწა, თუ არსებობს მზე, ვარსკვლავები ზღვები, ესეიგი ეს ვიღაცამ შექმნა და ძალაც მას შესწევს მათზე.

ასევე ვთქვით, რომ ამას ადამიანი თავისი თანდაყოლილი ბუნებით აღიარებს.

2—მეორე — არავინ არ არის მოწმე და დამსწრე, იმისა თუ როგორ გააჩინა დიდებულმა ალლაჰმა ზეცა და მიწა და რაც მათ შორისაა. ამის შესახებ დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

مَّآ أَشْهَدتُّهُمْ خَلْقَ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضِ وَلَا خَلْقَ أَنفُسِهِمْ وَمَا كُنتُ مُتَّخِذَ ٱلْمُضِلِّينَ عَضُدًا

მე არ დამისწრია ისინი ცათა და მიწის გაჩენისას, და არც თავიანთი სულების გაჩენისას. და მე არ დამიდგენია ცთასამცდარნი ჩემს სიახლოვეს ! (სურა ქაჰფი 51)

როდესაც დიდებულმა ალლაჰმა შექმნა ეს ყველაფერი არ არსებობდა არავინ მის გარდა. ალლაჰს მოჰყავს ძალიან ძლიერი არგუმენტი მათთვის,

ვინც თავის თავს მიაწერს მსგავს ძალას და ძალაუფლებას. რა შუაშია აქ ძალა და ძალაუფლება? პასუხი არის შემდეგი: ყველაფერი ძალზედ მარტივია. ვინც რაიმე შექმნა, ის განაგებს მას და ის არის მისი მმართველი. მაგალითისთვის მოვიყვან მარტივ მაგალითს:

თუ ჩვენ შევიძენთ წიგნს, რომლის საავტორო უფლებებიც არის დაცული, მაშინ ჩვენ არ გვექნება უფლება რომ ან გავავრცელოთ, ან ჩვენ კოპირებული წიგნი გავაკეთოთ, ან ეს წიგნი ჩვენ დავბეჭდოთ და გავყიდოთ და ასე შემდეგ. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ არავართ მისი ავტორი და ჩვენზე არსებობს შეზღუდვა, ესეიგი მან ვინც დაწერა ეს წიგნი, ის გახლავთ ამის ავტორი და მას შესწევს მსგავსი ქმედების ძალა. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია, რომ ვინც შექმნა რაიმე, ის განაგებს და განკარგავს მას. ე.ი. ყოვლის შემძლე ალლაჰი ერთადერთი შემქმნელია, ის არის მეუფე და ყველა ძალაუფლება მიეკუთვნება მას. მას არაჰყავს თანაზიარი. არავის არ აქვს უფლება თქვას, რომ მან რაიმე შექმნა ამ ქვეყნად და ის არის რაიმეს შემქმნელი. რატომ ვამბობ ამას?

ეს ხომ ისედაც მარტივია ბევრისთვის, მაგრამ საამწუხაროდ დღეს ძალიან ბევრი ადამიანი ვინც თავს მიაწერს ისლამს, ეს იქნება თურქეთში, კავკასიაში, შუა აზიაში თუ ასე შემდეგ, ისინი მიდიან რომელიღაც მკვდართან, მათ შეიხთან, რომელიც უკვე იმყოფება საფლავში და მას მიაკუთვნებენ თაყვანისცემის ფორმებს, მაზე ლოცულობენ, ასევე ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ რაიმე სახის დახმარება, ან ავადმყოფობისაგან განკურნება, ან კატაკლიზმების შეცვლა, ან მათ შეუძლიათ თითქოს უშვილობის დამარცხება, და ასეთი ბევრი. შევეფარები ალლაჰს.

ისინი მიაწერენ კონკრეტულ თაყვანისცემის ფორმებს სხვას, რაზეც დიდებული ალლაჰი მათ შესახებ ყურანში ბრძანებს:

قُلِ ٱدْعُواْ ٱلَّذِينَ زَعَمْتُم مِّن دُونِ ٱللَّهِۖ لَا يَمْلِكُونَ مِثْقَالَ ذَرَّةٖ فِي ٱلسَّمَٰوَٰتِ وَلَا فِي ٱلْأَرْضِ وَمَا لَهُمْ فِيهِمَا مِن شِرْكٖ وَمَا لَهُۥ مِنْهُم مِّن ظَهِيرٖ

უთხარი: „უხმეთ იმათ, ვისაც ღმერთებად თვლიდით, ალლაჰის გარდა“. არ ფლობენ ისინი იოტისოდენასაც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა. და არ არის მათთვის ამ ორში მოზიარეობა, და მისთვის არ არის შემწე მათგან!
(სურა საბა 22)

ნეტავი დაფიქრებულიყვნენ ისინი ყურანზე. ამ აიათიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ძალაუფლება მიეკუთვნება მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს, განა ის არ არის ერთადერთი შემქმნელი ცისა და მიწისა? რათქმაუნდა ეს ასეა. როდესაც მათ ამას აუხსნი, რომლებიც მიიჩნევენ თავს ჭკვიან ადამიანებად და რომც იყვნენ ისინი ჭკვიანები გპასუხობენ: „მე შენ გეთანხმები. ის შეიხები, ის წმინდანები, რომელთა საფლავებზე ჩვენ მივდივართ, ისინი არ არიან შემქმნელები და ჩვენ არ მივაწერთ მათ ამ ძალაუფლებას, უბრალოდ ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი არიან ალლაჰის კომპანიონები“. ანუ ისინი თვლიან როგორც ფირმის დამაარსებელს ჰყავს კომპანიონები ასევე ალლაჰს ჰყავს მოზიარე კომპანიონები. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს როგორც ზემოთ მოვიყვანეთ აიათი: ჯერ ალლაჰი იწყებს:

قُلِ ٱدْعُواْ ٱلَّذِينَ زَعَمْتُم مِّن دُونِ ٱللَّهِۖ لَا يَمْلِكُونَ مِثْقَالَ ذَرَّةٍ فِى ٱلسَّمَٰوَٰتِ وَلَا فِى ٱلْأَرْضِ

უთხარი: „უხმეთ იმათ, ვისაც ღმერთებად თვლიდით, ალლაჰის გარდა“. არ ფლობენ ისინი იოტისოდენასაც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა.

და შემდეგ ნაგრძავს უკვე:

وَمَا لَهُمْ فِيهِمَا مِن شِرْكٍۖ وَمَا لَهُۥ مِنْهُم مِّن ظَهِيرٍ

და არ არის მათთვის ამ ორში მოზიარეობა, და მისთვის არ არის შემწე მათგან! (სურა საბა 22)

საიდან გაჩნდა მსგავსი ჯიროვნება ისლამის მიმდევრეებში? პირველ რიგში ყველა ურწმუნოებას ჩვენ უნდა შევხედოთ 'აყიდის[II] თვალით, ანუ მრწამსით, რადგან უპირველესი არის სწორი მრწამსი რომელიც იქნება ჩვენი გადარჩენის საბაბი ინ შა ალლაჰ განკითხვის დღეს და რომელიც იქნება ჩვენი გადარჩენის საბაბი საფლავის ცხოვრებაში. ჩვენ უნდა შევხედოთ ყველაფერს ისე, თითქოს 'აყიდის სათვალეებს ვირგებთ და ისე ვუცქერთ ამა თუ იმ ურწმუნოებასა თუ იდეოლოგიას. თუ გინდ ეს იყოს

[II] 'აყიდა - მრწამსი

იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი, მითოლოგია, ეგრედწოდებული ისლამის რომელიღაც სექტა თუ რა თუ, რა.

ოდესღაც ცხოვრობდნენ ბერძენი ფილოსოფოსები, პლატონი, არისტოტელე და ასე შემდეგ, ასობით და ათასობით როგორც ჩვენ ვიცით მათ შესახებ. მათ დაიწყეს ფიქრი, ისინი თვლიდნენ, რომ მათი ჭკუა ყველაფრით აღსავსე იყო და ყველაფრის ცოდნა შესწევდათ, როგორც დღეს ფიქრობს ბევრი სახელად მუსლიმთაგანი, მაგრამ მათ ჯროვნებას აქვს ფარგლები და ზღვარი, რადგან ისინი არიან ადამიანები, ქმნილებები, რომლებსაც ჰყავთ გამჩენი და ის არის უთუოდ ყველაფრის მცოდნე. მათ იფიქრეს და შემდეგ თქვეს: ეს სამყარო რაღაცით შეიქმნა და მას ჰყავს შემქმნელი, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ ამ ყველაფრის შემქმნელს. სად არის ის? მათ ეძიეს მაგრამ ვერ იპოვეს შემქმნელი, რადგან ძზერა ვერ მისწვდება დიდებულ ალლაჰს!

შემდეგ მათ თქვეს, დიახ ამ სამყაროს ჰყავს შემქმნელი რომელმაც შექმნა ეს ყველაფერი და შემდეგ დატოვა აქაურობა. მაგრამ მან დატოვა ვინმე, ვინც მის შექმნილს განაგებს ანუ მართავს. შემდეგ მათ უკვე დაიწყეს ყველაზე დიდი და ძლიერი ქმნილებების ძებნა და მათ მიაწერეს მმართველობა. შეხედეს ძზეს და თქვეს, ეს არის დიდი ქმნილება რომელიც ანათებს, ესეიგი მას აქვს ღვთაებრივი ძალა. შეხედეს ჭექა ქუხილს და თქვეს: ამ ჭექა ქუხილს აქვს დიდი ძალა, ესეიგი ეს ატარებს ღვთაებრივ ძალას. ამიტომაც ისინი ამბობენ თავიანთ მითოლოგიაში, რომ ზევსი არის ჭექა ქუხილის ღმერთი, ალლაჰს შევეფარები, სხვა არის ძზის ღმერთი, სხვა კიდე ზღვის და ასე შემდეგ. ალლაჰმა დაგვიფაროს მსგავსი ფიქრისგან.

ამის შემდგომ მოვიდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები (მაჯუსიია) რომლებიც ეთაყვანებოდნენ ცეცხლს. ისინიც ამბობდნენ, რომ ცეცხლს აქვს დიდი ძალა, მას შეუძლია გაანადგურის დიდი ტყე, გაანადგურის მინდვრები, ნახნავ ნათესები სულ რაღაც რამოდენიმე ხანში. ესეიგი მათთვის ცეცხლი ატარებდა ღვთაებრივ ძალას და ეთაყვანებოდნენ ამიტომაც მას.

სამწუხაროდ ჩვენს დროშიც, მსგავსმა ჯროვნებამ შემოაღწია ეგრედ წოდებულ ისლამის მიმდევრებში, რომლებიც თავს ალლაჰის მორჩილებად მიიჩნევენ. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ მკვდრებს შეუძლიათ მაჯზე შუამდგომლობა. ამიტომაც მიდიან მათ საფლავებთან და სთხოვენ

შუამდგომლობას. უზენაესმა ალლაჰმა მათ ამ ჯროვნებას ჩაუკეტა კარები რადგან ის ბრძანებს რომ:

وَمَا لَهُمْ فِيهِمَا مِن شِرْكٍ وَمَا لَهُ مِنْهُم مِّن ظَهِيرٍ

და არ არის მათთვის ამ ორში მოზიარეობა, და მისთვის არ არის შემწე მათგან! (სურა საბა 22)

ამის შემდეგ რაც ალლაჰმა, მათ ამ ჯროვნებას ჩაუკეტა კარი, მათგან ზოგი ამბობს: დიახ მე გეთანხმები, ისინი არ არიან შემქმნელები, ისინი არ არიან მეუფეები, ისინი არ არიან კომპანიონები, ისინი მხოლოდ არიან ალლაჰის დამხმარეები. ალლაჰს შევეფარები. ისინი ათანასწორებენ ალლაჰთან მათ შეიხებს. უზენაესმა დიდებულმა ალლაჰმა, მათ ამ ჯროვნებას ისევ ამ აიათით ჩაუკეტა კარი. ის ბრძანებს:

وَمَا لَهُ مِنْهُم مِّن ظَهِيرٍ

და მისთვის არ არის შემწე მათგან! (სურა საბა 22)

უთხარი: „უხმეთ იმათ, ვისაც ღმერთებად თვლიდით, ალლაჰის გარდა“. არ ფლობენ ისინი იოტისოდენასაც ცათა შინა და არც ქვეყანასა ზედა. და არ არის მათთვის ამ ორში მოზიარეობა, და მისთვის არ არის შემწე მათგან! (სურა საბა 22)

მათი ქმედების გასასამართლებლად, მათგან ზოგი ამ ყველაფრის შემდეგ ამბობს: კარგი. ისინი არაფერს არ განკარგავენ, არც ალლაჰის დამხმარენი არიან, ისინი ავლიები არიან, ანუ ალლაჰთან დაახლოებულები. და მოჰყავთ ხადისი თითქოს მოციქულმა ﷺ გვამცნობა, რომ ალლაჰმა ბრძანა:
"ო ჩემო სამოთხევ, იყავი ჩემი მონა და რასაც შენ იტყვი იქმენ, ის იქმნება."
პირველ რიგში მათ ეშინოდეთ ალლაჰის, ალლაჰის მოციქულს ﷺ მსგავსი ჰადისი არასდროს უთქვამს და

მეორე, — თქვი იქმენ და იქმნება, ეს არის ალლაჰის თვისება. როცა ისინი ამას მოისმენენ ამბობენ:
—კარგი, ისინი არ არიან ავლიები, ისინი არიან მართლმორწმუნე ხალხი.

ისინი რომც იყვნენ მართლმორწმუნე ხალხი, იყავი შენც მართლმორწმუნე. რაში გეხმარება ისინი, შენ? როცა კითხავ მათ, ამბობენ: ისინი მიშუამდგომლებენ განკითხვის დღეს. რატომ არ მოუხმობს ამის მთქმელი გონებას, ამავე სურაში, მომდევნო აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

وَلَا تَنفَعُ ٱلشَّفَٰعَةُ عِندَهُۥٓ إِلَّا لِمَنْ أَذِنَ لَهُۥ

არ არს სარგებელი შუამდგომლობისა მის წინაშე, გარდა ვისაც უფლება მიეცა. (სურა საბა 23)

პირველი - ამ ხალხმა არ იცის, რომ ვედრება ეს არის თაყვანისცემის ფორმა, და არავის არ უნდა მოუხმოს ადამიანმა ალლაჰის გარდა. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَأَنَّ ٱلْمَسَٰجِدَ لِلَّهِ فَلَا تَدْعُواْ مَعَ ٱللَّهِ أَحَدًا

სამლოცველოები ღმერთისთვისაა, ამიტომ ნურავის მოუხმობთ (შეევედრებით) მის გარდა! (სურა ჯინი 18)

ისინი კი სთხოვენ მათ შეიხებს ამის დახმარებას.

მეორე, ამ ხალხმა არ იცის რა არის შუამდგომლობა. მათ არ იციან როგორ უნდა მოხდეს შუამდგომლობა. ყველა ჩვენთაგანმა უნდა ვიცოდეთ, რომ შუამდგომლობა, ანუ შაფაღა განკითხვის დღეს იქნება სამი პირობით:

I. — უზენაესმა ალლაჰმა უნდა დართოს ნება მას, ვინ იშუამდგომლებს მის წინაშე. ის ბრძანებს:

مَن ذَا ٱلَّذِى يَشْفَعُ عِندَهُۥٓ إِلَّا بِإِذْنِهِۦ

და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა ნება მისი. (სურა ბაყარა 255)

2. — უზენაესმა ალლაჰმა შუამდგომლობა უნდა დაუშვას კონკრეტულ პიროვნებებზე. ანუ შუამდგომლობის უფლება არ იქნება ყველაზე ერთდროულად. ალლაჰი ბრძანებს:

وَلَا يَشْفَعُونَ إِلَّا لِمَنِ ٱرْتَضَىٰ

და ისინი ვერავის შუამდგომლობას შეძლებენ, თუ არა ვისითაც იგი კმაყოფილია. (სურა ანბია 28)

3 — არსებობს განსხვავებული სახის შუამდგომლობები.
გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი რომ: ერთხელ ალლაჰის მოციქულს ﷺ მიუტანეს ხორცი. რამოდენიმე ხანში კი მას აჩუქეს ცხვრის უკანა კიდური რომელიც მას უყვარდა. ალლაჰის მოციქულმა ﷺ ჩაკბიჩა ხორცი და შემდეგ თქვა: ,,განკითხვის დღეს მე ვიქნები მეთაური ყველა ადამიანების. და იცით თუ არა თქვენ ამის მიზეზი? საქმე იმაშია, რომ განკითხვის დღეს ალლაჰი შეჰკრებს ყველას ერთად, პირველსა თუ უკანასკნელს ერთ სიმაღლეზე, ისე რომ მიმართვა შესაძლებელი იქნება ყველაზე ერთდროულად და ისინი იქნებიან ერთნაირად თვალთახედვაში. ამ დღეს მზე მოახლოვდება ადამიანებთან (სხვა ვერსიაში ნათქვამია მზე მოახლოვდება ერთი მილის დაშორებით, და ამ ხადისის გადმომცემმა საჰაბმა თქვა: მე არ ვიცი რომელ მილზეა საუბარი, მილზე რომელიც სიშორეს აღწერს თუ მილზე რომელიც თვალის სურმასოდენა დაშორება იქნება მხოლოდ) და ისინი ჩავარდებიან ისეთ მწუხარებაში, რომ მათ არ ექნებათ ძალა და არ ექნებათ მოთმინება რომ ეს აიტანონ. ამ დროს ადამიანების ერთი ჯგუფი ეტყვის მეორეს: განა ვერ ხედავთ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდით? განა ვერ ხედავთ სადამდე მიხვედით? არ მოძებნით ისეთს, ვინც შუამდგომლობას გაგიწევთ ალლაჰის

წინაშე? (რომ დაიწყოს განკითხვა) ამათგან ზოგი ეტყვის მეორეს: მიდით ადამთან (عليه السلام) რის შემდეგ ისინი მივლენ მასთან და ეტყვიან:

ო ადამ! შენ ხარ კაცობრიობის მამა. ალლაჰმა შეგქმნა შენ მისი ხელებით და ჩაგბერა შენ სული და მისი ბრძანებით ანგელოზებმა აღავლინეს სეჯდე შენს წინაშე, იშუამდგომლე ჩვენთვის, შენი ღმერთის წინაშე. განა ვერ ხედავ როგორ მდგომარეობაში ვართ? და ვერ ხედავ სადამდე მივედით? ამაზე ადამი უპასუხებს:

"ჭეშმარიტად, დღეს ღმერთი განრისხებულია ისე, რომ არასდროს ყოფილა განრისხებული მსგავსად, და არც არასდროს განრისხდება მსგავსად. ჭეშმარიტად მან ამიკრძალა მეჭამა ხის ნაყოფი, მაგრამ მე ვეურჩე მას. ჩემი სული, ჩემი სული. წადით ნუჰთან." მაშინ ადამიანები მივლენ ნუჰთან და ეტყვიან მას:

ო ნუჰ! ჭეშმარიტად შენ ხარ პირველი ალლაჰის წარგზავნილი მოციქული, და ალლაჰმა შენ გიწოდა მადლიერი მონა. გვიშუამდგომლე ჩვენ შენი ღმერთის წინაშე. განა ვერ ხედავ შენ, რა მდგომარეობაში ვართ და სადამდე მივედით? რაზეც ნუჰი (عليه السلام) უპასუხებს მათ:

"ჭეშმარიტად დღეს ღმერთი განრისხებულია ისე, რომ არასდროს ყოფილა განრისხებული მსგავსად, და არც არასდროს განრისხდება მსგავსად. ჭეშმარიტად მიწიერ ცხოვრებაში მე მქონდა ბოძებული, შემეთხოვა ალლაჰისთვის ერთხელ, მე მას შევთხოვე უკვე დამხმარებოდა ჩემი ხალხის წინააღმდეგ. ჩემი სული, ჩემი სული, წადით იბრაჰიმთან".

მაშინ ადამიანები მივლენ იბრაჰიმთან და ეტყვიან მას:

ო იბრაჰიმ, შენ ხარ ალლაჰის მოციქული და მისი საყვარელი მეგობარი დედამიწაზე სულიერთაგან (ხალილ), იშუამდგომლე ჩვენთვის შენი ღმერთის წინაშე. განა ვერ ხედავ როგორ მდგომარეობაში ვართ ჩვენ? და სადამდე მივედით? ამაზე იბრაჰიმი (عليه السلام) უპასუხებს:

"ჭეშმარიტად დღეს ღმერთი განრისხებულია ისე, რომ არასდროს ყოფილა განრისხებული მსგავსად, და არც არასდროს განრისხდება მსგავსად. მე მოვიტყუე სამჯერ, ჩემი სული, ჩემი სული, წადით მუსასთან".. შემდეგ ისინი მივლენ მუსასთან და ეტყვიან მას:

ო მუსა. შენ ხარ ალლაჰის მოციქული და ალლაჰმა შენ უპირატესგყო მეორე ხალხზე, მან შენ მოგცა მისი წერილი და გესაუბრებოდა შენ შუამდგომელის გარეშე, იშუამდგომლე ჩვენთვის შენი ღმერთის წინაშე. განა

ვერ ხედავ როგორ მდგომარეობაში ვართ? და სადამდე მივედით? საპასუხოდ მუსა (عليه السلام) იტყვის:

"ჭეშმარიტად დღეს ღმერთი განრისხებულია ისე, რომ არასდროს ყოფილა განრისხებული მსგავსად, და არც არასდროს განრისხდება მსგავსად. რაც შემეხება მე, მე მოვკალი ადამიანი რომელზეც არ მქონდა უფლება. ჩემი სული, ჩემი სული, წადით 'ისასთან."

მაშინ ადამიანები მივლენ 'ისასთან და ეტყვიან:

ო 'ისა! შენ ხარ ალლაჰის მოციქული და შენ ესაუბრე ადამიანებს მაშინ, როცა ჯერ კიდევ იყავი აკვანში, შენ ხარ ღვთის სიტყვა, რომელიც ალლაჰმა უბოძა მარიამს და შენ ხარ სული ღმერთისგან. გვიშუამდგომლე შენი ღმერთის წინაშე. განა ვერ ხედავ როგორ მდგომარეობაში ვართ და სადამდე მივედით? 'ისა (عليه السلام) მათ უპასუხებს:

"ჭეშმარიტად დღეს ღმერთი განრისხებულია ისე, რომ არასდროს ყოფილა განრისხებული მსგავსად, და არც არასდროს განრისხდება მსგავსად. ის არ დაასახელებს თავის რომელიმე ცოდვას მაგრამ იტყვის: ჩემი სული, ჩემი სული, წადით მუჰამმადთან ."

ამის შემდეგ ადამიანები მოვლენ ჩემთან და იტყვიან:

ო მუჰამმად, შენ ხარ ალლაჰის მოციქული და ბოლო შუამავალი, ალლაჰმა შენ გაპატია ყველა წარსული და მომავალი ცოდვები, იშუამდგომლე ჩვენთვის შენი ღმერთის წინაშე, განა ვერ ხედავ როგორ მდგომარეობაში ვიმყოფებით და სადამდე მივედით?

შემდეგ მე მივალ ალლაჰის ტახტრევანის წინ და ალლაჰის წინაშე გავაკეთებ სუჯუდს, ამის შემდეგ ალლაჰი შთამაგონებს ისეთ განმადიდებელ სიტყვებს, რომელიც არავისთვის არ შთაუგონებია და მე განვადიდებ მას ამ სიტყვებით, რის შემდეგ ალლაჰი ბრძანებს:

ო მუჰამმად, ასწიე შენი თავი, ითხოვე და იქნება შენთვის ნაბოძები, იშუამდგომლე და შენი შუამდგომლობა მიიღება. შემდეგ მე ავწევ თავს და ვიტყვი: "ო ჩემო ღმერთო, ჩემი უმმათი, ჩემი უმმათი!" შემდეგ ალლაჰი ბრძანებს: ო მუჰამმად, შედი სამოთხეში მარჯვენა კარიდან, შენი იმ მიმდევრებით რომლებიც განთავისუფლდნენ განკითხვისგან, მაგრამ მათ შეეძლებათ შევიდნენ სამოთხეში სხვა კარიდან ადამიანებთან ერთად.

(ალ ბუხარი 4712, მუსლიმი 194)

ალლაჰის მოციქული როგორ შუამდგომლობას ითხოვს? ის ეტყვის ალლაჰს, რომ ო ჩემო ღმერთო, შენ მე მიბოძე შუამდგომლობის ნება და მე ახლა უნდა ვიშუამდომლოო? არა!
ის გააკეთებს ალლაჰის წინაშე სუჯუდს, მიწიერ თაყვანისცემას და ისე განადიდებს მას, რომ მსგავსად არავის განუდიდებია დიდებული ალლაჰი, ის განადიდებს იმ სიტყვებით რომელსაც ყოვლის შემძლე ალლაჰი, მას შთააგონებს, განკითხვის დღეს. ჯერ ის თავის ერთღმერთიანობას წარაჩენს და შემდგომ, ალლაჰის ნებადართვის შემდეგ ითხოვს სათხოვარს. აი რა არის ერთღმერთიანობა, რასაც ალლაჰის მოციქული ﷺ ასევე განკითხვის დღეს დაგვანახებს ინ შა ალლაჰ, ამიტომ ვინც გაუწევს და ვისაც გაეწევა შუამდგომლობა, ესენი იქნებიან მხოლოდ მუვაჰიდები, ერთღმერთიანები. იმიტომ, რომ ალლაჰი არავის საჭიროებს. ეს ჩვენ ვსაჭიროებთ ერთმანეთს, არავის შეუძლია თქვას, რომ ამ ქვეყნად რომელიმე მართველს შეუძლია რაიმე მართოს მარტომ რაც არ უნდა ძალაუფლებას ფლობდეს ის, ხოლო ალლაჰი არ საჭიროებს დახმარებას, ის არის ას სამად-თვითკმარი რომელიც არავისგან დამოკიდებული, ყველაფერი მასგან დამოკიდებული.
ისინი ვინც შესთხოვენ მკვდრებს დახმარებას, ნუთუ განკითხვის დღეს ის მკვდარი ალლაჰს ეტყვის? ო ალლაჰ, ის მე შემთხოვდა და მომეცი ნება, რომ ვუშუამდგომლო შენს წინაშე? არა ვფიცავ ალლაჰს!
ალლაჰს სურს, რომ მას ვეთაყვანოთ და მას შევთხოვოთ და არა მკვდრებს, ვინც არ უნდა იყოს ის.
ასე რომ შუამდგომლობა არსებობს ბევრი სახის მაგ. :
ყველაზე დიდი შუამდგომლობა ეს იქნება მაშინ, როცა ადამიანები იქნებიან ორმოცდაათი ათასი წელი ფეხზე მდგომი, მოლოდინში რათა დაიწყოს განკითხვა და ალლაჰის მოციქული მუჰამმადი ﷺ იშუამდგომლებს მათთვის. ეს შუამდგომლობა მხოლოდ მიეცემა ალლაჰის მოციქულს ﷺ.
პირველი ვინც ითხოვს სამოთხის კარის გაღებას ეს იქნება მოციქული მუჰამმადი ﷺ და პირველი ვინც შევა იქ, ეს იქნება მისი უმმათი.
ასევე იქნება შუამდგომლობა მათ ცეცხლში არ შესვლაზე, ვისაც ებრძანა რომ შევიდნენ ცეცხლში. (ერთღმერთიანების რიგებიდან)
ასევე ექნება შუამდგომლობა ერთღმერთიანებს, ცეცხლიდან დასაღწევად, რომლებიც მათი ცოდვების გამო შევიდნენ ცეცხლში.
ასევე იქნება შუმდგომლობა სამოთხის მკვიდრთათვის, მათი ჯილდოს გაზრდაზე.

ამ ბოლო სამ შუამდგომლობას მხოლოდ ალლაჰის მოციქული ﷺ არ გასწევს. რათქმაუნდა მას ექნება უპირატესობა, მაგრამ დანარჩენ მოციქულებსაც შეუძლიათ ამის მიმართ შუამდგომლობა, ასევე ანგელოზებს, მართლებს და ალლაჰის ჯაჯე დაცემულებს, შაჰიდებს.
შუამდგომლობა გარკვეულ ხალხს, რომ მათ შევიდნენ განკითხვის გარეშე სამოთხეში.
შუამდგომლობა გარკვეულ ურწმუნოებზე, რომ მათ შეუმსუბუქდეთ ტანჯვა.
ამის შუამდგომლობა ეკუთვნის მხოლოდ ჩვენს მოციქულს, მუჰამმადს ﷺ რომელიც ითხოვს შუამდგომლობას მის ბიძაზე, აბუ ტალიბზე რომ მას შეუმსუბუქდეს ტანჯვა.
ე.ი. ჯრი "თავჰიდ არ რუბუბიასი", ეს არის, რომ ყველაფრის შემქმნელი არის დიდებული ალლაჰი. რაც შეეხება მეორე ბურჯს:

2—თავჰიდ არ რუბუბიას მეორე ბურჯი გახლავთ: უზენაესი ალლაჰი არის ერთადერთი ვინც განაგებს.

როგორც ვთქვით, თავჰიდ არ რუბუბიას აქვს ორი ბურჯი:
1—პირველი ის, რომ ალლაჰია შემქმნელი და
2—მეორე ის, რომ ალლაჰი განაგებს ყოველივესა და ყველაფერს.
და მოვიყვანეთ მუსას (عليه السلام) მაგალითი:

قَالَ فَمَن رَّبُّكُمَا يَٰمُوسَىٰ

უთხრა „ვინ არის თქვენი ღმერთი, ჰეი მუსა?" (სურა ტაჰა 49)

მუსამ მას უპასუხა შემდეგად:

قَالَ رَبُّنَا ٱلَّذِىٓ أَعْطَىٰ كُلَّ شَىْءٍ خَلْقَهُۥ ثُمَّ هَدَىٰ

მიუგო „ჩვენი ღმერთი იგია, რომელმაც ყოველივეს სახე მიანიჭა, მერე კი სწორ გზაზე დაადგინა!" (სურა ტაჰა 50)

ესეიგი რა უპასუხა მუსამ?

I)

قَالَ رَبُّنَا ٱلَّذِىٓ أَعْطَىٰ كُلَّ شَىْءٍ خَلْقَهُۥ

მიუგო : „ჩვენი ღმერთი იგია, რომელმაც ყოველივეს სახე მიანიჭა,

ანუ ეს არის პირველი ბურჯი. ხოლო შემდეგ განაგრძო მუსამ:

2)

ثُمَّ هَدَىٰ

მერე კი სწორ გზაზე დაადგინა!“

ეს კი მეორე ბურჯი.
უზენაეს ალლაჰს არ მიუტოვებია მისი ქმნილებები უბრალოდ ისე, მან შექმნა ყოველივე და ყოველივეს დაუწესა თავისი გზა. ის ბრძანებს ყურანში:

قُلِ ٱللَّهُ خَٰلِقُ كُلِّ شَىْءٍ وَهُوَ ٱلْوَٰحِدُ ٱلْقَهَّٰرُ

„ალლაჰია გამჩენი ყოველივესი, და იგი ერთადერთია, ძლევამოსილია!“ (სურა არ რა'დ — I6)

მან დაუწესა ყოველივე ქმნილებას თავისი გზა და ის მართავს ყველაფერს მას შემდეგ რაც მან შექმნა ისინი. ალლაჰი ბრძანებს:

سَبِّحِ ٱسْمَ رَبِّكَ ٱلْأَعْلَى

ადიდე სახელი ღმერთისა შენისა, უზენაესისა!

ٱلَّذِى خَلَقَ فَسَوَّىٰ

რომელმაც გააჩინა და გაათანაბრომიერა! (სურა ალ ა'ლა I/2)

ყველაფრის შექმნა ეს პირველი ბურჯია, რაც ამ აიათებშია გადმოცემული. შემდეგ ის ბრძანებს:

وَٱلَّذِى قَدَّرَ فَهَدَىٰ

რომელმაც (ყველაფერი) ზომიერად ჰყო და დაადგინა ჭეშმარიტ გზას! (სურა ალ ა'ლა 3)

ეს კი გახლავთ მეორე ბურჯი თავჰიდ არ რუბუბიასი, რომელიც გახლავთ: — **ალლაჰია ერთადერთი ვინც განაგებს.**

ასევე დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ ٱللَّهَ يُمْسِكُ ٱلسَّمَٰوَٰتِ وَٱلْأَرْضَ أَن تَزُولَا ۚ وَلَئِن زَالَتَآ إِنْ أَمْسَكَهُمَا مِنْ أَحَدٍ مِّنۢ بَعْدِهِۦٓ ۚ إِنَّهُۥ كَانَ حَلِيمًا غَفُورًا

უეჭველად, რომ არ მოისპოს ცანი და მიწა, ალლაჰი იცავს. და თუ დაიძრებიან, ვერღა შეაკავებს მის გარდა ვერავინ. (სურა ფაატირი 41)

ძლევამოსილმა ალლაჰმა შექმნა ცა და მიწა, შექმნა პლანეტები, შექმნა გალაქტიკა, შექმნა ყველა ვარსკვლავისთვის მისი ორბიტა და ყველა პლანეტა დაცურავს თავის ორბიტაზე. უზენაეს ალლაჰს რომ შეექმნა ესენი და შემდეგ მიეტოვებინა უბრალოდ თავისთვის რა იქნებოდა? რა მოხდებოდა? როგორც დღეს ამბობენ, დედამიწამ რომ გადასცდეს მის ორბიტას 5 სანტიმეტრით, მოხდება კატასტროფა და კაცობრიობა დაიღუპება. ალლაჰი ბრძანებს:

განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი! (სურა ალ აღრაფ 54)

უზენაეს ალლაჰს რომ შეექმნა ჩვენი თავი და მიეტოვებინა, ჩვენ ვიქნებოდით ძეგლების მსგავსი. განა ჩვენს სხეულში სისხლი თავისით ჩქეფს? ვინ ამოძრავებს ამ სისხლს? ვისი ძალისხმევით მუშაობს ჩვენი ორგანოები?

ვისი ნებით ფეთქვას გული, რომელიც ჩვენს ჩასახვიდან იწყებს ცემას და სიკვდილამდე გაუჩერებლად ცემს? ვინ გვაძლევს ყურთასმენას? თვალთახედვას? რათქმაუნდა დიდებული ალლაჰი. მაგრამ ადამიანები ამ დროს, მიდიან და სთხოვენ ალლაჰის გარდა სხვას, ისინი მიმართავენ სხვას, ისინი უძღვნიან თაყვანისცემის ფორმას სხვას, რომლის ღირსი მხოლოდ ერთადერთი ალლაჰია, დიდებულია ის იმაზე რასაც თანაზიარს უქმნიან. ამიტომ როგორც ჩვენ ავღნიშნეთ გადარჩენა არის ერთღმერთიანობაში, სწორ მრწამსში, გადარჩება ის ვინც შეიცნობს ალლაჰის სიდიადეს.
დაე ყოველის შემძლე ალლაჰმა მისცეთ მათ შემეცნების უნარი, რომ გაიგონ ვინ არის და ვის ეკუთვნის ყოველი თაყვანისცემის ფორმა.

ერთღმერთიანობა ღვთაებრიობაში

(თავჰიდ ალ ულუჰია)

ვიცით რომ უზენაესმა ალლაჰმა შექმნა ეს ყველაფერი, ის განაგებს ამ ყველაფერს, ის არის მეუფე როგორც საწყისში ისევე ბოლოს. ისმება კითხვა, ამ ყველაფრის მიუხედავად ადამიანები როგორ სთხოვენ ვინმეს დახმარებისთვის[12]? სამწუხაროდ ისინი ვერ იცნობენ მათ შემოქმედს.

ადამიანები როცა კვდებიან, მათ ძალაუფლებას ეუფლება სხვა, შემდეგ ისინიც კვდებიან, იმათ ძალაუფლებას ეუფლება სხვა და ასე შემდეგ, მანამ, სანამ განკითხვის დღეს ალლაჰი არ ბრძანებს დიდებული:

لِّمَنِ ٱلْمُلْكُ ٱلْيَوْمَ

მაშ, ვისია დღეს მეუფება?

ამ დროს მას არავინ უპასუხებს და ის ბრძანებს:

لِلَّهِ ٱلْوَٰحِدِ ٱلْقَهَّارِ

ალლაჰის, ერთადერთის, ძლევამოსილის! (40-16)

ადამიანმა იცის, რომ ალლაჰია ძლევამოსილი და მას აქვს ძალაუფლება როგორც საწყისში ასევე ბოლოს, ის არის პირველი ალ ავვალ და უკანასკნელი ალ ახირ, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მიაწერენ მის ძალაუფლებას სხვას, და მიაკუთვნებენ თაყვანისცემას სხვას, რაც არის თავჰიდ ალ ულუჰიას დარღვევა. დიდებული ალლაჰი არ მიიღებს ღვთისმსახურებას, თუ ამ თაყვანისცემაში მას თანაზიარს შეუქმნიან.

თაყვანისცემა შედგება ორი საფუძველისგან: ეს არის:

[12] საუბარია ვედრებაზე, ისეთი დახმარების შეთხოვნაზე, რაც მხოლოდ ალლაჰს ძალუძს.

I.სიყვარული
2.მორჩილება.

უზენაესი ალლაჰი კრძალავს ვინმეს სიყვარულს, ან ვინმესადმი მორჩილებას ისე, როგორც უნდა გვიყვარდეს ალლაჰი, და ვმორჩილებდეთ მას. ყველა ადამიანი განურჩევლად, არის ალლაჰის მონა მსახური. რაც შეეხება მონობას, ის არის ნებაყოფლობითი ან იძულებითი. ვიღაცამ შეიძლება თქვას, მე არავარ ალლაჰის მონა მსახური! კარგი, თუ შენ არა ხარ ალლაჰის მონა, მაშ დაუშვი ისე, რომ არ მოკვდე. თუ შენ არა ხარ ალლაჰის მონა, დაუშვი ისე რომ არ გახდე ავად, თუ შენ არა ხარ ალლაჰის მონა, დაუშვი ის რომ არ მოგშივდეს და ასე შემდეგ. რათქმაუნდა შენ ამას ვერ შეძლებ, ამიტომ შენ ხარ ალლაჰის მონა!

ძლევამოსილი ალლაჰი არის შენი და ყველას ღვთაება. თუ შენ მას არ დაემორჩილები ნებაყოფლობით, რომ იყო მისი მონა, მაშინ შენ შეხვალ სამუდამოდ ცეცხლში. რაც შეეხება ნებაყოფლობით მონობას, თუ შენ იქნები ნებაყოფლობით მონა ალლაჰისა, ეს არის ყველაზე უმაღლესი ხარისხი ალლაჰის წინაშე. ამიტომ როცა დიდებული ალლაჰი აქებს ვინმეს, ის მას უწოდებს მსახურს. მაგალითად ის ბრძანებს:

سُبْحَٰنَ ٱلَّذِىٓ أَسْرَىٰ بِعَبْدِهِۦ لَيْلًا مِّنَ ٱلْمَسْجِدِ ٱلْحَرَامِ إِلَى ٱلْمَسْجِدِ ٱلْأَقْصَا

დიდება იმას, რომელმაც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდი ჰარამიდან მესჯიდი აქსაში (სურა ალ ისრა I)

ალლაჰმა მოციქულ მუჰამმადს ﷺ უწოდა მსახური, მან მსგავსად შეაქო ის. თუ ყველა არის ალლაჰის მონა, მაშ რატომ ხდება ისე, რომ მას ზოგი არ სცემს თაყვანს სათანადოდ? და უჩენს თანაზიარს? პასუხი არის მარტივი:

إِنَّا خَلَقْنَا ٱلْإِنسَٰنَ مِن نُّطْفَةٍ أَمْشَاجٍ نَّبْتَلِيهِ فَجَعَلْنَٰهُ سَمِيعًۢا بَصِيرًا

უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი ნარევისაგან, გამოვსცდით მას, ამიტომაც დავუდგინეთ სმენა და მხედველობა. (სურა ინსან 2)

ძალიან დიდი განსხვავებაა თაყვანისცემასა და "ერთადერთზე" თაყვანისცემას, შორის. თუ დღეს ჩვენ ვკითხავთ ადამიანებს რისთვის წარიგზავნა მოციქული მუჰამმადი ﷺ ადამიანებთან, ისინი უპასუხებენ, იმისთვის, რომ ადამიანებმა შეასრულონ თაყვანისცემა. მაგრამ ეს არ არის ასე, რადგან მოციქულების მოწოდება, მხოლოდ თაყვანისცემა არ იყო. მაშ რისთვის წარიგზავნენ მოციქულები ადამიანებთან? ყველა მოციქული დაწყებული ნუჰიდან (ალლაჰის მშვიდობა მასზედ) დამთავრებული მუჰამმადზე ﷺ ყველა მოუწოდებდა, რომ თაყვანი ეცათ ერთადერთი ღმერთისთვის. ისინი არ მოუწოდებდნენ თქვენ შეასრულეთ თაყვანისცემა ალლაჰის წინაშე, არამედ ისინი მოუწოდებდნენ **აღასრულეთ ერთადერთ ღვთაებაზე თაყვანისცემა**. თაყვანისცემა ეს ერთია, მაგრამ ერთადერთ ალლაჰზე თაყვანისცემა ეს უკვე სხვაა. რატომ? იმიტომ რომ ყველა მოციქული წარიგზავნა მისიით "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება გარდა ალლაჰისა.

დღეს ადამიანები, ეგრედწოდებული მუსლიმები ამ სიტყვას იცნობენ, მაგრამ არა ისე და არა იმ ფორმატით, როგორც აუხსნა ეს მოციქულმა მუჰამმადმა ﷺ მის მიმდევრებს, არამედ ისინი იცნობენ ისე, როგორც მათ გაიგეს მტკიცებულების გარეშე. თუ მათ ჰკითხავ მის მნიშვნელობას, გიპასუხებენ: ეს ნიშნავს ალლაჰია ერთადერთი, ან ალლაჰი აკვდინებს, ან ალლაჰი აძლევს საჩოს, პოლითეისტ მუშრიქ ყურაიშელებზე რომ გეკითხა თუ ვინ აკვდინებს და ვინ აცოცხლებს, ისინიც აღიარებდენ რომ ალლაჰი! მუშრიქები, ალლაჰს ეთაყვანებოდნენ მოციქულის ﷺ მოსვლამდე, ისინი აღიარებდნენ ალლაჰის ბატონობას. ამის დასტურია ალლაჰის სიტყვა:

وَلَئِن سَأَلْتَهُم مَّنْ خَلَقَهُمْ لَيَقُولُنَّ ٱللَّهُ

და თუ ჰკითხავ მათ: ვინ გააჩინა ისინი, უთუოდ გიპასუხებენ: „ალლაჰმა.“ (სურა ზუხრუფი 87)

მაგრამ ისინი არ ეთაყვანებოდნენ ერთადერთ ალლაჰს, ანუ მათი თაყვანისცემის ფორმები მხოლოდ ალლაჰზე არ იყო მიძღვნილი. მათ ააგეს ალლაჰის სახლი ქა'აბა, ისინი აღიარებდნენ მის რუბუბიას, ანუ ის რომ არის ყველაფრის შემქმნელი, ისინი აპურებდნენ, ისინი იჩენდნენ გამცემლობას

სტუმრებისთვის, მაგრამ როცა მათ ალლაჰის მოციქულმა მოუწოდა ﷺ რომ მათ ეთქვათ "ლა ილაჰა ილლ ალლაჰ" - რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება ალლაჰის გარდა, რომ თაყვანი ეცათ მხოლოდ ერთადერთ ალლაჰისათვის, მათ ეს ძალიან გაუკვირდათ. და თქვეს:

أَجَعَلَ ٱلْأَلِهَةَ إِلَٰهًا وَٰحِدًا ۖ إِنَّ هَٰذَا لَشَىْءٌ عُجَابٌ

განა ღვთაებები, ერთ ღვთაებად დაადგინა? უეჭველად, ეს საოცრებაა. (სურა საد 5)

პრობლემა არ ყოფილა იმაში, რომ ისინი არ აღიარებდნენ ალლაჰს, არამედ პრობლემა იყო იმაში, რომ ისინი თაყვანისცემაში უჩენდნენ მას თანაზიარს. ადამიანი კი ერთღმერთიანი არის მაშინ, როცა ის განადიდებს მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს, უყვარს მხოლოდ ერთადერთი ალლაჰი ისე როგორც უნდა უყვარდეს, ეშინია მხოლოდ ერთადერთი ალლაჰისა, თხოვს დახმარებას მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს, მიეკედლება მხოლოდ მას. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَأَنَّ ٱلْمَسَٰجِدَ لِلَّهِ فَلَا تَدْعُوا۟ مَعَ ٱللَّهِ أَحَدًا

სამლოცველოები ღმერთისთვისაა, ამიტომ ნურავის მოუხმობთ (შეევედრებით) მის გარდა! (სურა ჯინი 18)

ყურანის განმარტებლები მუფასირები განმარტავენ რომ, სიტყვა ٱلْمَسَٰجِد - ალ მასაჯიდ ატარებს ორ ჯრს
ალ მასაჯიდ - ეს არის მეჩეთი
ალ მასაჯიდ - არის ის ადგილი სხეულის, რომლითაც ადამიანი ეხება სუჯუდის, მიწიერი თაყვანისცემის დროს.
რაც შეეხება თაყვანისცემის ფორმებს, დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

فَلَا تَدْعُوا۟ مَعَ ٱللَّهِ أَحَدًا

ნურავის მოუხმობთ (შეევედრებით) მის გარდა! (სურა ჯინი 18)

აჰლ ას სუნნას[13] სწავლულებმა თქვეს, რომ ვედრება (დუ'ა) იყოფა ორ ნაწილად:

1-"დუ'ა ალ მასალაჰ" - ეს არის ის ვედრება როცა ადამიანი რაიმეს შესთხოვს დიდებულ ალლაჰს.

2-"დუ'ა ალ ღიბადა"- ეს არის ყველა თაყვანისცემის ფორმა ალლაჰის მიმართ.

რაც შეეხება დუ'ა ალ ღიბადა-ყველანაირი თაყვანისცემის ფორმის შესრულებით ადამიანი თვითუნებურად შესთხოვს ალლაჰს ვჯილდოს, შესრულებული თაყვანისცემის სანაცვლოდ. განა როცა ვლოცულობთ არ შევთხოვთ ალლაჰს მოწყალებას? ან რატომ ვმარხულობთ? განა ამით ჩვენ არ მივილტვით, რომ მივიღოთ ალლაჰის მოწყალება? რათქმაუნდა მივილტვით და რათქმაუნდა ყოველივე თაყვანისცემას მისი კმაყოფილებისთვის ვასრულებთ. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَقَالَ رَبُّكُمُ ٱدْعُونِىٓ أَسْتَجِبْ لَكُمْ

თქვენმა ღმერთმა ბრძანა: მომიხმეთ (შემევედრეთ) და გიპასუხებთ!
(სურა 40: 60)

ასევე მოციქულმა მუჰამმადმა ﷺ თქვა რომ:

ვედრება დუ'ა ეს თაყვანისცემაა.
(აბუ დაუდ 1479, ათ თირმიზი 2969)

1. (დუ'ა)ვედრება
2. შიში(ხავფ)
3. იმედოვნება (რაჯა'ა)
4. ძრწოლა(რაჰბა)
5. თავმდაბლობა(ხუშუა)
6. რიდი(ხაშია)
7. მონანიება(ინაბა)
8. დახმარების ძიება(ისტი'ანა)

[13] აჰლ ასსუნნა - ყურანისა და სუნნას მიმდევარნი, მართლმორწმუნე წინაპრების გაგებით.

9. მფარველობის ძიება(ისტი'ჯა)
10. გასაჭირში დახმარების ძიება(ისტირასა)
11. მსხვერპლშეწირვა(ზაჰაბ)
12. აღთქმა(ნჯარ)
13. მინდობა(თავაქულ)
14. იმედი(რაჰბა)

ყველა ეს არის თაყვანისცემის ფორმა. ამიტომ ამათგან რომელიმე თაყვანისცემა თუ იქნება ალლაჰის გარდა ვინმეზე მიძღვნილი, ეს ითვლება შირქად. ვიღაცამ შეიძლება იკითხოს: თუ მე მეყვარება დედა, მამა, ცოლი, შვილები, განა მე ალლაჰს ამით ავუყვანე თანაზიარი? რათქმაუნდა არა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის სიყვარული, როგორც შენ უნდა გიყვარდეს დიდებული ალლაჰი, ხოლო მათდამი სიყვარული ეს თანდაყოლილი ბუნებაა. ასეთივე შეიძლება ითქვას შიშზე, დახმარების ძიებაზე და ყველა თაყვანისცემის ფორმაზე. მაგალითად ადამიანს ეშინია ცეცხლის, ან ცხოველის, ან მტერის, ბოროტების და ასე შემდეგ.

იქნება თუ არა ალლაჰზე თანაზიარის აყვანა, თუ ადამიანს შეეშინდება ცეცხლის, ცხოველის და ასე შემდეგ ზემოთხსენებულის? არა რათქმაუნდა, იმიტომ, რომ აქ საუბარია ისეთ სიყვარულზე და ისეთ თაყვანისცემაზე როგორიც უნდა იყოს ალლაჰზე მიძღვნილი, ერთადერთზე, ამიტომ ის ვინც შეიყვარებს ისე როგორც ალლაჰს, ან შეეშინდება ვინმესი როგორც უნდა ეშინოდეს ალლაჰის, ან მოიმედე იქნება ვინმესი როგორც უნდა იყოს ალლაჰის მიმართ, მაშინ ის აკეთებს შირქს, რადგან მან თაყვანისცემაში თანაზიარი აუყვანა დიდებულ ალლაჰს, ხოლო თუ ადამიანს ეყვარება თანდაყოლილი ბუნებით დედა, მამა და ასე შემდეგ, რაც აღინიშნა ზემოთ, რათქმაუნდა ეს არ არის თაყვანისცემის ის ფორმა, რაც შეიძლება დაირღვეს. მაგრამ თუ ადამიანი მივა რომელიმე საფლავთან და მკვდარს შესთხოვს დახმარებას, ან მფარველობას, ან ისეთს რისი ძალაც მხოლოდ ალლაჰს შესწევს, და მას ეშინია მისი როგორც ალლაჰის, მაშინ სწორედ ეს არის დიდი შირქი.

ვისაც შეეშინდება რომელიმე კერპის, ან საფლავის, რომ მან არ მომიტანოს ზიანი, ან შეეშინდება რომელიმე მათი შეიხის, თუ ის მის მითებს არ შეასრულებს, ან არ დალოცავს და ასე შემდეგ, მაშინ ეს გახდება მისი პოლითეისტობის მიზეზი.. მუსლიმმა იცის, რომ სწორედ ეს არის შირქი, რომ ალლაჰის გარდა სხვას არ ეთაყვანოს, ხოლო თაყვანისცემა მხოლოდ

ლოცვა არ არის, არამედ ძალიან ბევრია, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს ეკუთვნის და ეს არის თავჰიდ ალ ულუჰია, და ეს არის ყველა მოციქულების რელიგია. შეიძლება თუ არა დახმარების ძიება ადამიანებზე? თუ შეიძლება მაშინ რა ფორმით?
კი! ჩვენ შეგვიძლია ადამიანებს ვთხოვოთ დახმარება გარკვეულ შემთხვევებში. პირველ რიგში ეს ადამიანი უნდა იყოს ცოცხალი, მეორე მას უნდა შეეძლოს ამის შესრულება. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დახმარების თხოვნა მკვდრებზე, მკვდრებს არც კი ესმით მათი, ვინც შესთხოვს მათ და სურვილების ახდენაზე ზედმეტია საუბარი.

თუკი მოუხმობთ მათ, არ ესმით თქვენი ვედრება, და რომც გაიგონ, ვერ გიპასუხებენ. ხოლო აღდგომის დღეს უარყოფენ თქვენს მრავალღმერთიანობას. და ვერ გამცნობს შენ ისე, როგორც ყოვლისმცოდნე! (სურა ფატირი 14)

რატომ არის ვინმეზე ვედრება, გარდა ალლაჰისა შირქი? იმიტომ რომ ვედრება ეს თაყვანისცემის ფორმაა, ხოლო თაყვანისცემა უნდა მიუძღვნათ მხოლოდ ალლაჰს, დიდებულს. დახმარების თხოვნა როგორც ავღნიშნეთ შეიძლება ვთხოვოთ გვერდით მყოფს, ოღონდ რისი გაკეთებაც მას შეუძლია. მაგრამ თუ ვინმე სთხოვს მკვდარს, ეს უკვე არის დიდი შირქი.
მაგალითად ადამიანს გარდაეცვალა მამა და დასაფლავა მამა. რამოდენიმე დღეში კი მივიდა საფლავთან და ეუბნება: ო მამა, მე მომივიდა ძმებთან კამათი და მსურს, რომ მირჩიო რა გავაკეთო, განა ეს ადამიანი მიიღებს რჩევას მამამისისგან? რათქმაუნდა არა! და ასეთი ადამიანი სხვა არაფერია თუ არა სულელი. სამწუხაროდ დღეს ასეა გავრცელებული სხვადასხვა სუფიურ მიმდინარეობებში. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

თუკი მოუხმობთ მათ, არ ესმით თქვენი ვედრება, და რომც გაიგონ, ვერ გიპასუხებენ. ხოლო აღდგომის დღეს უარყოფენ თქვენს მრავალღმერთიანობას. და ვერ გამცნობს შენ ისე, როგორც ყოვლისმცოდნე! (სურა ფატირი 14)

ყოვლის შემძლე ალლაჰმა ასეთ მოწოდებას უწოდა მკვდრებზე თაყვანისცემა, ამიტომ ვინც მსგავსად მკვდრებს მოუხმობს, ის ვარდება მრავალღმერთიანობაში. ალლაჰი ასეთ ადამიანებს მიმართავს :

يَٰٓأَيُّهَا ٱلنَّاسُ ضُرِبَ مَثَلٌ فَٱسْتَمِعُواْ لَهُۥٓۚ إِنَّ ٱلَّذِينَ تَدْعُونَ مِن دُونِ ٱللَّهِ لَن يَخْلُقُواْ ذُبَابًا وَلَوِ ٱجْتَمَعُواْ لَهُۥۖ وَإِن يَسْلُبْهُمُ ٱلذُّبَابُ شَيْـًٔا لَّا يَسْتَنقِذُوهُ مِنْهُۚ ضَعُفَ ٱلطَّالِبُ وَٱلْمَطْلُوبُ

ჰეი, ხალხო! მაგალითისთვისაა იგავი, მაშ მოუსმინეთ. უეჭველად, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით, გარდა ალლაჰისა, ვერ შექმნიან ბუზსაც კი, რომც გაერთიანდნენ ამისთვის. თუ ბუზი რამეს წაართმევს მათ, ისინი ვერ შეძლებენ მის უკან დაბრუნებას. სუსტია ის, ვინც თხოულობს და ისიც, ვისაც სთხოვენ! (სურა ალ ჰაჯ 73)

ამიტომ შირქი ერთღმერთიანობაში ძირითადად გვხდება თავჰიდ ალ ულუჰიაში. როგორც ავღნიშნეთ ყურაიშელები ალლაჰს აღიარებდნენ:

وَلَئِن سَأَلْتَهُم مَّنْ خَلَقَهُمْ لَيَقُولُنَّ ٱللَّهُ

და თუ ჰკითხავ მათ: ვინ გააჩინა ისინი, უთუოდ გიპასუხებენ: „ალლაჰმა.“ (სურა ზუხრუფი 87)

და თაყვანსაც სცემდნენ მას, გარკვეულ თაყვანისცემის ფორმებით, მაგრამ ისინი არ ეთაყვანებოდნენ მხოლოდ ერთადერთ ალლაჰს და ამიტომაც დიდებულმა ალლაჰმა წარგზავნა მოციქული მუჰამმადი ﷺ რათა მათზე მოეწოდებინა ლა ილაჰა ილლ ალლაჰ. მაგრამ ამავდროულად ყურანი მხოლოდ თავჰიდ ალ ულუჰიას არ ხსნის, რათქმაუნდა არსებობენ ადამიანები რომლებიც თავჰიდ არ რუბუბიაშიც უჩენენ ალლაჰს თანაზიარს, როგორც ფარაონი, მიუხედავად იმისა მისი ფიტრათი აღიარებდა ალლაჰს, თუმცა მისი სიამაყე და ამპარტავნობა მოწმობდა იმას, რომ ის ამბობდა მე ვარ ღმერთი.

ე.ი. ჩვენ გავიგეთ თუ რა არის თავჰიდ ალ ულუჰია. ძირითადად ერთღმერთიანობის საფუძველი ეს არის თავჰიდ ალ ულუჰია. რატომ? იმიტომ რომ ქრისტიანებიც და ყურაიშელებიც და იუდეველებიც

აღიარებდნენ და აღიარებენ, რომ ალლაჰია შემქმნელი და ალლაჰია ყველაფრის გამკარგველი და მას შესწევს ძალა ამ ყველაფერზე, მაგრამ როცა ჯერი დგება თავჰიდ ულუჰიზე, მაშინ ქრისტიანები მოუხმობენ ვედრებით ხატებს, წმინდანებს, ნაკეთობებს, ჯვრებს, მათ წინაშე დებენ აღთქმებს, მათგან ითხოვენ დახმარებას, არამარტო მათგან ისინი ალლაჰს შესთხოვდნენ ამავდროულად, ქრისტიანები ფიტრათით აღიარებენ რუბუბიას, ხოლო მათი სწავლება ეწინააღმდეგება თავჰიდ რუბუბიასაც, რადგან ისინი პირდაპირ ამბობენ რომ იესოა ღმერთი, ალლაჰს შეეფარები. ასევე იყო ყურაიშელების მაგალითიც, მათ ჰქონდათ 360 ცრუ ღვთაება, ანუ კერპი, ისინი აღიარებდნენ ალლაჰს და ეს ყურანშიც ნათლად არის აღნიშნული, ისინი თავს თვლიდნენ იბრაჰიმის რელიგიის მიმდევრებად, თუმცაღა მათთვის ერთღმერთიანობა ისეთივე უცხო აღმოჩნდა როგორც დღეს ბევრისთვის.

ერთღმერთიანობა ეს არის ის, რისთვისაც ალლაჰმა დიდებულმა შექმნა ადამიანები და ჯინები.

وَمَا خَلَقْتُ ٱلْجِنَّ وَٱلْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

არ შემიქმნია ჯინნი და კაცნი არაფრისთვის, გარდა იმისა, რომ თაყვანი მცენ! (სურა ᲐᲑ ზარიათ 56)

მარტივად რომ ვთქვათ თავჰიდ არ რუბუბია ეს ის ნაწილია, სადაც ადამიანი სრულებით ყველაფერს მიაკუთვნებს ალლაჰს, რომ ის არის გამჩენი, ის არის მაკონტროლებელი, ხოლო თავჰიდ ალ ულუჰია ეს ის ნაწილია, სადაც ადამიანზე დგება ჯერი და ჯინებზე, რომ ყველა თაყვანისცემის ფორმა მიაკუთვნონ გამჩენს, შემქმნელს და ყველაფრის მაკონტროლებელს.

ერთღმერთიანობა სახელთვისებებსა და ატრიბუტებში

(თავჰიდ ალ ასმა ვა სიფათ)

თავჰიდის ამ ნაწილში ალლაჰის შეცნობა ხდება მისი სახელებითა და თვისებებით, მაგრამ არ უნდა მივაწეროთ რაიმე სხვა სახელი მას და არც უნდა გამოვაკლოთ მის ძვირფას სახელებს ის, რაც მან გვამცნო ყურანითა და სუნნათით მის შესახებ. თავჰიდ ასმა ვა სიფათ, ეს თავჰიდის ის ნაწილია რითაც ადამიანი გრძნობს ერთღმერთიანობის სიძვირფასეს. ყოვლის შემძლე ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّمَا يَخْشَى اللَّهَ مِنْ عِبَادِهِ الْعُلَمَاءُ

ეშინიათ ალლაჰის, მის მსახურთაგან ცოდნის მქონეთ. (სურა ფაატირი 28.)

რა ცოდნას ფლობენ ეს ადამიანები კონკრეტულად? ისინი ფლობენ ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, გეოგრაფიას? არა! ისინი მცოდნენი არიან დიდებული ალლაჰის. აბსოლიტურად ყველაფერი იმის ცოდნა, რაც არ მოწმობს ალლაჰზე მორჩილებას და არ მოწმობს მის შეცნობას, ეს არ ითვლება ცოდნად, არამედ ეს არის უვიცობა. თუ ადამიანი არ ეთაყვანება ალლაჰს და არ იცნობს მის სიდიადეს, რომ ის არის შემოქმედი და მან განკარგავს, ის რაც არ უნდა ცოდნას ფლობდეს სხვა რამეზე არ ითვლება, რომ ის არის მცოდნე, არამედ ის არის უვიცი. ამაზე ჩვენ უზენაესმა ალლაჰმა გვაცოდინა:

6. ხოლო იმათთვის, რომელთაც უარყვეს თავიანთი ღმერთი, სასჯელი ჯოჯოხეთის. და რა საზარელი ფინიშია!

7. როცა ჩაგდებულ იქნებიან მასში, შემოესმებათ მისი დუღილის საშინელი ხმა,

8. სადაცაა გასკდეს მძვინვარებისგან. ყოველჯერზე, როცა ყრიან მასში ჯგუფებს, ეკითხებიან მათ მისი მცველები: განა არ მოსულა თქვენთან შემგონებელი?

9. პასუხობენ: დიახ, მოგვევლინა შემგონებელი, მაგრამ ცრუდ შევრაცხეთ და ვუთხარით: „არ გარდმოუვლენია ალლაჰს არაფერი, თქვენ მხოლოდ დიდ ცდაბნევაში ხართ“.

10. და კიდევ ამბობენ: „რომ ვყოფილიყავით შემსმენნი და მოგვეხმო გონებისთვის, არ ვიქნებოდით ცეცხლის ბინადარნი“. (სურა ალ მულქ 6-10)

დღესდღეობით მცხოვრები დოქტორები, მეცნიერები, პრეზიდენტები და ასე შემდეგ, როცა გარდაიცვლებიან ისინი იტყვიან იმ დღეს:

“რომ ვყოფილიყავით შემსმენნი და მოგვეხმო გონებისათვის, არ ვიქნებოდით ცეცხლის ბინადარნი“.

ისინი ამით დაადასტურებენ, რომ არ ფლობდნენ ცოდნას და იყვნენ უმეცარნი. ესეიგი ყველაზე მცოდნე და მოაზროვნე ხალხი დედამიწაზე, ესენი არიან ისინი, ვინც ეთაყვანება დიდებულ ალლაჰს სათანადოდ და არა ისინი, რომელნიც ალლაჰის მსახურებს მიიჩნევენ უვიცებად და თვითონ თავს თვლიან განათლებულებად. ყველაზე ჭკვიანი ადამიანი კი იყო მუჰამმადი ﷺ ალლაჰის მონა მსახური. ყველაზე მეტად ის ეთაყვანებოდა დიდებულ ალლაჰს. ამიტომ ვისაც აქვს გონება, ის ემზადება ალლაჰთან შესახვედრად ერთღმერთიანად. დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი! (სურა აშ შურა 11)

უზენაესი ალლაჰი ამ აიათში აღწერს მის თავს, როგორც ყველაფრის მსმენელს და ყოვლის მხედველს. ხოლო სხვა აიათში ალლაჰი ბრძანებს:

უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ადამიანი შეწყვილებული ერთი წვეთი ნარევისაგან, გამოვსცდით მას, ამიტომაც დავუდგინეთ სმენა და მხედველობა. (სურა ალ ინსან 2)

ალლაჰმა ბრძანა, რომ ის არის ყოვლის მსმენელი და ყოვლისმხედველი, ასევე ადამიანზეც თქვა, რომ ისიც არის მსმენელი და მხედველი. მაშ როგორ

უნდა გავიგოთ მისი ერთადერთობა სახელებსა და ატრიბუტებში? აუცილებლად უნდა დავაკვირდეთ განსხვავებას სმენასა და ხედვას ადამიანისას და სმენასა და ხედვას დიდებული ალლაჰისას. რაც შეეხება ადამიანის სმენას, როგორც ამბობენ მეცნიერები მედიკოსები, მას შეუძლია ყველაზე შორ მანძილზე სმენა დაახლოებით ერთი საათის სავალ გზაზე. ხოლო რაც შეეხება დიდებულ ალლაჰს, რომელიც იმყოფება ტახტრევანზე, ის არის ყოვლისმსმენელი. ტახტრევანი მოიცავს ქურსს (ტახტს), ქურსი კი პატარაა ტახტრევანზე, როგორც ბეჭედი უდაბნოზე, რაზეც გვამცნო ალლაჰის მოციქულმა ﷺ. ქურსი კი მოიცავს ზეცასა და მიწას რაზეც დიდებული ალლაჰი ბრძანებს :

وَسِعَ كُرْسِيُّهُ السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضَ

ტახტი მისი გარემოიცავს ცათა და ქვეყანას.. (ბაყარა 255)

ასევე მოციქული ﷺ ბრძანებს:

"ჭეშმარიტად, შვიდი ზეცა და შვიდკეცა მიწა ალ ქურსთან (ტახტთან) შედარებით იგივეა, როგორც პატარა ბეჭედი უზარმაზარ (დიდ) უდაბნოში. ხოლო 'არშის (ტახტრევანის) უპირატესობა ალ ქურსთან შედარებით იგივეა, როგორც ალ ქურსის უპირატესობა ამ ბეჭედზე."

(გადმოგვცეს იბნ აბი შაიბი 'არშ 58, ალ ბაიხაყი ალ ასმა ვა სიფათ 862.)

რაც შეეხება პირველ ზეცას დიდებულმა ალლაჰმა ბრძანა:

وَلَقَدْ زَيَّنَّا السَّمَاءَ الدُّنْيَا بِمَصَابِيحَ

და ვფიცავ, შევამკეთ უახლოესი ზეცა მანათობლებით. (ალ მულქ 5)

ესეიგი ყველა ვარსკვლავები რაც არსებობს, ეს მხოლოდ პირველ ზეცაზეა. მაშ რა უნდა ვთქვათ მეორე ზეცაზე? მესამეზე და ასე შემდეგ სხვა ზეცებზე.

მაშ რა უნდა ვთქვათ ქურსზე? მაშ რა უნდა ვთქვათ 'არშზე ანუ ტახტზე? და ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ გვესმის ალლაჰის სიტყვა:

قَدْ سَمِعَ اللَّهُ قَوْلَ الَّتِي تُجَادِلُكَ فِي زَوْجِهَا وَتَشْتَكِي إِلَى اللَّهِ وَاللَّهُ يَسْمَعُ تَحَاوُرَكُمَا إِنَّ اللَّهَ سَمِيعٌ بَصِيرٌ

ისმინა ალლაჰმა სიტყვა იმისა, რომელიც აბეზღებს შენთან თავისი მეუღლეს და შესჩივის ალლაჰს, რამეთუ ალლაჰი ისმენს თქვენს საუბარს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმხედველია! (სურა ალ მუჯადილა I)

მართლმორწმუნეთა დედა 'აიშა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს ამ სიტუაციაზე:

"ყველა ქება ეკუთვნის მხოლოდ ალლაჰს, ვისი სმენაც მოიცავს ყველა ხმებს. ვფიცავ ალლაჰს, მე ვიმყოფებოდი მის ერთად ოთახში, მაგრამ მისი სიტყვები იყო დაფარული ჩემთვის."

(გადმოგვცემს ალ ბუხარი მუ'ალაქ, ფათხულ ბარი 13/372, იმამ აჰმად 6/46.)

ალლაჰმა ისმინა შვიდკეცა ზეცის და ტახტრევანის ზემოდან, თუ რას ამბობდა ეს ქალი. იმ ოთახში იყო 'აიშა, მართლმორწმუნეთა დედა, მაგრამ მან ვერ გაიგო მათი საუბარი ისე ჩურჩულებდნენ, ხოლო ალლაჰმა გაიგონა შვიდი ზეცის ზემოთ მყოფმა და ვიცით რომ:
პირველი ზეცა პატარაა მეორე ზეცასთან, შედარებით როგორც უდაბნო და მასში გადაგდებული ბეჭედი, მეორე პატარაა მესამესთან, შედარებით როგორც უდაბნო და მასში გადაგდებული ბეჭედი, მესამე მეოთხესთან, მეოთხე მეხუთესთან, მეხუთე მეექვსესთან და მეექვსე მეშვიდესთან ანალოგიურად, ხოლო ეს შვიდი ზეცა პატარაა ქურსთან, როგორც ავღნიშნეთ, შედარებით უდაბნო და მასში გადაგდებულ ბეჭედი და ქურსი კი პატარაა ღარშთან, როგორც ქურსი ამავე ბეჭედზე. დიდებულია ალლაჰი ამ ყველაფრის ბატონ პატრონი. და ქება დიდება მას და მხოლოდ და მხოლოდ

მას. ჭეშმარიტად ჩვენ გვერიდება ზოგჯერ ადამიანების გასაგონად რაიმეს თქმა, მაგრამ რატომ არ მოგვერიდება მისი, ვინც შვიდი ზეცის ზემოთ არის და ესმის ყველაფერი? დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَأَسِرُّوا قَوْلَكُمْ أَوِ اجْهَرُوا بِهِ إِنَّهُ عَلِيمٌ بِذَاتِ الصُّدُورِ

ჩუმად იტყვით სიტყვას თუ დაფარულად, უეჭველად, მცოდნეა იგი გულთა ნადებისა! (სურა მულქ 13)

როგორ არ გვერიდება ალლაჰის? განა მოციქულმა ﷺ არ გვითხრა:

"მაშ ვისაც სწამს ალლაჰის და განკითხვის დღის ან თქვას სასიკეთო ან გაჩუმდეს."
(ალ ბუხარი 6018, მუსლიმ 47)

რატომ თქვა ალლაჰი და განკითხვის დღე? იმიტომ რომ ვისაც სწამს ალლაჰი და სწამს რომ ალლაჰს ესმის ყოველივე შვიდი ზეცის ზემოთ, არასდროს იტყვის ცუდს, არ ისაუბრებს მის ძმაზე ცუდს, არ მოიტყუებს, არ იბილწსიტყვავებს. ასევე მოციქულმა მუჰამმადმა ﷺ თქვა:

ჭეშმარიტად ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება თქვას სიტყვა, რომელსაც არ მიაქციოს მას დიდი ყურადღება, მაგრამ ამის გამო ის იქნება ჩაგდებული ცეცხლში სამოცდაათი წლით.
(ათ თირმიზი 2314)

რაც შეეხება ალლაჰის სმენასა და თვალთახედვას, ის არ არის მსგავსი მისი ქმნილებების, მის ატრიბუტებს არ ატარებს არავინ და მას არაჰყავს ბადალი, ის ატარებს იმ თვისებებსა და ატრიბუტებს, რაც მის უზენაესობას შეეფერება. ერთერთ ჰადისში ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა:

ჭეშმარიტად ალლაჰს აქვს 99 სახელი, ასი ერთის გამოკლებით, და ვინც შეისწავლის მას შევა სამოთხეში.
(ალ ბუჰარი 2736, მუსლიმ 2677)

ალლაჰს მხოლოდ 99 სახელი აქვს? — არა! დიდებულ ალლაჰს იმ რაოდენობის სახელები აქვს, რომ ეს არავინ იცის. მან მხოლოდ ჩვენ გვაცოდინა 99 სახელი.

იბნ მას'უდისგან (رَضِيَ اللهُ عَنْهُ) გადმოცემულია, რომ ალლაჰის მოციქულმა თქვა ﷺ:

ის ვისაც ეწია შფოთვა ან მწუხარება და იტყვის:
,,ო ალლაჰ, ჭეშმარიტად მე შენი მონა მსახური ვარ, და შვილი ვარ შენი მსახურის და შვილი ვარ შენი მონის. მე გმორჩილებ შენ და შენი გადაწყვეტილება სავალდებულოა ჩემზე, და განაჩენი, რომელიც მომეცი, ჩემთვის არის სამართლიანი. მე მოგმართავ შენ ყველა შენს სახელზე, რომელიც შენ უწოდე შენს თავს თვითონ, ან მოავლინე ის შენს წიგნში, ან უბოძე ცოდნა ვინმეს შენს ქმნილებათაგან, ან **"დატოვე ის დაფარული ყველასთვის, შენს გარდა"**, ყურანი ჰქმენ ჩემი გულისთვის გაჯაფხულად, სინათლედ ჩემი გულმკერდისთვის, მიჯეზად ჩემი მწუხარების გაუჩინარებისა და შეწყვეტად ჩემი შფოთვისა!" დიდებული და ყოვლისშემძლე ალლაჰი აუცილებლად იხსნის მას მწუხარებისგან და შეუცვლის მას სიხარულით! ადამიანებმა თქვეს: ო ალლაჰის მოციქულო, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ეს სიტყვები? მოციქულმა უპასუხა: რათქმაუნდა, ვინც ეს გაიგონა დაე შეისწავლოს მან ეს სიტყვები.

აჰმად 1-391, იბნ ხიბბან 3-972, ატ ტაბარანი 10352, ხადისის სანდოობა დაადასტურა იმამა ალ ჰაქიმმა, იმამ ალ ბაღავიმ, ჰაფიზ აბულ ფადლ ალ ბაღდადმა, შეიხულ ისლამმა იბნი თაიმიამ, შეიხმა იბნ ალ ყაიმმა.

ამ ჰადისში ვხედავთ, რომ მოციქული ﷺ ამბობს ან "—დატოვე ის დაფარული ყველასთვის, შენს გარდა,—" ეს ნიშნავს, რომ ალლაჰს აქვს ბევრი სახელი რომელიც მხოლოდ მან იცის ეს და მისი ცოდნისგან ჩვენ მოგვეცა მხოლოდ 99 სახელის ცოდნა, რომელიც ნახსენებია ყურანსა და სუნაში.

ისმება კითხვა: რატომ 99 და არა 103 ან 87, ან 100 იმიტომ, რომ ამაში არის სიბრძნე და ეს იცის მხოლოდ ალლაჰმა.

დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَلِلَّهِ الْأَسْمَاءُ الْحُسْنَىٰ فَادْعُوهُ بِهَا

ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა. მაშ, შეევედრეთ მას ამით (ალ აღრაფ 180)

რას ნიშნავს ეს? ადამიანი ისე არის გაჩენილი, რომ ის ყოველთვის რაიმეს ვინმესგან საჭიროებს. მაგალითად თუ უჭირს, ის მასზე გაჭირვებულს არ მოსთხოვს ფულს, არამედ მოსთხოვს მას ვისაც არ უჭირს, ან თუ ვინმემ დაჩაგრა ის დახმარებას არ სთხოვს მასზე სუსტს, თუ ავადაა ის მივა ექიმთან და არა იმასთან ვინც არაფერი არ იცის. ასე რომ, მსოფლიოში ვინც არ უნდა იყოს, ეს იქნება მეფე, პრეზიდენტი, ტირანი, მდიდარი და ა.შ. ყველა საჭიროებს დახმარებას, ვისგან? — ალლაჰისგან, რატომ? — იმიტომ რომ ის არის ყოვლის შემძლე!

ვინ არის ყველაზე მდიდარი? ვინ არის ყველაზე ძლიერი? ვინ არის გამკურნებელი? განა ის, ალლაჰი არ არის? ამიტომაც გადმოცემულია, რომ საჰაბეები მათი საქმის დაწყების წინ, ჯერ მიენდობოდნენ დიდებულ ალლაჰს, შემდეგ კი იწყებდნენ საქმეს, რაც გახლდათ შედეგის მიზეზი. როცა მათ უწყდებოდათ ფეხსაცმელები, სანდლები, ჯერ ისინი პირველ რიგში ალლაჰს შესთხოვდნენ, ო ალლაჰ დაგვეხმარე რათა შევაკეთოთ სანდლები და ამის შემდეგ მიდიოდნენ ხელოსანთან მის შესაკეთებლად.

დღეს კი პირიქით ხდება, ჯერ ადამიანები ღებულობენ მიზეზს და შემდეგ მიმართავენ ალლაჰს დახმარებისთვის.

მორწმუნე ჯერ მიმართავს ალლაჰს თხოვნით და შემდეგ ეძებს მიზეზს და არა ისე, როგორც დღეს. ხალხი ჯერ ეძებენ მიზეზს და ბოლოს რომ არაფერი რჩებათ გამოსავალი უნდათ თუ არა მიმართავენ ალლაჰს.

ჩვენ ვიცით ყველა მოციქული იყო მართლმორწმუნე ხალხი. ისინი ჯერ მიმართავდნენ ალლაჰს, შემდეგ კი ეძებდნენ მიზეზს. იბრაჰიმმა (عليه السلام) თქვა:

وَإِذَا مَرِضْتُ فَهُوَ يَشْفِينِ

და როცა ავად ვხვდები, სწორედ იგია, რომელიც გამომაკეთებს!
(სურა აშ შუღარა 80)

მოციქულმა მუჰამმადმა ﷺ გვამცნო 99 სახელი, ამიტომ ადამიანების საჭიროება რაც არ უნდა იყოს ის, არ სცდება 99 სახელის საზღვრებს. ამიტომაც თქვა ალლაჰის მოციქულმა ﷺ:

ჭეშმარიტად ალლაჰს აქვს 99 სახელი, ასი ერთის გამოკლებით, და ვინც შეისწავლის მას, შევა სამოთხეში. ალ ბუჰარი 2736, მუსლიმ 2677

სწავლულები ამბობენ, რომ დიდებული ალლაჰის ყველაზე ძვირფასი სახელი არის ის, რომელსაც შენ გაჭირვების დროს იმავე სახელზე მოუხმობ რისიც გიჭირს. თუ შენ ხარ ღარიბი და საჭიროებ გამოსავალს, შენთვის ყველაზე ძვირფასი სახელი ამ შემთხვევაში ალ ღანიი-ყოვლადმდიდარი იქნება, რადგან შენ ამ სახელზე შეევედრები. ამიტომ დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَلِلَّهِ الْأَسْمَاءُ الْحُسْنَىٰ فَادْعُوهُ بِهَا

ყველაზე საუკეთესო სახელები ალლაჰისაა . მაშ, შეევედრეთ მას ამით
(ალ აღრაფ 180)

თუ ადამიანი არის ავად მისთვის ამ მომენტში ყველაზე ძვირფასი სახელი იქნება შაფიი, თუ ადამიანი არის გაჭირვებული მისთვის ამ მომენტში ყველაზე ძვირფასი სახელი იქნება ალ ღანი, თუ ადამიანი არის სუსტი მისთვის ამ შემთხვევაში ყველაზე ძვირფასი სახელი იქნება ალ ყავიი და ასე შემდეგ.

ასევე სწავლულები ამბობენ, რომ ყველაზე ძვირფასი სახელი უზენაესი ალლაჰის არის **ალ-ჰაიუმ**-მარადცოცხალი და **ალ-ყაიიუმ**-მარადმსუფევი. რატომ ეს ორი სახელი კონკრეტულად? იმიტომ, რომ ამ ორ სახელს უნდა მოიცავდეს ყველა. მაგალითად მდიდარი უნდა იყოს ცოცხალი, ძლიერი უნდა იყოს ცოცხალი, გამჯურნებელი უნდა იყოს ცოცხალი, და ასე შემდეგ. რაც შეეხება ალ ყაიიუმ-მარადმსუფევი, ეს არის ის ვინც მოიცავს მისი ატრიბუტების მარადიულობას. დიდებული ალლაჰი ბრძანეს:

اللَّهُ لَا إِلَٰهَ إِلَّا هُوَ الْحَيُّ الْقَيُّومُ لَا تَأْخُذُهُ سِنَةٌ وَلَا نَوْمٌ

არ არს ღვთაება, გარეშე მისი, ალლაჰისა, მარადცოცხალისა, მარადმსუფევისა, თვლემა არ ეუფლება მას და არცა ძილი. (სურა ალ ბაყარა 255)

როგორც თქვეს სწავლულებმა თვლემა და ძილი ეს მცირე სიკვდილია. ხოლო ალლაჰს არც ძილი ეუფლება და არც თვლემა და არასდროს მოკვდება. მაგალითად ადამიანი არის ჰაი-ცოცხალი, მაგრამ მას სძინავს, ის კვდება, ის ვერ იცოცხლებს მარადიულად. დიდებული ალლაჰი კი არის მარადცოცხალი, მას არ სძინავს, არ თვლემს და არც არასდროს მოკვდება! სწორედ ეს არის ყაიუმია-მარადიული. ადამიანს ესმის მაგრამ როცა ის მოხუცდება მისი სმენა ქვეითდება და ესმის ძნელად, რატომ? იმიტომ რომ ადამიანი არ არის ყაიუმია-მარადიული, მაგრამ დიდებული ალლაჰი ყოველთვის ისმენს, მაგრამ მისი სმენა არ ქვეითდება. ადამიანი ხედავს მაგრამ როცა მოხუცდება ის ველარ ხედავს უწინდელივით და იკეთებს სათვალეებს, მაგრამ დიდებული ალლაჰი ყოვლის მხედველია და არასდროს არაფერი აკლდება მის თვალთახედვას. სწორედ ეს არის ყაიუმია-მარადიულობა. ბრძანებს დიდებული ალლაჰი:

قُلْ هُوَ اللَّهُ أَحَدٌ

თქვი ალლაჰი ერთადერთია (სურა იჰლას I)

ერთადერთია რაში? მის სახელებსა და ატრიბუტებში.

საიდან უნდა გავიგოთ, რომ ალლაჰს აქვს სახელები და ატრიბუტები?
სამყარო იყოფა ორ ნაწილად
I-დაფარული
2-ცხადი.

დაფარული სამყარო ისაა რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, მხოლოდ ჩვენ მის შესახებ ვიცით ყურანიდან და სუნნადან. დიდებული ალლაჰი, ანგელოზები,

ვკინები, სამოთხე, ჯოჯოხეთი, საფლავის ცხოვრება, განკითხვის დღე, ყველაფერი ეს არის დაფარული სამყარო. არ შეიძლება დაფარული სამყაროს გაიგივება აშკარა სამყაროსთან. დაფარულ სამყაროზე როგორც ავღნიშნეთ ვგებულობთ მხოლოდ ყურანიდან და სანდო ჰადისებიდან. თუ რომელიმე ადამიანი იტყვის რა საჭიროა ყურანში და ჰადისებში ძებნა დაფარული სამყაროსი როცა მე მაქვს ჭკოვნება და შემიძლია ადვილად წარმოვიდგინო ყველაფერი ამ სამყაროს ფონზე, მაშინ ასეთი ადამიანი რათქმაუნდა არ დგას ჭეშმარიტებაზე და ის არის გზასაცდენილი.

არსებობს შვიდი ზეცა, არსებობს ქურსი, არსებობს 'არში და მას სურს რომ ეს წარმოიდგინოს მისი გონებით და არა ყურანითა და სუნათით. ამიტომ ისეთი ადამიანი ვინც იტყვის რომ მე ვარ რაციონალისტი, ანუ რას ნიშნავს რაციონალიზმი? ფილოსოფიური დოქტრინა, რომლის მტკიცებით სინამდვილის შეცნობა შეიძლება განსჯითა და ფაქტების ანალიზით, რწმენის, დოგმის ან რელიგიური სწავლების ნაცვლად, უთხარით მას ქაბაბ-მატყუარა, რატომ მატყუარა? იმიტომ რომ ის იწყებს იმის განსჯას რაც არ უნახია და არ იცის, ეს არის ძალიან საშიში, რატომ? იმიტომ რომ პირველ რიგში დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

وَلَا يُحِيطُونَ بِشَيْءٍ مِنْ عِلْمِهِ إِلَّا بِمَا شَاءَ

ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, ინებებს რასაც. (სურა ბაყარა 255)

ჩვენ ადამიანებმა შეიძლება ვიცოდეთ მხოლოდ ის, რასაც ალლაჰი მოისურვებს ჩვენზე, რომ გავწვდეთ რაიმე ცოდნას.
მეორე — ის თავს იგდებს ცუდ მდგომარეობაში. ალლაჰი ბრძანებს:

وَلَا تَقْفُ مَا لَيْسَ لَكَ بِهِ عِلْمٌ إِنَّ السَّمْعَ وَالْبَصَرَ وَالْفُؤَادَ كُلُّ أُولَٰئِكَ كَانَ عَنْهُ مَسْئُولًا

არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება! (ალ ისრა 36)

დიდებული ალლაჰი ასევე ბრძანებს:

قُلْ إِنَّمَا حَرَّمَ رَبِّيَ الْفَوَاحِشَ مَا ظَهَرَ مِنْهَا وَمَا بَطَنَ وَالْإِثْمَ وَالْبَغْيَ بِغَيْرِ الْحَقِّ وَأَنْ تُشْرِكُوا بِاللَّهِ مَا لَمْ يُنَزِّلْ بِهِ سُلْطَانًا وَأَنْ تَقُولُوا عَلَى اللَّهِ مَا لَا تَعْلَمُونَ

უთხარი: ღმერთმა ჩემმა მხოლოდ საჯაჭღრობები აკრძალა, როგორც აშკარა, ისე დაფარული, და ურჩობა და უსამართლო მძლავრობა, და ის, რომ ალლაჰს არ გაუჩინოთ მოზიარე, რაზეც მტკიცებულება არ მოუვლენია; და რომ თქვათ ალლაჰზე ის, რასაც არ უწყით. (ალ აღრაფ 33)

ყოვლის შემძლე ალლაჰმა აგვიკრძალა იმაზე საუბარი, რაც ჩვენ არ ვიცით. ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რისი ცოდნაც მოგვცა ალლაჰმა. საიდან უნდა ვიცოდეთ ჩვენ 'არშის შესახებ? საიდან უნდა ვიცოდეთ თუ როგორ ამაღლდა დიდებული ალლაჰი ტახტზე? საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ მას აქვს სახე, საიდან უნდა ვიცოდეთ რომ მას აქვს ხელი და ასე შემდეგ. ალლაჰმა ეს ყველაფერი მოგვითხრო ყურანში. მან ეს დაგვიდასტურა და გვაცოდინა, ამიტომაც ჩვენ ასე გვწამს და ასე სწამდათ უწინდელ პირველ თაობასაც[14] ამ ყველაფრის. ხოლო დღეს ეს ადამიანები შევეფარები ალლაჰს, ეს რაციონალისტები რომლებიც არიან ფილოსოფიური ჯიროვნებით შეპყრობილნი, უნდათ განსაჯონ მიწიერი კანონით, მაგალითად ნიუტონის, მიზიდულობის კანონით. თუ მათ ეტყვი რომ დიდებული ალლაჰი ამაღლდა 'არშზე, ისინი ამბობენ არა, არა, ნიუტონის კანონის მიხედვით ეს შეუძლებელია, ან, ესეიგი თუ ის არის 'არშზე ის ზის ან დგას, ან 'არში იცავს მას მიზიდულობისგან შევეფარები ალლაჰს, მათ სურთ მიწიერი კანონით განსაჯონ და განსაზღვრონ ეს ყველაფერი. დიდებულმა ალლაჰმა გვამცნო ტახტის შესახებ ყურანში, მაგრამ ის როგორია ეს იცის მხოლოდ ერთადერთმა დიდებულმა ალლაჰმა.

ერთხელ ერთმა ადამიანმა დაუსვა კითხვა იმამ მალიქს (ალლაჰმა შეიწყალოს ის): დიდებული ალლაჰი ბრძანებს:

الرَّحْمَٰنُ عَلَى الْعَرْشِ اسْتَوَىٰ

მოწყალე არშზე ამაღლდა! (ტაჰა 5)

[14] სალაფები

როგორ ამაღლდა ის? რაზეც იმამ მალიქმა დახარა თავი, გაბრაზდა და სიბრაზისგან გაწითლებულმა შემდეგ მიუგო მას:
„ამაღლება ეს ცნობილია- მაგრამ როგორ? ეს არის უცნობი. ამის რწმენა ვაავალებია (აუცილებელია), მაგრამ კითხვა თუ როგორ ამაღლდა ეს არის სიახლე - ბიდ'ა.
(ბაიხაყი ალ ასმა ვა სიფათ 867, ჰაფიზ იბნ ხავვარმა თქვა ეს ფათხულ ბარი 13/407, ისნად ვაიიდ, ასევე გადმოგვცა ად დარიმმა არ რად ალა ლ ვახმიია, იბნ აბდულ ბარ ათ თაჰმიდში 7/151.)

რატომ არის უცნობი? იმიტომ რომ:

1. ჩვენ ეს არ გვინახავს
2. არ არის მისი მსგავსი არაფერი
3. ამაზე არაფერი გვამცნო ჩვენ დიდებულმა ალლაჰმა.

ქება დიდება ალლაჰს სამყაროთა ღმერთს, რომელმაც მოიღო წყალობა ჩვენზე, რომ შევგონებულიყავით, როგორც ის ბრძანებს:

وَذَكِّرْ فَإِنَّ الذِّكْرَىٰ تَنْفَعُ الْمُؤْمِنِينَ

და შეაგონე. უეჭველად, შეგონება სარგებელს მოუტანს მორწმუნეთ!
(სურა ზარიათი 55)

შევთხოვ დიდებულ ერთადერთ ალლაჰს გვამყოფოს იმათ რიგებში, ვინც შეიცნო და დამორჩილდა მის ბრძანებას და ეცდება მოიპოვოს მისი კმაყოფილება.

ყოველგვარი ნაკლოვნენებისაგან შორსა ხარ ო ჩემო ღმერთო, და ქება-დიდება შენდა, ვამოწმებ რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი ღვთაება შენს გარდა, შენსგან ვითხოვ შენდობას და ვინანიებ შენთან.

سُبْحَانَكَ اللَّهُمَّ وَ بِحَمْدِكَ، أَشْهَدُ أَنْ لا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ، أَسْتَغْفِرُكَ وَ أَتُوبُ إِلَيْكَ

الفرقان
ალ-ფურყან

"ო ადამის შვილო, თუ შენ წარსდგები ჩემთან დედამიწისოდენა ცოდვით და თუ შენ არ აგიყვანია ჩემთვის თანამოზიარე, მე შენ დაგაჯილდოვებ ამდენივე მოწყალებით, პატიებით!"

ალ ჯამი ალ საღირ 4338